გამოიცემა 1934 წლიდან

№210 (12 585) 8 სექტემბერი ორშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი



ექტორ კუპერი:

ყ[illegible] გული ჩემთვის დიდი იმედია

>>> 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა გზას დავადგეთ?

მატჩის ირგვლივ >>> 2



## ასათიანმა ნაკრები დატოვა

### ხიზანიშვილიც ვერ ითამაშებს

## კუპერი გარანტიას ვერ იძლევა

ირლანდიასთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებს მალხაზ ასათიანი გამოაკლდა. ის ექტორ კუპერს ესაუბრა და კიევში გაფრინდა. ასათიანი დაინტერესდა, ექნებოდა თუ არა იტალიასთან მატჩში თამაშის შანსი. კუპერმა უპასუხა, რომ ამის გარანტიას ვერავის მისცემს. ამის შემდეგ ასათიანმა მწვრთნელს უთხრა, რომ სურვილი აქვს, კიევში დაბრუნდეს და ახალ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის მოემზადოს. კუპერს უარი არ უთქვამს. ასათიანი გუშინვე კიევში გაფრინდა.

გუშინვე, ჩვენი ნაკრები ავტობუსით ფრანკფურტში ჩავიდა და იქიდან იტალიის ქალაქ ტრიესტეში გადაფრინდა, საიდანაც უდინეს (ასევე ავტობუსით, 50 კმ) მიაშურა და სასტუმრო „მორატიში" დაბინავდა.

სადილისა და დასვენების შემდეგ კუპერმა გუნდი საათზე მეტხანს ავარჯიშა. წვრთნაში მხოლოდ ზურაბ ხიზანიშვილი არ მონაწილეობდა. ირლანდიელებთან მატჩის შემდეგ ის მუხლმა შეაწუხა. როგორც გაირკვა, ის „სკუდრა აძურასთან" ვერ ითამაშებს. იტალიურ მედიას ქართველების ვარჯიშზე დასწრების (და თან ძველ ნაცნობ კუპერთან შეხვედრისაც) სურვილი კი ჰქონდა, მაგრამ არგენტინელმა დახურული წვრთნა ჩაატარა.

დავით ცაგაძე




THE PEOPLE.co.uk უცხოურ პრესაში

## კალაძეს არ ეტყობოდა, რომ მილანის ფეხბურთელია



რა განსხვავებაა საქართველოსა და ირლანდიას შორის? ლორია!

>>> 3

ლიპის საფიქრალი

## გატუზომ ხელი მოიტეხა



იტალიის ნაკრები საქართველოსთან მატჩს სერიოზული დანაკლისით ხვდება. კვიპროსთან შეხვედრის დროს მიღებული ტრავმების გამო, ვერ ითამაშებენ ფაბიო გროსო და ალესანდრო გამბერინი. ასე რომ, მარჩელო ლიპის დაცვის გადაწყობა მოუწევს. გუშინ კი ჯენარო გატუზომ მარცხენა ხელი რამდენიმე ადგილას მოიტეხა და ჰოსპიტალში ამოჰყო თავი. ექსპერტთა ვარაუდით, ლიპი ნახევარდაცვაში ალბერტო აკვილანის დააყენებს, თავდასხმა კი უცვლელი დარჩება.

>>> 4 მეტოქეები



## ლუქსემბურგი განადგურებულია, ორშაბათს აქაც ირლანდიაა

# რევანში!

სანიკიძემ ორმაგი დუბლი შეასრულა

>>> 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. VIII ჯგუფი

# გაგიკვირდებათ და... კიდევ წავაგეთ!

**საქართველო-ირლანდია**

**1:2**

06.09. მაინცი. ბრუხვეგშტადიონი. 28 500 მაყურებელი

0:1 დოილი (13, მაკგიდის პასით), 0:2 ველანი (70), 1:2 ყენია (90)

საქართველო: ლორია - ლობჟანიძე, ხიზანიშვილი (83. ასათიანი), კალაძე, შაშიაშვილი - მენთეშაშვილი, ოდიკაძე - ყენია, კობიაშვილი, იაშვილი (78. მჭედლიძე) - ალექსიძე (62. სირაძე)

*სათადარიგოები: მაკარიძე, ხმალაძე, სალუქვაძე, გოცირიძე*

ირლანდია: გივენი - ფინანი (80. მაკშეინი), დანი, ოში, კილბეინი - მაკგიდი (87. კოგი), ს. რიდი, ველანი, ჰანტი - კინი, დოილი (77. მილერი)

*სათადარიგოები: კილი, ე. რიდი, დელანეი, მერფი*

გაფრთხილება: ხიზანიშვილი (26), ალექსიძე (52)

არბიტრი: ბ. საბო (უნგრეთი)

## მწვრთნელი... უცხო პლანეტიდან?!

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების „დაწყებული" საქმე შაბათს უკვე ეროვნულმაც გააგრძელა. თუმცა **პეტარ შეგრტის** მართლაც უთავმოყვარეო კრებულისგან განსხვავებით, ჩვენს უმთავრეს გუნდს ნამეტნავად ამაზრზენად არ უთამაშია; საქართველო-ირლანდიის მატჩის ტელერეპორტაჟის წამყვანს **დათო მინაშვილსაც** აღარ უთქვამს (წინა დღის მსგავსად) გულახდილად მწარე სიმართლე - ეს უკვე შეურაცხყოფა არისო, მაგრამ მაინც წავაგეთ და კვლავაც გაორებული გრძნობა დაგვრჩა...

ჰო, ერთი მხრივ, საკმაოდ ორგანიზებულმა მეტოქემ ძალების მინიმალური დახარჯვით გვაჯობა და ირლანდიელთა „მაესტრო" **ჯოვანი ტრაპატონი**, ალბათ, უკვე პირველ ტაიმშივე მომდევნო მატჩზე ფიქრობდა; მეორე მხრივ, ირლანდიის ნაკრები სულაც არ ჩანდა უძლეველი გუნდი - რამდენჯერაც ჩვენებმა ტემპს მოუმატეს ან მკაცრი პრესინგი დაიწყეს, მაშინვე ნათლად ჩნდებოდა მეტოქის სუსტი წერტილები. სამწუხაროდ, მსგავსი ეპიზოდები (გნებავთ - დროის მონაკვეთები) შეხვედრაში ბევრჯერ არ იყო და ისღა დაგვრჩენია, ლოგიკურ მარცხს შევეგუოთ. ტრაპატონი ვახსენეთ და ისიც ვთქვათ, რომ ამ 68 წლის სპეციალისტს საკლუბო ფეხბურთში თუკი რაიმე არსებობს, ყველა ტიტული აქვს მოგებული; თანაც, „დონ ტრაპს" სხვა უნიკალური მიღწევაც აქვს: იტალიის გარდა (მის იქაურ რეკორდებს კარგა ხანს ვერავინ დაამხობს) გერმანიაში, პორტუგალიასა და ავსტრიაში უმუშავია და ყველგან ჩემპიონობამდე მიუყვანია თავისი გუნდი. თითქოსდა, დიდ ფეხბურთში ყველაფერი ნანახი აქვს, მაგრამ მოტივაცია მაინც შერჩა და როცა წლეულს, მაისის დასაწყისში, ირლანდიელთა წინადადება მიიღო, უყოყმანოდ დათანხმდა. ყურადღება მიაქციეთ - ტრაპატონიმ ირლანდიელებთან კონტრაქტი იმ დროს გააფორმა, როცა ჯერ კიდევ ავსტრიული „ზალცბურგის" მთავარი მწვრთნელი იყო. ირლანდიელთა სიჩქარე გასაგები იყო - ნაკრების ახალ მწვრთნელს გარკვეული დრო ხომ სჭირდებოდა, მისთვის სრულიად უცხო გუნდი გაეცნო და ოფიციალური მატჩებისთვის მოემზადებინა. ჩვენთან კი, რა ხდებოდა? **„ტოპის„** გაშვების მერე ახალი მწვრთნელის მოძებნა-დანიშვნას საშველი ხომ არ დაადგა; ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნები რა თარილს აღარ ასახელებდნენ - აი, ამა და ამ დღეს ნაკრებს უკვე ახალი მწვრთნელი ეყოლებაო. მაგრამ ძებნა-ძიებაში დრო გადიოდა და, ფაქტობრივად, შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე ერთი თვით ადრე მოხერხდა ახალი მწვრთნელის დანიშვნა. არავინ უარყოფს - **ექტორ რაულ კუპერის** კანდიდატურა საქართველოში ყველასთვის მისაღები იყო და გაგვიხარდა კიდეც (პეტარ შეგრტის გარდა); კიდევ ვიმეორებთ: ცნობილი არგენტინელი მწვრთნელის კვალიფიკაციასა და ავტორიტეტში ეჭვი არავის შეგვპარვია, ერთადერთი, „უილბლო მწვრთნელის" იმიჯი გვალელვებდა, მაგრამ მაინც იმედიანად განვეწყვეთ.

და აი, მორიგი მარცხი. ფაქტია, რომ ამით ტრაგედია არ უნდა შევქმნათ და ირლანდიასთან დაშვებული შეცდომები მომავალში გამოვასწოროთ. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე ხომ კიდევ ცხრა შეხვედრა გვაქვს. თანაც, კუპერიც, ალბათ, უფრო კარგად გაერკვევა თუ ვის უნდა დაეყრდნოს იმ მატჩებში. ხოლო, თუ ეს ციკლიც წინას მსგავსად ჩავაგდეთ, მაშინ მართლაც ცუდად იქნება ჩვენი საქმე.

...ჰოლანდიელი მწვრთნელიც გვყავდა და ხორვატიც, ფრანგიც და გერმანელიც, ახლა არგენტინელი ჩამოვიყვანეთ, ვინღა დარჩა? ინგლისელებს თავისი გასჭირვებიათ და თვითონაც უცხოელებს ნიშნავენ; ესპანეთსა და იტალიაში უნდა მოვძებნოთ, სხვა გზა არ არის. თუ აქედანაც არაფერი გამოვა, მაშინ... ვინმე უცხოპლანეტელის ჩამოყვანა მოგვიწევს!



ქართველთაგან გოლი ლევან ყენიამ გაიტანა

## ტაქტიკური დუელი

ახლა კი, ალბათ, დროა, საქართველო-ირლანდიის მატჩზეც ვისაუბროთ. რატომღაც გვგონია, ნეიტრალური მაინცის ნაცვლად ეს შეხვედრა თბილისში რომ ჩატარებულიყო, სულ მცირე, ფრეს მაინც გავახერხებდით. ჩვენების მოგებაც არ იქნებოდა მოულოდნელობა - ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ირლანდია სულაც არ ტოვებდა უძლეველი გუნდის შთაბეჭდილებას. სამწუხაროდ, ყველასთვის ნაცნობი მიზეზების გამო, საქართველოს ნაკრებს, ფაქტობრივად, სტუმრად მოუხდა საშინაო მატჩის ჩატარება.

ჯოვანი ტრაპატონი, მართლაც, უცნაური კაცია - თამაშამდე სამი-ოთხი დღით ადრე დაასახელა სასტარტო შემადგენლობა და არც უთვალთმაქცია; ანუ, არანაირი მოულოდნელობა: კარში - გამოცდილი **შეი გივენი**, დაცვაში ასევე ოთხი გამოცდილი ფეხბურთელი, ნახევარდაცვაში - შედარებით უცნობი ოთხი მოთამაშე, მათ წინ - გუნდის კაპიტანი და ლიდერი **რობი კინი**, თავდასხმაში კი - **კევინ დოინის**" ნახევარმცველი (თამაშის მანერით **ხუან სებასტიან ვერონს** რომ წააგავდა) მოედნის ცენტრის ბატონ-პატრონი იყო. სტანდარტულებსაც ხომ აშკარად „არაირლანდიურად" ასრულებდა, თუმცა თვალში საცემი მაინც „ერთი შეხებით" უნაკლო თამაში იყო. ამ კომპონენტში რიდს თანაგუნდელებმაც მხარი აუბეს და დღევანდელ ფეხბურთში, როცა ეს მეტოქესთან შედარებით ბევრად უკეთ გამოგდის, უკვე დიდი უპირატესობაა. აღარაფერს ვამბობთ კიდევ ერთ ნიუანსზე, დაცვიდან ბურთის „ამოტანა" რომ ჰქვია. ახალგაზრდულის მსგავსად, ჩვენი ეროვნული ნაკრების მცველებსაც ბურთი დროულად და ზუსტად ვერ ამოაქვთ; ან, იმაზე რაღა ვთქვათ, მართლაც ყბადაღებულ თემაზე, რასაც მეკარის პრობლემა ჰქვია? ჰო, შეი გივენს 90 წუთის განმავლობაში ერთხელაც არ მისცემია იმის დამტკიცების შანსი, რომ პრემიერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა! ჩვენთან კი რა ხდება? რა ხდება და, აღარც გვინდა გავიხსენოთ თუ აღვნიშნოთ ის შეხვედრები, როცა ჩვენი მეკარეები კურიოზულზე **სირაძე** და **ლევან მჭედლიძე**; თუ თადარიგშიც ვერ მოხვდებოდნენ, რა აზრი ჰქონდა **ბექა გოცირიძის**, **ირაკლი კლიმიაშვილისა** და **მათე ღვინიანიძის** გერმანიაში წაყვანას - ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდულებს მიეხმარებოდნენ და პეტარ შეგრტსაც სათქმელი აღარ ექნებოდა, 14 კაცი მაკლდაო. **გოგიტა გოგუას** თემაც საინტერესოა - ირლანდიელებთან ასეთი მებრძოლი ხასიათის ფეხბურთელი ნამდვილად გამოგვადგებოდა. თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, ძირითადი შემადგენლობის შერჩევა მწვრთნელის პრეროგატივაა და კუპერის კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანა არც გვიფიქრია. და მაინც: დაცვის ოთხეული, ასე თუ ისე, პროგნოზირებადი იყო (ასათიანის არყოფნას თუ არ ჩავთვლით), აი, შუა ხაზში კი სიურპრიზი გველოდა: ჩვენებს ორი საყრდენი ჰყავდათ - **ზურაბ მენთეშაშვილი** და... **დავით ოდიკაძე**! მათ წინ სამი შემტევი ნახევარმცველი იყო განლაგებული: მარჯვნივ - **ლევან ყენია**, ცენტრში - **ლევან კობიაშვილი**, მარცხნივ - **ალექსანდრე იაშვილი**; სულ ბოლო ხაზლი. ამ ტაქტიკურ განლაგებაში კინს სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული - ცენტრიდან ფლანგებზეც ინაცვლებდა, სიღრმეშიც ჩამოდიოდა და ხშირად იერიშებსაც იწყებდა; თუმცა, ეს მოულოდნელი არავისთვის ყოფილა - აწ უკვე „ლივერპულის" ფორვარდის სათამაშო სტილი, წლებია არ იცვლება. სამაგიეროდ, ოდნავ შეცვლილი მოგვეჩვენა მთლიანად ირლანდიის ნაკრების სათამაშო ფილოსოფია: ტრაპატონიმ თავისი შეგირდები „ბრიტანულ-ევროპულზე" გადააწყო. ანუ, ტრადიციული ფლანგური რეიდებიც და მეტოქის საჯარიმოში მაღალი ბურთების ჩაწოდებაც „დაუტოვა" და პლუს ბევრი თანამედროვე ნიუანსიც დაუმატა. აი, თუგინდ ის კომპონენტიც, მოედნის ცენტრში ბურთის ხანგრძლივი გათამაშება რომ ჰქვია - ტემპის დაგდება (მით უმეტეს, როცა იგებ) ხომ იტალიური სტილია. ამ შეხვედრაშიც რამდენჯერმე იყო 5-10-წუთიანი მონაკვეთები, როცა ჩვენები სტატისტების როლში იდგნენ და უმწეოდ შესცქეროდნენ, როგორ აკონტროლებდნენ ბურთს ირლანდიელები. არანაკლებ მოულოდნელობა იყო **სტივენ რიდის** ერთობ დამაჯერებელი ასპარეზობა - „ბლექბერმეტი რომ ჰქვია, ისეთ გოლს უშვებენ. საწყენი მით უფრო, რომ ახალგაზრდა **გიორგი ლორიამ** (ეროვნულ ჩემპიონატში პრაქტიკა საერთოდ რომ არ აქვს) სამოთხ ეპიზოდში აშკარა გოლისგან გვიხსნა, მაგრამ სრულიად უწყინარ სიტუაციაში შეცდა. თუმცა ერთი ფაქტორიც არ უნდა დავივიწყოთ: სანამ **გლენ ველანი** შორეული დარტყმით კურიოზულ გოლს გაიტანდა, თანაგუნდელისგან ბურთი უპრობლემოდ მიიღო, იმდენი დრო ჰქონდა, აქეთ-იქით გაეხედა, ოდნავ წინ წაეწია და კარშიც დაერტყა. ეგ კი არა, სულ მცირე ათი (!) მეტრითაც რომ წინ წასულიყო, წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა - მის წინ იმხელა სივრცე იყო...

...ყველასთვის გამოცანა იყო, თუ რა განლაგებას აირჩევდა ექტორ რაულ კუპერი. საბოლოოდ, ეს გამოცანა... გამოცანად დარჩა და, ალბათ, არგენტინელ მწვრთნელზე უკეთ არავინ იცის, თუ რატომ არჩია ეს ტაქტიკური განლაგება. რაღა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში უამრავი კითხვა იბადება: რატომ ვერ მოხვდნენ ძირითადში **მალხაზ ასათიანი** და **დავით კვირკველია**; რატომ შემოვიდნენ დაგვიანებით შეცვლაზე **დათო** ზე კი ეულად **რატი ალექსიძე** იყო, რომელსაც პარტნიორები რატომღაც მხოლოდ მაღალი ბურთებით ამარაგებდნენ. ანუ, ფაქტობრივად, ტაიმ-ნახევარზე მეტი ჩვენი ნაკრების განლაგებას ასეთი სახე ჰქონდა: 4-2-3-1. ხშირ შემთხვევაში კი ეს სქემა ტრანსფორმაციას განიცდიდა (როცა კობიაშვილი ოდნავ უკან იხევდა) და 4-3-2-1 ხდებოდა. ორივე ეს ვარიანტი ჩვენი შეტევებისას იყო, ხოლო როცა ირლანდიელები იწყებდნენ იერიშებს, ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა 4-5-1-თან. თქმაც არ უნდა, სიახლე ბევრი დავინახეთ ჩვენების თამაშში, იმედია, სათამაშო დისციპლინაც უფრო დაიხვეწება, მაგრამ ცალკეულ ფეხბურთელებსაც მეტი რომ მოეთხოვებათ, ფაქტია.

## იშვიათი გამონათებები

საქართველო-ირლანდიის მატჩი ტელევიზიით ყველამ ვიხილეთ და ამიტომაც არ შევჩერდებით დეტალურ აღწერაზე. უბრალოდ, ძირითად ასპექტებზე გავამახვილებთ ყურადღებას. ტრადიციისამებრ, ჩავაგდეთ საწყისი წუთები, ასევე ტრადიციულად, არაფრისგან გავუშვით პირველი გოლი: **ეიდენ მაკგიდიმ** ფლანგზეც უპრობლემოდ მიიღო ბურთი, ჩაწოდებაშიც ხელი არავინ შეუშალა და ჩვენი კარის წინ სრულიად მარტოდ მყოფ კევინ დოილსაც ზუსტი თავურის გარდა, სხვა რაღა უნდა ექნა...

ამის მერე ირლანდიელებმა კიდევ რამდენიმე მწვავე მომენტი შექმნეს, მაგრამ ლორიამ გვიხსნა. აი, სადღაც 30-ე წუთიდან კი თამაში უკვე ჩვენების კარნახით წარიმართა. თვალში საცემი იყო მკაცრი პრესინგი, ქართველი ფეხბურთელები მეტოქის ნახევარზევე რომ მიმართავდნენ. განსაკუთრებით კი ლევან ყენია და ალექსანდრე იაშვილი აქტიურობდნენ - ჩვენებმა სულაც სამჯერ დაარტყეს გივენის კარის მიმართულებით და სამივეჯერ „იაშკა" იყო ავტორი. ამ სამიდან ერთი ნამდვილად უნდა გაეტანა „კარლსრუეს" უნივერსალს - ყენიამ ოსტატურად მოაწოდა კუთხური და იაშვილიც სრულიად მარტო აღმოჩნდა გივენის წინ, მაგრამ მისი თავური არაზუსტი გამოდგა...

...მეორე ტაიმის დასაწყისი პირველის მსგავსი იყო - კვლავ ირლანდიამ შემოგვიტია და ერთ ეპიზოდში ლორიამ გადაგვარჩინა, მეორედ კი **ჯონ ოშის** თავურის მერე იღბალმა გადმოგვხედა. ისე, როგორც რობი კინის დარტყმის მერე - ირლანდიელთა კაპიტანმა ჩვენი მცველების მორიგი უხეში შეცდომა ვერ შეირგო და ძელს გაარტყა ბურთი; თუმცა ამით ხიფათი არ ამოწურულა - ძელიდან ასხლეტილ ბურთს ისევ ირლანდიელები დაეუფლნენ და როგორ ვერ გაგზავნეს მეკარისგან მიტოვებულ კარში, ძნელი სათქმელია...

...აი, ამის მერე კი ვნახეთ ჩვენების გამოცოცხლება, ოღონდ, იაშვილი, ცოტა არ იყოს, ჩრდილში მოექცა; სამაგიეროდ, როგორც ყველა შეხვედრაში, შთამბეჭდავი იყო ლევან ყენია - ამ პატარა ბიჭმა მერამდენედ დაამტკიცა, რომ ქართული ფეხბურთის იმედია. ვარცხნილობაშეცვლილი ყენია შაბათის მატჩში უდავოდ საუკეთესო იყო საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში; ერთ რამედ ღირდა მისი ზუსტი პასი **ზურაბ ხიზანიშვილზე**, როცა შეტევაში ჩართული ჩვენი მცველის აქტიურობას მეტოქის კართან ხიფათი მოჰყვა. და მაშინ, როცა ტერიტორიული უპირატესობა მოვიპოვეთ და სტუმართა კარში გატანილი გოლის მოლოდინში ვიყავით, ველანის ავბედითი დარტყმა და მერამდენე კურიოზით გამოწვეული შოკიც მივიღეთ! ამით მორჩა კიდეც ყველაფერი, მაგრამ **ლევან მჭედლიძის** მოედანზე გამოსვლამ ცოტა ხასიათი გამოგვიკეთა, ისე როგორც მატჩის მიწურულს ლევან ყენიას პრესტიჟის გოლმა. საერთოდაც, როცა გუნდში ყენია და მჭედლიძე გვყავს, მთლად პესიმისტურადაც აღარ უნდა ვიყოთ განწყობილნი...

**გია ტუხაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

*ნომრის მორიგე რედაქტორი* გია თვალაბეიშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩის შემდეგ

## ექტორ კუპერი: ყენიას გოლი ჩემთვის დიდი იმედია

### ლორია მორალურად არ უნდა გავანადგუროთ

**ირლანდიასთან მატჩის ექტორ კუპერმა პრესკონფერენცია გამართა. არგენტინელმა მედიასთან საუბარი მატჩის საერთო შეფასებით დაიწყო...**

- პირველი 15 წუთი კარგად ვერ ვითამაშეთ, მერე ნელ-ნელა დავლაგდით. მეორე ტაიმში უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ სამწუხაროდ, კიდევ ერთი დასანანი გოლი გავუშვით... თვეზე ცოტა მეტია, რაც საქართველოს ნაკრები ჩავიბარე. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ისეთი თამაში, რაც მაინცში, პირველ 15 წუთში ვაჩვენეთ, აღარ განმეორდეს.

**- ირლანდიასთან თბილისში რომ გეთამაშათ, რა შედეგი იქნებოდა?**

- ბუნებრივია, ეს ჩვენთვის ბევრად მომგებიანი იქნებოდა. უკეთაც ვითამაშებდით და ვფიქრობ, ანგარიშიც სხვა იქნებოდა.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ყენიას გოლი?**

- ძალიან ბევრს. ეს გოლი ჩემთვის დიდი იმედია. ამ გოლმა თავდაჯერება შემატა იმ ფეხბურთელებს, რომლებიც დღეს ჩემს განკარგულებაში არიან. ამჟამად, ჩვენს ხელთაა ქართულ ფეხბურთში არსებული საუკეთესო რესურსი. სამწუხაროდ, დავმარცხდით იმ მატჩში, რომელშიც შეიძლებოდა, არ წაგვეგო, მაგრამ ამით ცხოვრება არ მთავრდება. ეს საკვალიფიკაციო ეტაპის მხოლოდ პირველი მატჩი იყო. ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა.

**- (პრესკონფერენციაზე მყოფი ერთადერთი ქართველი ჟურნალისტის მიხეილ აბაიშვილის კითხვა) კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მეკარის პრობლემა მწვავედ დგას. ირლანდიასთან, ფაქტობრივად, მეკარის გარეშე ვითამაშეთ...**

- მოდით, ამ საკითხს ჰუმანურად მივუდგეთ. ის, რაც ლორიას დაემართა, ეს პიროვნული და ადამიანური ტრაგედიაა. ამ შეცდომის გამო ახალგაზრდა ფეხბურთელი მორალურად არ უნდა გავანადგუროთ. მსგავსი რამ გაცილებით გამოცდილ მეკარეებსაც მოსვლიათ. ყველა ფეხბურთელს ბევრი მუშაობა მართებს, რათა მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

**დავით ცაბაძე**

## ჯოვანი ტრაპატონი: ქართველების ძლევამ რწმენა შეგვმატა

საქართველოსთან მატჩის შემდეგ ირლანდიელთა თავკაცი **ჯოვანი ტრაპატონი** ბავშვივით გახარებული იყო. ის ყველანაირად ცდილობდა, თავი მოეთოკა, მაგრამ... რამდენად შეძლო ეს, მისი პრესკონფერენციის ფრაგმენტიდან დაასკვნით.

*„ბედნიერი ვარ. საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დავიწყეთ. ამას გარდა, ჩემი გუნდის თამაშში არაერთი დადებითი მომენტი. დავინახე, რაც მომდევნო მატჩებისთვის ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. სულ სამი თვეა, რაც მუშაობას შევუდექი და შედეგი უკვე გვაქვს. ჩემმა გუნდმა საქართველოსთან თამაშში ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა. თუმცა წუნიც გვქონდა. შეხვედრის ბოლოს მოვდუნდით და ამიტომაც ერთი ბურთი გაგვიტანეს. ჩვენი მხრივ, სამი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ასე რომ, ამ კომპონენტზე მეტი მუშაობა გვმართებს. საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე 4 ქულას დაგპირდით, მაგრამ იქვე აღვნიშნე, რომ 6-ს ვგულისხმობდი. 3 ქულა უკვე გვაქვს, ჩერნოგორიაშიც მოგებისთვის ვიბრძოლებთ. პირველი მატჩის მოგება გუნდს საკუთარ ძალებში რწმენას შემატებს. ჩვენი მიზანი მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრაა. თუმცა ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია“.*

**დავით ცაბაძე**

საქართველო-ირლანდიის გამოხმაურება

# რა სხვაობაა ირლანდიასა და საქართველოს შორის? ლორია!

Independent.ie THE PEOPLE.co.uk GOAL.com

„ბევრი რამ შესრულებულია, უფრო მეტი გასაკეთებელი", - ასეთი სათაურით გამოვიდა მთავარი ირლანდიური გაზეთი „ინდეპენდენტი" გუშინ. „ინდეპენდენტი" მატჩის გადამწყვეტ მომენტს ასე აღწერს: *„სტივენ რიდმა პასი გლენ უილანს მიაწოდა, რომელმაც 40 იარდიდან დაბალი ბურთი დაარტყა, ქართველთა გოლკიპერ ლორიას ბურთი ხელიდან გაუვარდა და კარში აღმოჩნდა. უილანი, რომელსაც ნაკრებში მხოლოდ ტრაპატონის დროს აქვს ნათამაშები, გაიქცა კარს უკან გოლის აღსანიშნავად, მაშინ როცა ლორიამ სირცხვილისგან ხელებით სახე დაიფარა".* გაზეთი აქებს ირლანდიის გუნდს, თუმცა არ ივიწყებს, რომ მათი გუნდის კარგი თამაში დიდწილად ქართველთა შეცდომებით იყო გამოწვეული. *„ლევან ყენიას გოლის შემდეგ ცოტა კი შევშინდით, თუმცა დრო აღარ რჩებოდა, რომ გაგვეგო, ისევ ძველ პრობლემებთან გვაქვს საქმე, თუ არა",* - წერს „ინდეპენდენტი".

People ირლანდიელ ფეხბურთელთა შეფასებებს გვთავაზობს, უმეტესობას გაზეთი 7 ბალს უწერს, **ფინენს, ჰანტს** და **კინს** 6-6 ქულა აკმარეს, ხოლო ბლექბერნელი სტივენ რიდი 8 ქულით საუკეთესო ფეხბურთელად შერაცხეს. *„რიდი უილანთან ერთად კარგად აკონტროლებდა ცენტრს".* People აქცენტს **ჯოვანი ტრაპატონის** იღბლიანობაზე აკეთებს: *„ცნობილია, რომ ტრაპატონი იღბლიანი მწვრთნელია, ეს პირველივე მატჩში გამოჩნდა. იტალიელი ამ შეხვედრაში პარტიზანული სულისკვეთებით აღვსილ თბილისურ პუბლიკას ელოდა, მაგრამ არასაფეხბურთო გარემოებებმა მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გადაიტანა".*

*„ქართველთა კაპიტან კახა კალაძეს არ ეტყობოდა, რომ „მილანის" ფეხბურთელია. იგი, თითქოს, თავის სადებიუტო მატჩს ატარებდა ნაკრებში. გუნდის ლიდერი კი ლევან ყენია იყო, ახალგაზრდა ტალანტი",* - წერს „გოლი". ეს საიტი არც ირლანდიელთა თამაშითაა აღფრთოვანებული: *„ წესით, ტრაპატონი არ უნდა ყოფილიყო გახარებული თავისი გუნდის თამაშის ხარისხით. საბოლოო ჯამში, ქართველთა გოლკიპერის ძალიან უხეში შეცდომა იყო ერთადერთი, რაც ამ ორ ნაკრებს თვისობრივად ასხვავებდა".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

განსჯისთვის

# სად არის ლოგიკა?

## საქართველო საექსპერიმენტო პოლიგონი არ არის!

**საქართველოში ყოველთვის იქნება განსხვავებული მოსაზრებები პოლიტიკასა და ფეხბურთზე. ამას შეგუებულები ვართ, ამიტომ კატეგორიულობის პრეტენზია არ გვევაჩნია, მაგრამ არის რამდენიმე საკითხი, რომლებიც მკაცრად უნდა დაისვას...**



უპირველესად, მე და ნებისმიერ გულშემატკივარს გვაინტერესებს პასუხი კითხვაზე - რატომ არ იწვევენ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ჩეხეთის „გამბრინუსლიგაში" მოთამაშე **გიორგი განუგრავას?** ერთხელ და სამუდამოდ გავიგოთ, რა ხდება ამ ბიჭის თავს და რატომ ამოწერეს ახალგაზრდული ნაკრებიდან?

როცა 17 წლის განუგრავა ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს, ფაქტობრივად, „ზესტაფონი 2-ის" ფეხბურთელი გახლდათ. მაშინ **ნოდარ ახალკაცი** აცხადებდა, რომ გიორგი ქართული ფეხბურთის იმედი იყო. მართალია, ასეთ ასაკში ნაკრების ძირითადში მისი დაყენება ნაადრევად მიგვაჩნდა, მაგრამ განუგრავა რომ ნიჭიერი და პერსპექტიული მოთამაშეა, ამაში ეჭვი არავის არასდროს შეუტანია. ახლა, განუგრავა ჩეხეთის უმაღლესლიგელ „ბოლესლავშია". ხან თამაშობს, ხან არა, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებსაც კი აღარ აკარებენ. მიზეზი ძნელი ასახსნელია.

მოდით, განუგრავასთან დაკავშირებული რამდენიმე ამბავი გავიხსენოთ და შევეცადოთ, გავიგოთ, რას ერჩიან ამ ბიჭს. ერთი ამბავი **გაიოზ დარსაძეს** უკავშირდება. გიორგი მისი აღზრდილიცაა. „ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დარსაძის გათავისუფლების შემდეგ განუგრავა „ზესტაფონის" ძირითადი შემადგენლობიდანაც და საქართველოს ნაკრებიდანაც შარშანდელი თოვლივით გაქრა.

მეორე ამბავი თებერვალში მოხდა და როგორც ამტკიცებენ (თუმცა ჩვენ ვერ დავადასტურებთ), ისიც განუგრავას უკავშირდება - გიორგი ჩეხეთის „ბოლესლავმა" აიყვანა. ამ გუნდში ის ჩეხეთის ნაკრების კანდიდატის კონკურენტად შეიგულეს. ამ დროს, „ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** კლუბს დაშლილად აცხადებს. ძნელი სათქმელია, მართლა უკავშირდებოდა თუ არა ეს ამბავი განუგრავას ტრანსფერს. 2007 წელს გიორგის იმერულ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ლამის ერთი წელი უგუნდოდ იყო. როგორც ამტკიცებენ, ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთელს ჩეხეთში გადასვლის უფლება რომ მისცა, ამით, ფაქტობრივად, „ზესტაფონი" უკომპენსაციოდ დატოვა. ჰოდა, კოკაია გამწარდა და კლუბის დაშლა გადაწყვიტა... თუმცა მერე გუნდი ჩემპიონატში მაინც დააბრუნა.

ასეა თუ ისე, განუგრავას უთამაშებლობას ლოგიკური ახსნა არ აქვს. არც ის გვაინტერესებს, რამდენად შეეფერება სიმართლეს, თითქოს მისი ტრანსფერი ფედერაციამ და კოკაიამ ვერ გაიყვეს. რატომ ვწირავთ მოთამაშეს, რომელსაც ტალანტად ნათლავდნენ? განუგრავას კი უდავოდ აქვს ის ნიჭიც და კლასიც, რომლითაც საქართველოს ახალგაზრდულ გუნდს დიდ სამსახურს გაუწევდა...

ვერანაირი ლოგიკა ვერ ახსნის, რითი სჯობს უგუნდო, გამოუცდელი ფეხბურთელი ჩეხეთში გადასულ გამოცდილ მოთამაშეს? ვგულისხმობთ, რუსეთთან მატჩში **თემურ შონიას** ძირითადში დაყენებას. ვიცით, რომ შონიაც ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ის ამჟამად უგუნდოდაა და ასეთ დროს ფეხბურთელის თამაში მიზანშეწონილი არ არის. თუკი მის მომავალზე ზრუნავენ, როცა გუნდში იქნება, თანაც მომზადებული, ვინ იტყვის აუგს? მოუმზადებელი ბიჭის ასეთ თამაშში ჩართვა, ჩვენი აზრით, სარისკო იყო, რადგან დიდია შანსი, რომ ფეხბურთელმა საკუთარი ძალების რწმენა დაკარგოს.

თუკი განუგრავაზე ვეტოა დადებული, საყრდენი ნახევარმცველია თბილისის დინამოელი **ნიკა ფირცხალავა.** ის **პეტარ შეგრტმა** განაცხადში შეიყვანა, მაგრამ არ ათამაშა.

ასევე მოექცა მწვრთნელი **მათე ვაწაძესაც**. იტყვიან, ალბათ, დინამოელი ფორვარდი ფორმაში არ არისო. რა გითხრათ, საქართველოს თასის მერვედფინალში პირველი ლიგის „თბილისს" 3 გოლი გაუტანა და თუ ფორმაში არ იყო, მაშინ რატომ გამოიძახეს?

არც ისეთი გულუბრყვილოები ვართ, რომ განუგრავას, ფირცხალავასა და ვაწაძეს სასწაულები მოვთხოვოთ, მაგრამ მათთან ერთად ნაკრები მინსკში უკეთესად ითამაშებდა და არ შერცხვებოდა.

დროა, შეგრტის ექსპერიმენტებს წერტილი დაესვას. ნაკრებში საუკეთესოები უნდა თამაშობდნენ და არა სუბიექტური მოსაზრებებით შერჩეული ფეხბურთელები.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვიკითხოთ: რატომ ხდება ასეთი გაუგებარი მოვლენები ქართულ ფეხბურთში და როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?

იგივე შეიძლება ითქვას ეროვნულ ნაკრებზეც: რატომ აღარაა სანაკრებო სიაში ჩეხეთში მოთამაშე მეორე ქართველი, თავდამსხმელი **დიმიტრი ტატანაშვილი?** იქნებ ჩეხეთზე ალერგია გვჭირს? იქნებ „გამბრინუსლიგა" საქართველოს პირველობაზე უარესია? იქნებ, აგვიხსნან თუნდაც **გიორგი მაკარიძის** საკითხი: უთამაშებელი მეკარე რატომ ხვდება ნაკრების გაფართოებულ სიაში? გიორგი ნიჭიერი მეკარეა და ეს 19-წლამდელთა ელიტრაუნდის დროსაც გამოჩნდა. თუმცა ერთია 19-წლამდელებში თამაში და მეორე - ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა. გიორგის ხომ ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩით (1:4 მარტში) უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენეს. მოუმზადებლობა ყოველთვის მსგავს შედეგებს იწვევს. არადა, მართლა ნიჭიერი მოთამაშეა, მაგრამ მაღალი დონის მეკარედ რომ ჩამოყალიბდეს, მიზანმიმართული შრომა, კლუბში სათამაშო პრაქტიკა და სიმშვიდე სჭირდება, ექსპერიმენტებით კი ლუპავენ.

ირლანდიასთან მარცხის შემდეგ მეკარის ნატურალიზაციის საკითხი, ალბათ, კიდევ ერთხელ წამოიჭრება, მაგრამ იმედი უნდა გაგიცრუოთ. თუ გახსოვთ, ადრე გერმანელი მეკარის ჩამოყვანაზე იყო ლაპარაკი. „კიოლნის" გოლკიპერი **ალექსანდერ ბადე** მზად იყო, საქართველოს ნაკრებში ეთამაშა, მაგრამ მაშინ ეს არ გაკეთდა, ახლა კი უცხოელის ჩამოყვანა უკვე პრობლემურია - ფიფამ ნატურალიზაციის პროცედურა გაამკაცრა: ფეხბურთელმა, რომელსაც სხვა ქვეყნის ნაკრებში თამაში სურს, ამ ქვეყანაში მინიმუმ ოთხი წელი მაინც უნდა იცხოვროს და ითამაშოს. მანამდე არაფერი გეტკინოთ, სანამ უცხოელი მეკარე საქართველოში საცხოვრებლად და სათამაშოდ ჩამოვა.

ბოლო წლებია, საქართველოს ნაკრები სასაცილო (სატირალი რომ არ იყოს) გოლებს უშვებს, მაგრამ მეკარეებზე მეტად დამნაშავეა ის, ვინც უთამაშებლებს ნაკრებში იწვევს და ასეთი ფსიქოლოგიური დარტყმისთვის წირავს. **გიორგი ლომაიამ** წინა ციკლში ორჯერ გაუშვა იტალიასთან სასაცილო ბურთი. ის ორივეჯერ უთამაშებელი და უგუნდო იყო, შესაბამისად, მისი მიწვევა გაუმართლებელი გახლდათ. ასეთ მდგომარეობაში მისგან უკეთესს რას ელოდნენ?

გვაინტერესებს, რა ხდებოდა **გოგიტა გოგუას** შემთხვევაში? რატომ აითვალწუნეს ლამის მთელი წელი და რატომ დაასუსტეს ნაკრების ძალა? ან რას ერჩიან ნალჩიკის „სპარტაკის" დანარჩენ ორ ფეხბურთელს?

რას უწუნებენ რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მცველ **ალეკო ამისულაშვილს? გია კვარაცხელიას**, რომელიც ბელარუსში ჩასვლისთანავე თვის მოთამაშედ დაასახელეს? რატომ არ აინტერესებთ, ვინ არის **ნუკრი მანჩხავა,** რომელიც მოლონიერებული „კაუნასის" ერთ-ერთი ლიდერია?

შეიძლება ამ ყველაფერს ახსნა მოეძებნოს? კრიჭაში არავის ვუდგებით, მხოლოდ „მოყვარეს პირში უძრახეს" პრინციპი გვალაპარაკებს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რადგან რუსი ბარბაროსებისგან ისედაც გულდათუთქული ხალხისთვის კიდევ უფრო დიდ ტკივილია, როცა ქართველი აფურთხებს სულში.

ის, რაც 5 სექტემბერს მინსკში მოხდა, ქართველობის დაცინვა იყო და ამას ვერანაირი არგუმენტი ვერ გაამართლებს. ჩვენ გვინდა გამარჯვებები და არა ლოგიკას მოკლებული ახსნა-განმარტებები. იმიტომ, რომ ვართ ამ ქვეყნის შვილები, გვტკივა და განვიცდით მომხდარს და ვამჩნევთ, რომ ამ მძიმე ჟამს საფეხბურთო ნაკრებებმა ხალხს ნევროზი დამართა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. VIII ჯგუფი. მეტოქეები

# იტალიამ კლასის ხარჯზე მოიგო

## ...მაგრამ ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა

**კვიპროსი–იტალია 1:2**

**კვიპროსი:** გეორგალიდისი, გარპოცისი, ნიკოლაუ, ხარალამბუსი, პარასკევასი, მიხაილი (72. იასუმისი), ხარალამბიდისი, მაკრიდისი, ალონეფტისი, ოკასი (74. პავლუ), კონსტანტინუ (63. ხრისტოფი).

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, გამბერინი (4. ბარძალი), კანავარო, გროსო (18. კასეტი), დე როსი, კამორანეზი, პირლო, დი ნატალე, ჯილარდინო, ტონი (46. გატუზო).

**გოლები:** 0:1 დი ნატალე (8), 1:1 ალონეფტისი (28), 1:2 დი ნატალე (90)

**მაყურებელი:** 8 000



კვიპროსელებმა ბუფონსა და იტალიელებს ბევრი თავსატეხი გაუჩინეს

იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა შესარჩევი ციკლი გამარჯვებით დაიწყო, აძურამ სამი ქულა მოიპოვა და ეს უკვე საქმის წარმატებული დასაწყისია. ყველას ახსოვს, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევის სტარტი, საშინაო ფრე ლიტვასთან (1:1) და გასვლითი მარცხი საფრანგეთთან (1:3) - სწორედ ამ დაკარგულმა ქულებმა ჩააგდეს სკუადრა ურთულეს მდგომარეობაში და გუნდმა ევროსაგზური უკანასკნელ მატჩში, შოტლანდიასთან გასვლითი გამარჯვებით გაინაღდა. შაბათს **ლიპის** იტალიამ წარმატებული სტარტი კი აილო, მაგრამ თამაშმა ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა.

მარჩელო ლიპიმ 4-3-3 ტაქტიკა აირჩია და წინასწარ ნავარაუდევ შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება შეიტანა, შეტევის ხაზში **დი ნატალესა** და **ტონისთან** ერთად **ალბერტო ჯილარდინო** გაამწესა. თუმცა აპენინელი ჟურნალისტები ფლორენციელის სასტარტოში გამოჩენას არ გამორიცხავდნენ, რადგან ვარჯიშებზე აშკარად ერთ-ერთი საუკეთესო გახდათ.

შეხვედრა კი ისეთი გამოდგა, ნებისმიერი რანგის ტურნირის ფინალს რომ დაამშვენებდა. გუნდებმა მაღალი ტემპი შემოგვთავაზეს, კომბინაციური ფეხბურთი ითამაშეს და მომენტებიც უხვად შექმნეს. თუ იტალიისგან ეს გასაკვირი არ არის კვიპროსმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ანტონის პაპადოპულოსის სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივარს მართლაც საამაყოდ ჰქონდა საქმე. მასპინძლებმა შესანიშნავად იასპარეზეს და ყველა გააოცეს, მათ შორის მარჩელო ლიპი, რომელსაც მთელი მატჩის განმავლობაში სახეზე ეწერა, რომ მეტოქისგან ამხელა წინააღმდეგობას არ ელოდა.

მატჩი სწორედ მასპინძელთა ელვისებური იერიშებით დაიწყო და თავად განსაჯეთ, პირველ ხუთ წუთში ორჯერ შეეძლოთ გოლის გატანა. ორივეჯერ **ბუფონმა** იხსნა საკუთარი გუნდი, ჯერ **მაკრიდისს** აუღო, შემდეგ კი სუპერაქტიურ **ალონეფტისს**. პირველად მეტოქის ნახევარზე იტალია მე-8 წუთზე გადავიდა (!!!) და როგორც მაღალი კლასის გუნდს სჩვევია, პირველივე საგოლე მომენტი შედეგიანად დაასრულა. ყველაფერი ძალიან მარტივად მოხდა, დი ნატალემ ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, რამდენიმე მეტრით წინ წაიწია და უძლიერესი დარტყმით მეკარე **გეორგალიდისს** შანსი არ დაუტოვა.

გაშვებულ გოლს კვიპროსელები არ დაუბნევია, მათ გააგრძელეს მეტოქეზე ზეწოლა და 28-ე წუთზე სრულიად კანონზომიერი გოლი გაიტანეს. სამართლიანი გახლდათ ისიც, რომ შედეგიანი დარტყმა პირველი ნახევრის აშკარა გმირმა ალონეფტისმა განახორციელა - კვიპროსის გოლი ბუფონის მორიგ გმირობას მოჰყვა, ჯიჯიმ კიდევ ერთხელ აილო ურთულესი ბურთი, თუმცა დამატებაზე ველარაფერს გახდა. ამ ეპიზოდში აშკარად შესცოდა იტალიელთა მარჯვენა მცველმა **კასეტიმ**, დამატებაზე მომგებიანი პოზიცია სწორედ მას ეჭირა, თუმცა ჩამოეძინა და კვიპროსელს გოლის გატანის საშუალება მისცა. აქვე გეტყვით, რომ ლიპის საქმე იძულებითმა ცვლილებებმაც გაურთულა. 15 წუთში აძურას ორი ფეხბურთელი, **გამბერინი** და **გროსო** დაემტვრა, პირველის ნაცვლად მოედანზე **ანდრეა ბარძალი** გამოვიდა, მეორე კი ზემოთხსენებულმა კასეტიმ ჩაანაცვლა. რომანისტას გამოსვლას მცირე გადაადგილებაც მოჰყვა, მან **ძამბროტას** მარჯვენა ფრთა დაიკავა, „მილანელმა" კი მარცხენა ფლანგზე გადმოინაცვლა.

პირველი ტაიმის მიწურულს კვიპროსელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, თუმცა ოკასის დარტყმული მცირე მანძილით ასცდა კარს.

მეორე ნახევარში ლიპიმ მესამე ცვლილებაც განახორციელა - შეტევას შეუმჩნეველი ლუკა ტონი მოაკლო და **ჯენარო გატუზოთი** ნახევარდაცვა გააძლიერა. ნათელი გახდა, რომ იტალიას მოედნის ცენტრი უნდა მოეგო და ბურთზე კონტროლი დაეწესებინა - გატუზოს გამოსვლამ იტალიელ უკანახაზელებს მცირე შვება მისცა, მაგრამ მთლიანობაში სურათი მაინც უცვლელი დარჩა. ბურთს უმეტესად კვიპროსელები აკონტროლებდნენ და სახიფათოდაც უტევდნენ. მათ მიერ შექმნილი სახიფათო მომენტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მარტო **ხარალამბიდისს** (ცნობისთვის, იგი ცენტრალური მცველია) შეეძლო ორჯერ გატანა, ორივე შემთხვევაში მილიმეტრებში ააცილა ბურთი კარს. გატანის ბრწყინვალე შანსი ჰქონდა ოკასს, მან **კანავაროს** და ძამბროტას აუარა გვერდი (!) და მეკარესთან პირისპირ გავიდა, ბუფონი ამ შემთხვევაშიც მონწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. იტალიელთაგან გოლის გატანა ალბერტო ჯილარდინოს შეეძლო, ფლორენციელს **კამორანეზიმ** ჩინებულად უპასა, თუმცა თავური დარტყმა არ გამოუვიდა.

და მატჩის კულმინაციასაც მივადექით - მაშინ, როცა სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები მოპოვებული ერთი ქულის აღსანიშნავად ემზადებოდნენ და თავისიანებს სიმღერებით ამხნევებდნენ, იტალიელებმა თავი გამოიდეს და მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე საბედისწერო შეტევა გამოაცხვეს. ყველაფერი კანავაროს 60-მეტრიანი პასით დაიწყო, ადრესატმა ჯილარდინომ ბურთი კარგად მიიღო და საჯარიმოში შეჭრილ კამორანეზის ქუსლით ჩინებულად უპასა, მაუროს საქმე დასარტყმელად ჰქონდა, თუმცა მოულოდნელად მარცხნივ ჩასაფრებულ დი ნატალეს გადააწოდა და ამ უკანასკნელმაც უძლიერესი დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა 1:2.

მატჩის შემდეგ ლიპის იტალიელი ჟურნალისტები მისცვივდნენ და კომენტარი სთხოვეს. აი, რა განაცხადა მარჩელომ: *„გავრისკე და ძირითადში სამი გამოკვეთილი თავდამსხმელი დავაყენე. ისინი თავიანთ საქმეს კარგად აკეთებდნენ, მაგრამ კვიპროსელთა აგრესიულ შეტევებს სამი ნახევარმცველი ვერ უმკლავდებოდა და იძულებული გავხდი, გატუზოთი შუა ხაზი გამეძლიერებინა. ვთვლი თუ არა, რომ გაგვიმართლა? დიახ, ნამდვილად გაგვიმართლა, მეტოქემ უამრავი შანსი გაუშვა ხელიდან, ასეთი ცუდი რეალიზება კარგა ხანია არ მინახავს და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც".*

ლიპის ჯგუფის სხვა შეხვედრებზეც ჰკითხეს: *„სხვა მატჩებზე რა უნდა ვთქვა, ჯერ მხოლოდ პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. დარწმუნებული ვარ, გუნდები მოუმატებენ და მათ ნამდვილ ძალას ოქტომბერში ვიხილავთ. გაიხსენეთ, როგორ დაიწყო იტალიამ ევრო 2008 წლის შესარჩევი ციკლი - ასე რომ, დღეს გუნდების ძალაზე საუბარი ნაადრევია".*

**ლაშა ნიკლაური**

გამოხმაურება

# მადლობა ბუფონს და დი ნატალეს

## იტალია საქართველოში ორ ბრილიანტს გამოარჩევს

იტალიის მატჩი აპენინური მედიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ქვეყნდება მიმოხილვები, მატჩისშემდგომი ინტერვიუები, კეთდება შეფასებები, თუმცა ღრმა ანალიზისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ და აცხადებენ, რომ ამისთვის ცივი გონებაა საჭირო. ცხელი გონებით კი აძურას მატჩს არც თუ დადებითი შეფასება ეძლევა. ფაქტია, რომ კვიპროსმა ლიპის გუნდის კართან უამრავი სახიფათო მომენტი შექმნა და ის, რომ მატჩი სკუადრას გამარჯვებით დასრულდა, დიდწილად ფორტუნას დამსახურებაა. რა თქმა უნდა, კლასი თავისას შვრება, მაგრამ კონკრეტული ფეხბურთელის საშემსრულებლო ოსტატობა ვერაფრით გაამართლებს იტალიის ნაკრების არაორგანიზებულ თამაშს, განსაკუთრებით დაცვის ხაზში.

„გაძეტა დელო სპორტი" დიდ მადლობას უხდის აძურას ორ მოთამაშეს: მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონს** და დუბლის ავტორს **ანტონიო დი ნატალეს**. ავტორიტეტული გამოცემა იტალიის ნაკრების გამარჯვებას ცალსახად ამ ორი ფეხბურთელის დამსახურებად მიიჩნევს. პირველმა ყველაფერი აილო, რისი აღებაც შეიძლებოდა და მეორემ ყველაფერი გაიტანა, რისი გატანაც შეეძლო. „გაძეტა" მატჩისშემდგომ კომენტარებსაც ამ ფეხბურთელებთან აქვეყნებს.

უნდა, დაშავებული ფეხბურთელების მდგომარეობითაც დაინტერესდნენ. ჩვენთვისაც საინტერესოა, რამდენად სერიოზული ტრავმები აქვთ **გროსოს** და **გამბერინის**, მომავალი მატჩი ხომ აძურას საქართველოს ნაკრებთან აქვს.

ორივე ფეხბურთელმა ნაკრების ექიმის, **ენრიკო კასტელაჩის** ხელში გადაინაცვლა. მათ გამოკვლევა ჩაუტარდათ და ვერდიქტიც გაცხადდა - გამბერინი და გროსო სახლში მიდიან. კასტელაჩი: *„გამბერინის მარჯვენა მხრის დეფორმაცია დაუდგინდა, მისი მდგომარეობა საგანგაშო არაა, თუმცა საქართველოსთან მატჩს გამოტოვებს. რაც შეეხება გროსოს, მან თეძო იღრძო, დეტალურ გამოკვლევას იტალიაში ჩავუტარებთ, უახლოეს მატჩს ისიც გამოაკლდება".*

ტრავმირებულ ფეხბურთელებს სავარაუდოდ, **მარკო მატერაცი** და **დანიელე ბონერა** ჩაენაცვლებიან. „ინტერის" და „მილანის" მცველები ოპტიმალური ფორმისგან შორს არიან, თუმცა აძურას დამრიგებელს ამ ეტაპზე უკეთესი არჩევანი არ აქვს.

იტალიური პრესა ჯერ მხოლოდ მოკლედ, მაგრამ მაინც შეეხო მომავალ მეტოქეს და საქართველო-ირლანდიას შორის გამართულ შეხვედრას. აი რას



იტალიელები დი ნატალეს გოლსა და სამ ქულას ზეიმობენ

წერს „გაძეტას" ჟურნალისტი **ლუკა კალამაი**: „საქართველოს ნაკრებმა ირლანდიასთან დამსახურებულად წააგო. ბრიტანელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და ეს ორ გოლში ასახეს. რა შეიძლება ითქვას **კუპერის** გუნდზე? არც არაფერი. არგენტინელი სპეციალისტი ახლა იწყებს გუნდის კეთებას და კაცმა არ იცის, რა ტაქტიკას აირჩევს სკუადრა აძურას წინააღმდეგ. ლიპის ვურჩევთ, საქართველო-ირლანდიის მატჩის ვიდეოფირის ყურებით თავი დიდად არც მოიკლას, რადგან ხეირიან დასკვნას ვერ გამოიტანს. ვნახოთ, რა გუნდს დააყენებს კუპერი, საქართველოს ხომ ორი ბრილიანტი ეზრდება: გელზენკირხენის „შალკეს" ფეხბურთელი **ლევან ყენია** და „პალერმოელი" **ლევან მჭედლიძე**. ეს უკანასკნელი პირადად მე **მარიო ბალოტელის** მაგონებს".

ბუფონი: *„ეს სამი ქულა სამომავლოდ დიდად წაგვადგება. დიახ, ჩვენ არცთუ დამაჯერებლად ვითამაშეთ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ საფეხბურთო სეზონი ხეირიანად დაწყებული არ არის და ფეხბურთელები სასურველი ფორმისგან შორს არიან. ჩვენს წინააღმდეგ ორმა დაუგეგმავმა ცვლილებამაც იმოქმედა,* ***ლიპის*** *ფაქტობრივად ხელფეხი შეეკრა. ჩემს თამაშზე ვერაფერს გეტყვით, ისეთი ისტერიული მატჩი იყო, კარგად ვერც ვიხსენებ რა მოხდა. დავჯდები სახლში და გავაანალიზებ მომხდარს".*

დი ნატალე: *„კარგი თამაში იყო. სეზონი ახალი დაწყებულია, ჯერ ფორმაში არ ვართ და გაგვიჭირდა, თუმცა დაგეგმილი სამი ქულა მაინც ავიღეთ. კომპლიმენტები მეტოქეს - ისეთი ტემპი შემოგვთავაზეს, ფეხი ძლივს ავუწყვეთ. კვიპროსისგან ასეთ წინააღმდეგობას ნამდვილად არ ველოდი. მეორე გოლი მართლაც შესანიშნავი გამოვიდა,* ***ჯილარდინომ*** *და* ***კამორანეზიმ*** *ყველაფერი დიდებულად გააკეთეს და გოლის გატანის გარდა აღარაფერი დამრჩენოდა".*

იტალიელი ჟურნალისტები, რა თქმა

იტალიელები სამშობლოში გუშინ ჩაფრინდნენ, დღეიდან კი 10 სექტემბრის მატჩისთვის შეუდგნენ მზადებას.

**ლაშა ნიკლაური**



დიმიტარ ბერბატოვის (№9) ბულგარეთმა ქულა ბოლო წუთზე გადაარჩინა

# ჩერნოგორიას სენსაცია გეორგიევმა ჩაუშალა

**ჩერნოგორია–ბულგარეთი 2:2**

**ჩერნოგორია:** პოლეკშიჩი, პავიჩევიჩი, ბატაკი, ტანასიევიჩი, ბოჟოვიჩი, დრინჩიჩი, ბოშკოვიჩი (83. ბურცანოვიჩი), პეკოვიჩი, ბოგოვაცი (53. ვუკჩევიჩი), იოვეტიჩი, ვუჩინიჩი (85. ჯალოვიჩი).

**ბულგარეთი:** ივანკოვი, მილანოვი (48. ტომაშიჩი), ტუნჩევი, ილიევი, ანგელოვი, დიმიტროვი, გენჩევი (67. გეორგიევი), ს. პეტროვი, ლაზაროვი, პოპოვი (40. იანკოვი), ბერბატოვი.

**გოლები:** 0:1 ს. პეტროვი (11), 1:1 ვუჩინიჩი (62), 2:1 იოვეტიჩი (81-პენ), 2:2 გეორგიევი (90)

**გაძევება:** ანგელოვი (81. ბულგარეთი)

**მაყურებელი:** 12 000

წუთზე ცოტა მეტი დააკლდა ჩერნოგორიას და მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში პირველად მოასპარეზე გუნდი ისტორიულ (შეიძლება, სენსაციურსაც) გამარჯვებას მოიპოვებდა. არბიტრის მიერ კომპენსირებულ დროში, ბულგარეთი მარცხისგან შეცვლაზე შესულმა **გეორგიევმა** იხსნა.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მე-11 წუთზე **სტილიან პეტროვი ტანასიევიჩს** გაცდა და ჩერნოგორიელთა მეკარე **პოლეკშიჩი** უშანსოდ დატოვა - 0:1. მასპინძლები გაშვებულმა გოლმა გახელა, თუმცა ანგარიში მხოლოდ შესვენების შემდეგ შეიცვალა. 62-ე წუთზე **ვუჩინიჩის** მიერ დარტყმულ ჯარიმას სტუმართა მეკარე **ივანკოვი** ვერაფერი დაუპირისპირა - 1:1.

სხვათა შორის, ეს ჯარიმაც და ის პენალტიც, რომელიც მასპინძლებმა გოლად აქციეს, **ანგელოვმა** „აიკიდა" და ორივე შემთხვევაში ყვითელი ბარათი დაიმსახურა. შეხვედრის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე, ანგელოვმა გოლის ავტორი ვუჩინიჩი საჯარიმოში მოცელა. მეორე ყვითელისთვის არბიტრმა ის მოედნიდან გააძევა, მასპინძლებს კი პენალტი დაარტყმევინა. „ფიორენტინას" ახალგაზრდა ტალანტმა **იოვეტიჩმა** 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა - 2:1. ბოლოს რაც მოხდა, უკვე გითხარით. 10 სექტემბერს ჩერნოგორია ჩვენს მძლეველ ირლანდიას მასპინძლობს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სანდრო იაშვილი (მარჯვნივ) სიონს თავდასხმაში ბევრ პრობლემას მოუხსნის

ტრანსფერი

# იაშვილი ბრუნდება!

ზოგი ჭირი მარგებელიაო - ეროვნული ჩემპიონატის დაწყების გადავადებამ რამდენიმე უკლუბო ფეხბურთელს სულზე მიუსწრო. წესითა და რიგით, ჩვენთან სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს უნდა დახურულიყო, მაგრამ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგისა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით ამ ვადამ 13 სექტემბრამდე გადაიწია.

და აი, ერთი ხმაურიანი ტრანსფერიც: **სანდრო იაშვილი** ბოლნისის „სიონში" ითამაშებს!

...დაახლოებით ერთი კვირის წინათ „ლელოში" ვრცელი წერილი გამოვაქვეყნეთ - „სანდრო იაშვილი გზაჯვარედინზე". ამ დროს ჯერ არ იყო ცნობილი, რომ სატრანსფერო ფანჯრის ვადა კიდევ ორი კვირით გაგრძელდებოდა. საბედნიეროდ, ბოლო დროის ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ წარმომადგენელს, სულ მცირე, ზამთრის სატრანსფერო პერიოდამდე სათამაშო პრაქტიკის არქონა აღარ ემუქრება. ამას გარდა, სანდრო ერთობ ამბიციურ გუნდშიც მოხვდა - ახალი სეზონისთვის „სიონი" საკმაოდ გაძლიერდა და **ოთარ კორღალიძის** გუნდს თავისუფლად შეუძლია, მედლებისთვის იბრძოლოს. თანაც, თვითონ ფეხბურთელისთვისაც კარგია, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება სერიოზული კონკურენციის პირობებში მოუწევს. თავად განსაჯეთ: ბოლნისელთა გუნდის თავდასხმაში, ჩვენი მასშტაბით, მართლაც გამორჩეული ფორვარდები თამაშობენ: **სულიკო დავითაშვილი, ირაკლი შენგელია, რევაზ გოცირიძე** და **შოთა ჯიქია**. ამ ოთხეულს სანდრო იაშვილიც რომ დაემატება, ადვილი მისახვედრი იქნება, თუ რა პრობლემების წინაშე იქნებიან „სიონის" მეტოქეები.

...სრულიად ჭაბუკი იყო, სპეციალისტების ყურადღება რომ მიიპყრო; საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში, სადაც კი უთამაშია (16, 17, 19 და 21-წლამდე), გუნდის ლიდერი იყო. საკლუბო დონეზე კი მისი ნიჭი ყველაზე ნათლად 2006-07 წლების სეზონში წარმოჩნდა - თბილისის „დინამოს" ქარიზმატულ ლიდერს მართლაც მშვენიერი პერიოდი ჰქონდა. საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ბომბარდირი - ერთ სეზონში ორი ინდივიდუალური ტიტულით ბევრი მოთამაშე ვერ დაიკვეხნის, იაშვილისთვის კი იმ სეზონში ყველაფერი ალალი იყო და ერთადერთიღა რჩებოდა - საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მიწვევა და ადგილის დამკვიდრება. სამწუხაროდ, ვერც ეს მოახერხა და ვერც საზღვარგარეთული კარიერაააწყო - შვეიცარიულ „თუნში" იშვიათად ათამაშებდნენ და საქართველოს ნაკრებშიც ვინღა მიიწვევდა. ბოლო-ბოლო, „თუნი" შვეიცარიის უმაღლესი ლიგიდან გავარდა, იაშვილმაც სხვაგან სცადა მოწყობა, მაგრამ არც ავსტრიულ „შტურმში" და არც მინსკის „დინამოში" არაფერი გამოუვიდა. ეგ კი არა, ზოგიერთი ქართული კლუბიც უარს ამბობდა მის სამსახურზე. და აი, საბედნიეროდ, „სიონის" სახით გამოჩნდა გუნდი, სადაც იაშვილს თავისი შესაძლებლობების დამტკიცების მშვენიერი შანსი ეძლევა. იმედია, ოპტიმალურ ფორმასაც მალე აღიდგენს და ვინ იცის, იქნებ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელსაც თავი მოაწონოს? მით უმეტეს, რომ **ჰექტორ რაულ კუპერი** საქართველოში ცხოვრებასა და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე დასწრებას აპირებს.

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონი

# თეთრაძე წავიდა, რა ბედი ელის ანჟის ქართულ ლეგიონს?

რუსეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე ქართველთა იქაურ კარიერას სერიოზული საფრთხე დაემუქრა – შაბათს კლუბი მათი შეკრების მთავარმა ინიციატორმა, **ომარ თეთრაძემ** საკუთარი ნებით დატოვა. მიზეზი კი ბელგოროდული მარცხია, წინა დღით „ანჟიმ" 0:1 წააგო „სალიუტ-ენერგიასთან" და პრემიერლიგის საგზურის მოპოვების შანსი ერთიორად შეიმცირა. თეთრაძეს ჯერ კიდევ გასახდელში უთქვამს ბიჭებისთვის, რომ გუნდიდან მიდის, შემდეგ ამის შესახებ საზოგადოებამაც შეიტყო.

*„მე ველარ ავიტან ფეხბურთელთა ასეთ უნებისყოფობას. იმისათვის, რომ „ანჟიმ" მიზანს მიაღწიოს, მოიპოვოს პრემიერლიგის საგზური, უბრალოდ, სხვა მწვრთნელია საჭირო"*, - განაცხადა ომარ თეთრაძემ.

რუსული წყაროები გუნდში შექმნილ ვითარებაში რამდენიმე მომენტს ხედავენ. მათი თქმით, ყველაფერი კარგად იყო, სანამ თეთრაძეს შედეგის მაგივრად კარგ თამაშს სთხოვდნენ, დამთავრდა პირველი წრე და გუნდს ახალი მიზანი - პრემიერლიგაში აღზევება დაუსახეს, არადა „ანჟი" ფეხბურთელებით არ გაუძლიერებიათ. უკვე ცნობილია, რომ რუსული პრემიერლიგის გუნდებიდან შემოთავაზება რამდენიმე წამყვან მოთამაშეს აქვს, მათ შორის – **გოჩა ხოჯავასა** და **მიხეილ აშვეთიას**. რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარი ომიც უარყოფითად აისახა გუნდის თამაშზე. „მე გუნდში შვიდი ქართველი მყავს, თამაშისა და ვარჯიშების შემდეგ ისინი ტელეფონებთან არიან, რომ გაიგონ, რა ხდება სამშობლოში. რომელ ფეხბურთზე მელაპარაკებით ამ შემთხვევაში", - განაცხადა თეთრაძემ „ვოლგასთან" მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე.

ამ სიტუაციიდან გამოსავალი თეთრაძის აუდიენცია იყო დაღესტნის პრეზიდენტ **მუხა ალიევთან**, თუმცა ქართველი მწვრთნელი აღარ დაელოდა ამ შეხვედრას, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებში იყო დაგეგმილი, ასევე არ დაელოდა შემოდგომის შუიდან დანაპირებ სპონსორსაც (ერთ-ერთი მსხვილი დაღესტნური ფირმა). თეთრაძის მოვალეობას დროებით მისი თანაშემწე **არტურ პაგაევი** შეასრულებს. კულუარებში უკვე საუბრობენ, რომ ომარ თეთრაძის ნაცვლად „ანჟის" კვლავ **გაჯი გაჯიევი შეცვლის**. ეს ვარიანტი ალბათ ყველაზე კარგი იქნება ქართული ლეგიონისთვის, რადგან ცნობილია გაჯიევის კეთილგანწყობა ქართველებისადმი.

„სალიუტ-ენერგიასთან" მატჩში სასტარტოში იყვნენ: **ვალერი აბრამიძე**, გოჩა ხოჯავა და **რევაზ ჯიქია**. ჯიქია 59-ე წუთზე მიხეილ აშვეთიამ შეცვალა. **გიორგი ნავალოვსკი** ახალგაზრდულ ნაკრებში იყო გამოძახებული, **რევაზ ბარაბაძე** ტრავმირებულია, ზურაბ არზიანი დისკვალიფიცირებული. სხვათა შორის, მასპინძელთა შემადგენლობაში იყო ჩვენთვის კარგად ნაცნობი **ანდრეი პოროშინი**. „ანჟის" 55 ქულა დარჩა, თეთრაძის აწ უკვე ყოფილ გუნდს „კუბანმაც" გადაუსწრო და მეოთხე ადგილზე დატოვა. გოლი პლუს პასი დათვლაში მიხეილ აშვეთია 16 ქულით მეოთხეა პირველ დივიზიონში, საგოლე გადაცემებში კი გოჩა ხოჯავა 7 საგოლე პასით მეორე ადგილზეა. **გია გრიგალავას** როსტოვის სკა შინ 1:1 ეთამაშა „სპორტაკადემკლუბს". გირიგალავამ 90 წუთი ითამაშა. სკა 41 ქულით მეათე ადგილზეა. მალე, შესაძლოა, ეს კლუბი **ანატოლი ბიშოვეცმა** ჩაიბაროს.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამხანაგური მატჩი

# წაგება, დანაკლისი და მატება

| ბორჯომი-მესხეთი | 3:1 |
|---|---|

0:1 თედიაშვილი (37), 1:1 გ. ლომიძე (65), 2:1 კიკნაძე (70), 3:1 ბ. ბაქრაძე

ბორჯომი: შეყრილაძე, ლაცაბიძე, ვაჩიბერაძე, ბალიაშვილი, ნოზაძე, ავალიანი, ვ. ხორგუაშვილი, დ. ხორგუაშვილი, ალავერდაშვილი, კეკოშვილი, ბ. ბაქრაძე;

შეცვლაზე შევიდნენ: *ჯობაძე, ნ. ლომიძე, გ. ლომიძე, კიკნაძე;*

მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, ლეკიშვილი, თაყაძე, თედიაშვილი, ქებაძე, ინასარიძე, გოჩაშვილი, გონჩაროვი;

შეცვლაზე შევიდნენ: *ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი, სუდაძე;*

ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე კვირით ადრე მეზობლებმა - „ბორჯომმა" და „მესხეთმა" კიდევ ერთხელ მოსინჯეს ძალები. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებს შორის პირველი მატჩი 1:1 დასრულდა. გუშინ კი ბორჯომელებმა მათზე უკეთესად დაკომპლექტებული ახალციხელები დაამარცხეს. ორივე გუნდმა გვიან დაიწყო მზადება და შესაბამისად ჩემპიონატის სტარტზე ორივეს ძლიერ გაუჭირდება. ბორჯომელთა მოგება იმიტომ იყო გასაკვირი, რომ „მესხეთმა" კონტინგენტის ხარჯზე, თამაშით აჯობა ბორჯომელებს, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოიყენა და წააგო. ეს მარცხი ახალციხელებისთვის ალბათ ერთგვარი გაკვეთილი იქნება და ისინი გამოფხიზლდებიან.

„მესხებს" მსუბუქი ტრავმის გამო **ლადო ახალაია** და **ზაზა კობესაშვილი** აკლდნენ. ბორჯომელთა შორის **გიორგი კიკნაძემ** ითამაშა, რომელიც გასულ სეზონში ახალციხელთა გუნდში გამოდიოდა. გიორგი სუხიაშვილის გუნდი სწორედ კიკნაძემ დააწინაურა. მანამდე კი **გიორგი მემარნიშვილის** ძლიერად დარტყმული ჯარიმა მეკარე **შეყრილაძეს** ხელიდან გაუვარდა და **ლევან თედიაშვილმა** ანგარიში გახსნა. წონასწორობა კი „ბორჯომში" ტესტირებაზე მყოფ ძმებ ლომიძეებიდან ერთ-ერთმა აღადგინა. შეხვედრას წერტილი ასევე ახალბედა **ბექა ბაქრაძემ** დაუსვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „მესხეთმა" ამ მატჩის შემდეგ „ბორჯომში" ოთხი ფეხბურთელი - **ბეჟანიძე, ვაშაკიძე, ულენტი** და **ხანიშვილი** გაანათხოვრა. ახალციხელებში მატებაცაა, **კობა თედიაშვილის** გუნდს „ბათუმის" ყოფილი ნახევარმცველი **ლაშა ქებაძე** შეუერთდა.

**დავით ცაბაძე**

რეგიონთა თასი. მოყვარულები

# თბილისმა მოიგო, მაგრამ გავარდა

რეგიონთა თასის გათამაშების შესარჩევ ციკლში, ლიტვაში ჩვენი ჯგუფის მატჩები დასრულდა. თურქეთის „მარმარასთან" 0:1 წაგებისა და ლიტვურ „ალუტისთან" 2:2 ფრის შემდეგ, **ელგუჯა გუგუშვილის** გუნდმა შვედური „ვაქსიო" 1:0 კი დაამარცხა, მაგრამ გათამაშებას გამოეთიშა. საქმე ის გახლავთ, რომ „მარმარამ" „ალუტისი" ვერ დაამარცხა, ფრეს დასჯერდა, რაც ჩვენს „თბილისს" ნამდვილად არ აწყობდა. მეტი თვალსაჩინოებისათვის სჯობს, ჯგუფის საბოლოო ცხრილს გაეცნოთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარმარა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| 2. ალუტისი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| 3. თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 4. ვაქსიო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

**დავით ცაბაძე**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## სენა საუკეთესოა

ესპანეთის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა ჟურნალმა "დონ ბალონმა" "ვილიარეალისა" და ესპანეთის ნაკრების საყრდენი **მარკოს სენა** ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. მან შეფასებათა ათბალიანი შკალით 6,76 ქულა დაიმსახურა. მეორეზე "ატლეტიკოს" ტალანტი **სერხიო აგიერო** გავიდა. ხსენებულ ჟურნალს აღნიშნული ჯილდო 1976 წლიდან აქვს დაწესებული. საუკეთესო ვლინდება პრიმერა დივიზიონის თამაშებში მოთამაშეთა მიერ დამსახურებული შეფასებების დაჯამებით. აი, გამოცემის ვერსიით 10 საუკეთესო ფეხბურთელის სია: 1. **მარკოს სენა** (ვილიარეალი) - 6.76; 2. **სერხიო აგუერო** (ატლეტიკო) - 6.75; 3. **არიელ იბაგასა** (მალიორკა) - 6.75; 4. **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა) - 6.68; 5. **დანიელ ალვეში** (სევილია) - 6.68; 6. **იკერ კასილიასი** (რეალი) - 6.68; 7. **დანი გუისა** (მალიორკა) - 6.57; 8. **ლიონელ მესი** (ბარსელონა) - 6.57; 9. **ფაბრისიო კოლოჩინი** (დეპორტივო) - 6.53; 10. **დიეგო ლოპესი** (ვილიარეალი) - 6.50.

## ზლატანი ყველაზე მდიდარია

"ინტერის" შვედი ფორვარდი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** სერია A-ს მიმდინარე გათამაშებას ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელის რანგში შეხვდა. მისი ხელფასი მილანურმა გრანდმა 6-დან 11 მილიონ ევრომდე გაზარდა, რისი წყალობითაც იბრამ ერთბაშად 2 მილიონით მეტი ანაზღაურება დაიბევა "მილანის" ლიდერ **კაკასთან** შედარებით. ამ უკანასკნელის ანაზღაურება შარშანაც 9 მილიონი გახლდათ და წელსაც იმავე დონეზე დარჩა.

## ესიენი დაშავდა

განის ნაკრების ლიდერმა, "ჩელსის" მოთამაშე **მიკაელ ესიენმა** ლიბიის ნაკრების წინააღმდეგ თამაშისას, ერთი შეხედვით, სერიოზული ტრავმა მიიღო, მაგრამ საბოლოოდ ლონდონური გრანდი სერიოზულ პრობლემებს გადაურჩა. განელმა მხოლოდ ორკვირიანი შვებულება გამოიწერა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ "არისტოკრატებს" სწორედ ამ პერიოდში უწევთ "მანჩესტერ იუნაიტედთან" შერკინება. ნახევარდაცვის ლიდერის გარეშე კი ლონდონელთა მოგების შანსი მკვეთრად ეცემა. მატჩი 21 სექტემბერს, ლონდონის "სტემფორდ ბრიჯზე" გრინვიჩის დროით დღის 2 საათზე დაიწყება.

## ტოტი მალე დაბრუნდება

**ფრანჩესკო ტოტიმ** წელს სუპერთასზე ერთი თამაშის ჩატარება მოახერხა "ინტერის" წინააღმდეგ, თუმცა სულ რაღაც ხუთი წუთით. დონ ფრანჩესკო მუხლის პრობლემებისგან ბოლომდე მაინც ვერ განიკურნა. ტრავმის გამოისობით იტალიის ვიცე-ჩემპიონს "ნაპოლისთან" პირველი ტურის მატჩის გამოტოვებამ მოუწია. ლიდერის გარეშე მოუწევს გუნდს ასპარეზობა "პალერმოს" წინააღმდეგაც. შეგახსენებთ, რომ მან ტრავმა ჯერ კიდევ აპრილში, "ლივორნოსთან" მატჩში მიიღო და მას მერე მთელი ზაფხული მკურნალობას მოახმარა. *"მაქსიმალური დატვირთვის დროს ფრანჩესკო ტკივილებს ჯერ კიდევ გრძნობს,* - განაცხადა "რომას" მთავარმა დასტაქარმა **მარიო ბრუციმ** - *სავარაუდოდ, მისი დაბრუნება 16 სექტემბერს "კლუჟთან" მატჩისას შედგება. ამაზე ადრე კი ნამდვილად გამორიცხულია."*

იმავე ბრუციმ მცირე კომენტარი გააკეთა ახანლეულის, ფრანგი **ჟერემი მენეზის** ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნა, რომ აუცილებელია, ის უკეთეს ფორმაში ჩადგეს და, საერთოდ, სასურველია, მეტი ყურადღება მიაქციოს საკუთარ კუნთებსო. საყურადღებო მინიშნებაა. თუკი უახლოეს თვეებში მდგომარეობა არ გამოსწორდა, მიუხედავად კარგი თამაშისა, მენეზი ექიმისგან თამაშის ნებას ალბათ ველარ მიიღებს.

## ანდერსონი თამაშგარეში

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა **ანდერსონმა** ტრავმა მიიღო და უცნობია, როდის შეძლებს მოედანზე დაბრუნებას, გვამცნობს ბი-ბი-სი. დაზიანების ხარისხი ამ ეტაპზე უცნობია. ბუნებრივია, დაზიანების გამო ბრაზილიელმა გუშინ ეროვნული გუნდის რიგებში ჩილეს ნაკრების წინააღმდეგ მატჩი უკვე გამოტოვა. გამორიცხულია, მისი თამაში რამდენიმე დღეში ბოლივიის ნაკრების წინააღმდეგაც. უცნობია, მოახერხებს თუ არა ფეხბურთელი პრემიერლიგის ზეპრინციპული მატჩებისთვის მოედანზე დაბრუნებას - 13 სექტემბერს "მანჩესტერს" "ლივერპულთან" "ენფილდ როუდზე" ელის შეხვედრა, ხოლო 21 სექტემბერს არანაკლებ დაძაბული შეხვედრა "ჩელსის" წინააღმდეგ "სტემფორდ ბრიჯზე".

## არსენალს აპია სურს

ლონდონის "არსენალს" განელი **სტეფან აპიას** შეძენა სურს, რომელიც ახლა თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. *"ამჟამად ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს, გარკვეული არაფერია და ამიტომ ვერაფერს მოგახსენებთ. ჩემი ოცნებაა პრემიერლიგაში თამაში და ამ ოცნებაზე უარის თქმას არ ვაპირებ. ვიცი, რომ ღმერთის წყალობა არ მომაკლდება და ყველაფერი ისე დასრულდება, მე რომ მინდა,"* - განუცხადა საინფორმაციო სააგენტოებს ფეხბურთელმა.

განის ნაკრების ყოფილი კაპიტანი 1997 წლიდან იტალიის სერია A-ს კლუბებში თამაშობდა. მან "პარმის", "ბრეშასა" და "იუვენტუსის" ღირსების დაცვა მოასწრო, რის შემდეგაც სათამაშოდ თურქულ "ფენერბაჰჩეში" გადავიდა. შარშან მას გერმანულ "შალკეში" გადასვლის ვარიანტიც ჰქონდა, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, რადგან თურქებმა მის ნაცვლად გერმანელებს გერმანიის ნაკრების ფორვარდის **კევინ კურანის** დათმობა მოსთხოვეს, რაზეც გელზენკირხენელებმა თავაზიანი უარი განაცხადეს. გაცნობებთ იმასაც, რომ აპიას გადაბირებას უმწვრთნელოდ დარჩენილი "ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობაც ცდილობს.

## ბენტლი ვალს აღიარებს

"ტოტენჰემისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა **დევიდ ბენტლიმ** განაცხადა, რომ მისი გუნდი ვალდებულია, სამხრეთ აფრიკაში გაემგზავროს მსოფლიოს ჩემპიონატზე. *"ჩვენ, ფეხბურთელები, სამშობლოს წინაშე დიდ ვალში ვართ. ის, რომ ავსტრია-შვეიცარიის მინდვრებზე თამაშის უფლება ვერ მოვიპოვეთ, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრალია. ჩვენს გუნდში ბრწყინვალე ფეხბურთელები ირიცხებიან, რომელთაც უძლიერესი მწვრთნელი მოძღვრავს. ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავალთ და თავს იქაც გამოვიჩენთ,"* – განაცხადა გარემარბმა.

## კიელინი უკვე ვარჯიშობს

"იუვენტუსის" მცველი **ჯორჯო კიელინი** სავარჯიშო პროცესში უკვე საერთო ჯგუფში მონაწილეობს. მან ტრავმა 18 აგვისტოს მიიღო და მას მერე არ უთამაშია. ვარჯიშში მონაწილეობა მიიღეს სხვა შედარებით მსუბუქად დაშავებულმა ფეხბურთელებმაც - **ტრეზეგემ, მარკიონიმ** და თქვენ წარმოიდგინეთ, **კრისტიანო ძანეტიმაც.**

"ბებერი ქალბატონის" ლაზარეთში ახლა მხოლოდ **ჯონათან ზებინა** რჩება, რომელიც ფიზიოთერაპევტის მეთვალყურეობით ინდივიდუალური პროგრამით ემზადება.

ნიუკასლი

# კაჭკაჭები კიგანს უჩივიან

### ...ამასობაში ნიუკასლი შეიძლება მაინც გაიყიდოს



კევინ კიგანი

მოგეხსენებათ, **კევინ კიგანი** თანამდებობიდან რამდენიმე დღის წინ კლუბის ხელმძღვანელებთან უთანხმოების გამო გადადგა. გაუგებრობა მათ შორის სატრანსფერო პოლიტიკასთან დაკავშირებულმა განსხვავებულმა პოზიციებმა გამოიწვია. ჯერ იყო და, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ჯეიმს მილნერი** "ასტონ ვილაში" გაიყიდა, ბოლოს კი საქმე იქამდეც მივიდა, რომ სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს კლუბმა ყველა ფეხბურთელი, **მაიკლ ოუენის** ჩათვლით, გასაყიდად დააყენა. *"მგონი, ფეხბურთელებს მასხრად გვიგდებენ. ყველა ჩვენგანი ახლა გაყიდვის საფრთხის წინაშეა,"* - განაცხადა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. კიგანი ასეთ პოლიტიკას არასდროს ეთანხმებოდა და მას სხვა გზა, გადადგომის გარდა, უბრალოდ, აღარ დარჩენოდა. პარასკევ საღამოს "ნიუკასლმა" განცხადება გამოაქვეყნა ოფიციალურ საიტზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ მხარეებს ყველანაირი წინაპირობა ჰქონდათ კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად, რადგან კრიზისიდან გამოსვლის გეგმა უკვე არსებობდა. როგორც ჩანს, კიგანი არც ამ გეგმას ეთანხმებოდა... გუშინწინ საღამოს უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ "კაჭკაჭები" ყოფილ მწვრთნელს უჩივიან და მისგან ხელშეკრულების ცალმხრივად გაწყვეტის გამო კომპენსაციის სახით 2 მილიონ გირვანქას ითხოვენ.

"ნიუკასლის" ყოფილმა ფორვარდმა, ლეგენდარულმა **ალან შირერმა** პრესასთან საუბრისას ჯორდების მწვრთნელობის სურვილი გამოთქვა, მაგრამ კიგანის მაგალითით შეშინებულმა დაამატა, რომ ის მხოლოდ იმ პირობით არის მუშაობაზე თანახმა, თუკი თავად გადაწყვეტს სატრანსფერო პოლიტიკის ყოველ დეტალს. პრესამ უმალ აიტაცა ფეხბურთელის განცხადება და ალანი "ნიუკასლის" მწვრთნელობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად დაასახელა. ყურადსაღებია ფეხბურთელის ადრინდელი განცხადებებიც, სადაც ის, მართალია, სამწვრთნელო კარიერის დაწყების სურვილს გამოთქვამს, მაგრამ პრაქტიკის მიღება ქვედა ლიგებში სურს. იქნებ დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით მან მართლა გარისკოს და პირველი ნაბიჯები ელიტიდანვე დაიწყოს. ვინ იცის...

გარდა ალან შირერისა, პრესა ჩრდილოეთ ინგლისში მუშაობას "ჩელსის" ექსდამრიგებელ **ავრამ გრანტს**, "ევერტონის" მწვრთნელ **დევიდ მოიესს**, "იუვეს" ყოფილ თავკაც **დიდიე დეშამს** (ამ ორზე უკვე ვიტყობინებოდით), "ჩელსის" ყოფილ მოთამაშე **ჯანფრანკო ძოლასა** და "სარაგოსაში" ნამუშევარ **გარსია ტორალს** უწინასწარმეტყველებს. როგორც ჭორაობენ, გუნდის ჩაბარების ყველაზე დიდი შანსი დეშამს აქვს, რადგან ის "ნიუკასლის" აღმასრულებელი დირექტორის **დენის უაიზის** ახლო მეგობარია, ისინი "არისტოკრატების" რიგებში გვერდიგვერდ თამაშობდნენ. თანაც ფრანგმა სამწვრთნელო ნიჭი "მონაკოსა" და "იუვეში" უკვე ყველას დაუმტკიცა.

**ჯონ ტოშაკმა** შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და დაასკვნა, რომ "ნიუკასლის" გასაჭირში დამნაშავე კლუბის ხელმძღვანელობაა და არა გუნდის ექსთავკაცი კევინ კიგანი: *"არ ვარ დარწმუნებული, რომ ოდესმე კევინი პრემიერლიგას დაუბრუნდება. მოგეხსენებათ, რომ ის საკუთარ გუნდში სატრანსფერო საკითხებს ვერ წყვეტდა, არადა, ეს დაუშვებელია. სწორედ მთავარი მწვრთნელი უნდა იყოს ერთადერთი, ვინც ასეთ პრობლემებს უნდა აგვარებდეს. როდესაც ინგლისში ვმუშაობდი, ჩემს გუნდებში ასეთი განაწესი ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა - მე ვირჩევდი და კლუბს თუ შეეძლო, ყიდულობდა. სიმართლე ითქვას, რამდენიმე კლუბში საქმე მაშინაც არ იდგა ნორმის ფარგლებში. "რეალში" ამ მხრივ ცუდი მდგომარეობა მქონდა. წარმოიდგინეთ, პრეზიდენტი მოდიოდა, მეკითხებოდა აზრს ამა თუ იმ ფეხბურთელზე, მერე მაცნობებდა ხოლმე, რომ მან ეს მოთამაშე უკვე შეიძინა. ექვსი ახაწვეულიდან ოთხ შემთხვევაში ასე მოხდა.*

*იცით, რა? მესმის კიგანისაც და კერბიშლისაც, ისინი დაიღალნენ ისეთი სიტუაციით, როდესაც ვერაფერს წყვეტდნენ და როცა საქმე არ გამოდიოდა, პასუხისმგებლობა მაინც მათზე იყო,"* - განაცხადა უელსის ნაკრების თავკაცმა.

მალე "ნიუკასლში" შეიძლება ერთი ისტორიული ნაბიჯი გადაიდგას: კლუბის შესაძენად მსოფლიოში სიმდიდრით მე-6 ადამიანი, მილიარდერი **ანილ ამბანი** ემზადება, ვისი ქონებაც ჟურნალ "ფორბსის" 2007 წლის მონაცემებით 42 მილიარდი დოლარია. ამაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაიწყო, მაგრამ, როგორც ჩანს, საკითხი დღის წესრიგიდან ჯერ არ მოხსნილა.

ფეხბურთი და კრიმინალი

# მსჯავრდებულია ინგლისელი მეკარე...

### გულუბრყვილო შანტაჟისტი ციხეში დიდ ხანს იჯდება



ეშლი ტიმსი

"მანჩესტერ სიტის" საფეხბურთო აკადემიის აღზრდილ **ეშლი ტიმსს** თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მას შანტაჟის ბრალდება დაუმტკიცდა. პოლიციის განცხადებით, 22 წლის ფეხბურთელი პრემიერლიგის ერთ-ერთ მოთამაშეს, ვისი გვარიც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე დღემდე არ სახელდება, ემუქრებოდა, რომ თუკი 15 ათას გირვანქას არ გადაუხდიდა, მისი სექსუალური ცხოვრების ამსახველ ვიდეოფირს გამოაქვეყნებდა და ამით ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევდა. გამოძიების ეტაპზე მოსამართლემ ფეხბურთელი თავდებით გაათავისუფლა, მაგრამ იქვე განუმარტა, რომ მისი საქციელის გამო ციხეს ალბათ ვერ გადაურჩებოდა. ფეხბურთელის ქმედება სასამართლოს 5 სექტემბერს უნდა შეეფასებინა. ეს მართლაც მოხდა, მაგრამ ვიდრე განაჩენის შესახებ გეტყოდეთ, ძალიან მოკლედ მოგიყვებით საქმის დეტალებს: ტიმსსა და დაზარალებულს შორის მეგობრობა მარტივი პრინციპის წყალობით დაიწყო - ფეხბურთელები ღამის ცხოვრების, ბანქოს თამაშის, დალევისა და ქალების დიდი მოყვარულები გახლდნენ. 21-ე საუკუნის "მოდის თანახმად" ისინი ხანდახან საკუთარ გართობას ტელეფონითაც იღებდნენ. ერთ დღესაც ტიმსმა "მეგობარს" ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა, სადაც აუწყა, რომ მას ერთ-ერთი ასეთი ვიდეოს გასანადგურებლად თანხა სჭირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იყო გამორიცხული, ტელეფონი ტაქსიში "დარჩენოდა" ან "შემთხვევით" ვებგვერდ იუთუბზე დაედო. შეახსენა რა, რომ მას საკმაოდ კარგი ხელფასი ჰქონდა, მიანიშნა, ხსენებული თანხის გადახდა შენთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდესო. დაზარალებული დათანხმდა ფულის გადახდას. ნაღდი ფულის ანგარიშზე შესატანად გულუბრყვილო შანტაჟისტმა მეორე მხარეს საკუთარი საბანკო რეკვიზიტები შეატყობინა. პოლიციამ ამით ისარგებლა და 4 აპრილს ტიმსი დააკავა. ვიდეომასალა არასდროს გამოქვეყნებულა. ამას ეშლი იმით ხსნიდა, რომ მან ჩანაწერი გაანადგურა. ტიმსის მტკიცების მიუხედავად, კომპიუტერული ექსპერტების გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ განსასჯელი ტყუოდა. დადასტურდა, რომ ვიდეოს გაყიდვას ის ბოლო დღემდე ცდილობდა, რადგან გუგლის საძიებო სისტემაში მიცემული ჰქონდა მოთხოვნა, "როგორ გავყიდო სექსვიდეო". სასამართლო პროცესზე ფეხბურთელისთვის მიცემულ ბოლო სიტყვაში განსასჯელმა თავი დამნაშავედ სცნო. მოსამართლე **ენდრიუ ჯილბერტმა** კი განაჩენის შესავალ სიტყვაში შემდეგი რამ ბრძანა: *"შანტაჟი ყოველთვის იმსახურებდა და დაიმსახურებს თავისუფლების აღკვეთას. თქვენ ბოროტად გამოიყენეთ თქვენ ორს შორის არსებული ურთიერთობის სპეციფიკა და მარტივმა სიხარბემ გონება დაგიბნელათ. დამაფიქრებელია ისიც, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც აღიარებულია თავისუფლებათა მთელი სპექტრი, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ასევე ინტერნეტსივრცე სავსეა ამ უფლების შემლახავი მასალით. პირიქით, ისინი კიდეც ულვივებენ საკუთარ მკითხველსა თუ მომხმარებელს ასეთი პროდუქციისადმი ინტერესს. თქვენ მიერ ჩადენილი საქციელი იმსახურებს დაგმობას როგორც მორალის, ისე კანონის მხრივ. კანონით ჩემთვის მონიჭებული უფლებით 20 თვით თავისუფლების აღკვეთას გისჯით."*

ფეხბურთელობისას ტიმსს შემდეგ კლუბებში უთამაშია: "შრიუსბერი თაუნი", "ექრინგტონ სტენლი", "კემბრიჯ სიტი". დაკავების მომენტში ის უმუშევრად ითვლებოდა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვესტ ჰემი

# ვინ შეცვლის კერბიშლის?

## მკითხაობა ისევ გრძელდება. მანჩინი უარსაა, სხვები?

გარდა "ნიუკასლისა" ინგლისში უმწვრთნელოდაა დარჩენილი "ვესტ ჰემიც". ლონდონელთა მომავალი თავკაცის ვინაობაზე კლუბის ხელმძღვანელობა დღემდე არ საუბრობს, ხოლო პრესა ისევ მკითხაობს. სახელდება **ჟერარ ულიეს, ჯანფრანკო ძოლას, რობერტო დონადონისა** და **რობერტო მანჩინის** სახელები.

ვებგვერდ სოკერვეის ცნობით, იტალიის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი რობერტო დონადონი ლონდონს გაემგზავრა, რათა "ვესტ ჰემის" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები გამართოს.

"ინტერის" ყოფილი დამრიგებლის აგენტმა **ჯორჯო დე ჯორჯისმა** ინგლისური პრესის საყურადღებოდ განაცხადა, რომ: *"ჩემს კლიენტს ოფიციალური წინადადება არ მიუღია და ასეთის არსებობის შემთხვევაშიც უარს იტყვის, რადგან ამ ეტაპზე მანჩინის არ აინტერესებს ცხოვრება იტალიის ფარგლებს გარეთ. მას ძალიან უყვარს ინგლისი და განსაკუთრებით ლონდონი, მაგრამ იტალიის დატოვებას არ აპირებს. "ინტერთან" კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ ჩვენ დიდძალი იურიდიული საკითხები გვაქვს გადასაწყვეტი, რომელთა მოგვარებას უახლოეს თვეებში ვაპირებთ. ხაზგასმით უნდა ავღნიშნო, რომ სწორედ ამ პრობლემების გამო რობერტო ვერცერთი კლუბის წინადადებას ვერ მიიღებს,"* – გვამცნობს ევროსპორტი.



იტალიურმა პრესამ თავად რობერტოსთან გასაუბრება მოახერხა: *"რა თქმა უნდა, ფეხბურთი არის და იქნება კიდეც ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ახლა ამისთვის არ მცალია... თემას აღარ განვავრცობ. გარდა პირადი საკითხებისა, სხვა პრობლემებიც მაღელვებს. მაგალითად სახლისთვის რალაცების შეძენას ვაპირებ. პო, რაც მთავარია, ჩემი შვილები სასკოლო სეზონის დაწყებისთვის ემზადებიან და ამის გამო მალე მილანში დაბრუნება მომიწევს."*

**შალვა ბიბილაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ზამთარში პოდოლსკი რეალში გადავა?

გასულ კვირაში **ლუკას პოდოლსკიმ** ოფიციალურად განაცხადა, რომ მიუნხენის „ბაიერნში" უბედურია და თუ ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ, ზამთარში რეკორდმაისტერს აუცილებლად დატოვებს. პოლდიმ ისიც აღნიშნა, რომ თავის დროზე მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება დიდი შეცდომა იყო.

როგორც ირკვევა, პოლდის გადაბირებით მადრიდის „რეალია" დაინტერესებული. ჩვენი გერმანელი კოლეგები სანდო წყაროებზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ ლუკასის გადაბირება მადრიდელთა დამრიგებელმა **ბერნდ შუსტერმა** მოინადინა.

ესპანური გამოცემა „მარკაც" წერს, რომ „რეალისთვის" პოდოლსკი ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე უპირველესი სამიზნეა. ხსენებული გაზეთის ინფორმაციით, შუსტერმა გუნდის ხელმძღვანელებს „პრინც პოლდის" ტრანსფერზე მუშაობა უკვე დააწყებინა.

როგორც იცით, მადრიდელებმა **კრისტიანო რონალდოს** გადაბირება ვერ მოახერხეს. მერე კი ვერც **დავიდ სილვა** შეიძინეს და ვერც **სანტი გასორლა**. ესეც არ იყოს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე, მადრიდი რობინიომაც დატოვა. ბრაზილიელმა „მანჩესტერ სიტის" მიაშურა.

**გოტფრიდ ლენცი**

ინგლისი

# ოუენისთვის ნაკრების კარი ღიაა

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ მაიკლ ოუენის** გამოუძახებლობის გამო ბრიტანული პრესის მხრიდან დიდი კრიტიკა დაიმსახურა, რის შემდეგაც მას განცხადების გაკეთებამ მოუწია: *"ჩემი გუნდის პროგრესი სახეზეა და ეს პროცესი გაგრძელდება. ამის რწმენას მაძლევს ის, რომ ფეხბურთელებს სულ უფრო უკეთ ესმით, თუ რას ვითხოვ მათგან. რაც შეეხება მაიკლ ოუენს, ჩავთვალე, რომ ის ამჟამად მზად არ იყო სანაკრებო თამაშებისთვის. ეს არ ნიშნავს, რომ მისი სამსახური მომავალში არ დამჭირდება. ჩვენ წინ მრავალი მატჩი გველის და ის აუცილებლად გამოგვადგება. მისთვის და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელისთვის მე გუნდის კარი არ დამიხურავს."*

პრესის მხრიდან კაპელოს წნეხში მოქცევის პარალელურად მის დასაცავად ხმა აიმაღლა **არსენ ვენგერმა**. ბუნებრივია, რომ მწვრთნელი, ვინც 12 წელზე მეტია, ინგლისში ცხოვრობს, მშვენივრად იცნობს მასმედიის მუშაობის სპეციფიკას. მას ესმის იტალიელის: *"ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რომ ფაბიო კაპელო სწორი მიმართულებით მიდის. მერე რა, რომ ინგლისმა ჩეხეთთან მაინცდამაინც კარგად ვერ ითამაშა? ეს არ ნიშნავს, რომ ნაკრებს ცუდი დამრიგებელი ჰყავს,"* - განუცხადა ფრანგმა "სქაი სპორტს".

რახან ნაკრებზე ვლაპარაკობთ, აქვე გეტყვით, რომ ანდორასთან შეხვედრა ნაკრების ცენტრალურმა მცველმა **რიო ფერდინანდმა** ტრავმის გამო გამოტოვა. მის არყოფნას, მეტოქის კლასის თუ უკლასობის გათვალისწინებით, კუნძულელთა თამაშზე გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ მისი ძირითადში ყოფნა სასიცოცხლოდ აუცილებელი გახლავთ ხორვატებთან შესარჩევ შეხვედრაში. კაპელო იმედს გამოთქვამს, რომ ორ დღეში ნაკრების დაცვის ბურჯი უკვე საბრძოლო ფორმაში იქნება.

**შალვა ბიბილაშვილი**

## ვალენსია შეშფოთებულია

"ღამურები" შეშფოთებულები არიან გუნდის ერთ-ერთი ლიდერის **დავიდ სილვას** ჯანმრთელობის მდგომარეობით. საქმე საკმაოდ სერიოზულია და ამას "მესტალიის" მკვიდრები განსაკუთრებით ერთი მიზეზით განიცდიან, დავიდის ტრავმა ძალიან ჰგავს **ხულიენ ვისენტეს** დაზიანებას. ეს უკანასკნელი, მართალია, გუნდში დღესაც ირიცხება, მაგრამ უთვალავი ტრავმით გამოწვეულმა პაუზამ და ტკივილმა ფეხბურთელი საგრძნობლად უკან დახია. ვისენტე ტერფის ტრავმამ გაანადგურა და ახლა იგივე მეორდება დავიდ სილვასთან დაკავშირებითაც. გუნდის ექიმებისა და მთავარი მწვრთნელის **უნაი ემერის** ერთობლივი გადაწყვეტილებით გარემარბი დროებით გათავისუფლებულია ვარჯიშებისგან. ეს იქამდე გაგრძელდება, ვიდრე დავიდი ბოლომდე ფეხზე არ დადგება. ვისენტეს ტრავმებმა გუნდის საექიმო შტაბს დიდი გამოცდილება შესძინა, რის გათვალისწინებასაც ისინი ახლა გეგმავენ.

## ბარსელონა: მიზანშია იუნიორი

"ბარსელონამ" თვალი დაადგა "სპორტინგ კლისტალის" იუნიორ ფეხბურთელს. ლაპარაკია ჩილეური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავ **დანიელ სანჩესზე**. მისით დაინტერესება აქამდეც ბევრმა ევროპულმა გრანდმა დაადასტურა, მაგრამ საქმე ლაპარაკის იქით არ წასულა. **ჩიკი ბეგირისტაინმა** დრო იხელთა და ადგილზე ჩავიდა სიტუაციის გასარკვევად. როგორც ამბობენ საქმე დაიძრა და „ბარსა" მიზანს მალე მიაღწევს. *"დიახ, ვიცი, რომ ჩემით "ბარსელონაა" დაინტერესებული და ეს ძალიან მახარებს. სიმართლე ითქვას, ისედაც ვაპირებდი ოდესმე ძლიერ უცხოურ ჩემპიონატში ძალების მოსინჯვას. კატალონიაში წასვლაზე იჯარის ხელშეკრულებითაც თანახმა ვარ."*

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

## ინგლისი

### I ლიგა

V ტური

| | |
|---|---|
| ჰერეფორდი-სუინდონი | 1:1 |
| პიტერბორო-როვერსი | 5:4 |
| ბრაიტონი-სკანთორპი | 1:4 |
| კარლაილი-საუთენდი | 2:1 |
| ჩელტენჰემი-ჰადერსფილდი | 1:2 |
| ლიდსი-კრიუ | 5:2 |
| მილუოლი-ჰარტლპული | 2:0 |
| მილტონი-იოვილი | 3:0 |
| ტრანმერი-ოლდჰემი | 0:1 |
| უოლსოლი-ლეიტონი | 0:2 |

### II ლიგა

V ტური

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-დარლინგტონი | 2:1 |
| ბრენტფორდი-დაგენჰემი | 2:1 |
| ჩესტერი-ბერი | 1:1 |
| ჩესტერფილდი-როტერჰემი | 1:0 |
| ექსეტერი-აკრინგტონი | 2:1 |
| ჯილინგემი-გრიმსბი | 3:0 |
| ლინკოლნი-ბარნეტი | 2:0 |
| მაკლსფილდი-ლუტონი | 2:1 |
| მორკამბი-შრიუსბერი | 1:0 |
| ნოტსი-ბორნმუთი | 1:1 |
| პორტ ვეილი-ბრედფორდი | 0:2 |
| როჩდეილი-უიკომბი | 0:1 |

### კონფერენსი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ალტრინჩემი-სოლსბერი | 0:0 |
| კემბრიჯი-რექსემი | 2:0 |
| ფორესტ გრინი-ებსფლიტი | 1:4 |
| ლუისი-ბაროუ | 0:3 |
| მენსფილდი-ისტბურნი | 3:1 |
| ოქსფორდი-კეტერინგი | 1:1 |
| რაშდენი-კროული | 0:1 |
| სტივენიჯი-ბარტონი | 4:1 |
| უეიმაუთი-ჰისტონი | 2:5 |
| იორკი-უოკინგი | 2:0 |
| გრეისი-კიდერმინსტერი | 3:2 |
| ტორკი-ნორთვიჩი | 2:1 |

### კონფერენსი (ჩრ)

VIII ტური

| | |
|---|---|
| ვოქსოლი-ბლითი | გადაიდო |
| ჰაქნოლი-ბარსლო | 0:2 |
| გამუორთი-ჰაროგეითი | 3:1 |
| გეიტსჰედი-სტაფორდი | გადაიდო |
| საუთპორტი-ალფრეტონი | 0:1 |
| ფარსლი-სტეილიბრიჯი | 2:3 |
| სოლიჰალი-დროილსდენი | გადაიდო |
| ბელფორდი-გეინსბორო | 2:1 |
| კინგსი-ფლიტვუდი | 1:0 |
| უორკინგტონი-რედიჩი | 0:1 |
| ჰაიდი-ჰინკლი | 0:0 |

### კონფერენსი (სამ)

VIII ტური

| | |
|---|---|
| ჩელმსფორდი-ბოგნორი | 2:0 |
| ბიშოპსი-ბეისინგსტოკი | 3:2 |
| ჰეისი-ბაროჯი | 2:1 |
| უიმბლდონი-უესტონი | 1:1 |
| ჰავანტი-ბათი | 0:0 |
| ჰემპტონი-ბრომლი | 1:1 |
| უელინგი-დორჩესტერი | 0:0 |
| ისტლი-ბრეინტრი | 2:1 |
| თიმ ბათი-სტ. ოლბანსი | 1:1 |
| მეიდენჰედი-ნიუპორტი | გადაიდო |
| უორჩესტერი-ფიშერი | გადაიდო |

## იტალია

### სერია B

II ტური

| | |
|---|---|
| ანკონა-ასკოლი | 0:0 |
| ჩიტადელა-სალერნიტანა | 0:0 |
| ფროზინონე-ბარი | 0:0 |
| გროსეტო-პიაჩენცა | 3:0 |
| რიმინი-მოდენა | 4:3 |
| ტრიესტინა-აველინო | 3:1 |
| ლივორნო-მანტოვა | 1:1 |
| ვიჩენცა-ემპოლი | დღეს |

### სერია C1/A

II ტური

| | |
|---|---|
| კრემონეზე-ვენეცია | 1:1 |
| ლეკო-ლენიანო | 1:1 |
| მონცა-ნოვარა | 1:1 |
| პადოვა-ლუმეცანე | 2:2 |
| პორტოგრუარო-პრო სესტო | 1:1 |
| რავენა-რეჯანა | 2:1 |
| რეჯინა-პროპატრია | 1:3 |
| სამბენედეტეზე-პერგოკრემა | 0:2 |
| ვერონა-სალო | გადაიდო |

### სერია C1/B

II ტური

| | |
|---|---|
| ბენევენტო-პირზუსი | 3:0 |
| კავეზე-პერუჯა | 1:0 |
| ფოლინიო-ტარანტო | 2:3 |
| იუვე სტაბია-ტერნანა | 1:3 |
| პესკარა-ფოჯა | 1:0 |
| პისტოიეზე-კროტონე | 1:0 |
| პოტენცა-გალიპოლი | 1:2 |
| რეალ მარჩიანიზე-პაგანეზე | 1:0 |
| სორენტო-არეცო | 0:1 |

## ნორვეგია

### II დივიზიონი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ოდ გრენლანდი-კონგსვინგერი | 3:0 |
| ალტა-მოსი | 3:0 |
| ჰიოდი-ჰაუგესუნდი | 1:2 |
| ლოვ ჰამი-ნიბერგსუნდი | 0:0 |
| ნოტოდენი-სოგნდალი | 2:3 |
| სარპსბორგი-ბრინე | 1:1 |

## ესპანეთი

### II დივიზიონი

II ტური

| | |
|---|---|
| ერკულესი-ვალეკანო | 1:1 |
| სარაგოსა-სოსიედადი | 2:2 |
| კასტელონი-სელტა | 2:0 |
| ეიბარი-ტენერიფე | 3:2 |
| ხირონა-ალიკანტე | 3:0 |
| ლას პალმასი-ელჩე | 2:0 |
| ალავესი-კორდობა | 1:0 |
| ხიმნასტიკი-უესკა | 1:1 |
| სევილია II-სალამანკა | 1:1 |
| ხერესი-ალბასეტე | 2:1 |
| მურსია-ლევანტე | 1:2 |

### სეგუნდა B

I ჯგუფი. II ტური

| | |
|---|---|
| დეპორტივო II-სესტაო | 0:1 |
| ბილბაო II-სოსიედადი (ს) | 3:2 |
| ვალიადოლიდი II-ლეონესა | 0:1 |
| სპორტინგი II-სამორა | 1:1 |
| სელტა II-გიხუელო | 2:1 |
| რასინგი II-ლეგონა | 0:1 |
| ბარაკალდო-ლუგო | 2:0 |
| პონტევედრა-სოსიედადი II | 2:1 |
| მარინო-ფეროლი | 3:2 |
| პონფერადინა-რეალ უნიონი | 0:0 |

II ჯგუფი. II ტური

| | |
|---|---|
| ლორკა დეპორტ-უნ. ლას პალმასი | 1:1 |
| ლეგანესი-ლანსაროტე | 0:0 |
| სანტა ბრიგიდა-ნავალკარნერო | 3:0 |
| ატლეტიკო II-კარტახენა | 1:2 |
| მერიდა-ალაისა | 1:0 |
| ალკორკონი-ალფარო | 1:0 |
| ლას პალმასი II-სიუდადი (ლ) | 0:0 |
| რეალი II-სანგონერა | 2:2 |
| აგილასი-მურსია II | 0:0 |
| ფუერტევენტურა-ვესინდარიო | 1:2 |

III ჯგუფი. II ტური

| | |
|---|---|
| ოსასუნა II-სანტ ანდრეუ | 0:1 |
| გავა-ონტინიენტი | 2:1 |
| იბისა-ბენიდორმი | 3:2 |
| ალკოიანო-სანტა ეულალია | 2:1 |
| დენია-ბალეარესი | 4:0 |
| ვილარეალი II-ლეიდა | 3:0 |
| ბადალონა-საბადელი | 0:0 |
| ბარსელონა II-ატ. გრამენეტი | 2:0 |
| ტერასა-ორიუელა | 0:2 |
| ვალენსია II-ალსირა | 3:1 |

IV ჯგუფი. II ტური

| | |
|---|---|
| პუერტოლიანო-ლინარესი | 1:1 |
| რეალ ხაენი-რეალ ლინენსე | 3:2 |
| ბეტისი II-პორტუენსე | 2:1 |
| ლუსენა-მელილია | 2:0 |
| ეხიდო-გვადალახარა | 1:0 |
| კადისი-გრანადა 74 | 2:0 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (სამ)

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ნიურნბერგი II-ვიქტორია | 1:0 |
| ვალდჰოფი-დარმშტადტი | 2:1 |

### რეგიონალლიგა (ჩრ)

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ვერდა II-ვილჰელმსჰავენი | 1:3 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

V ტური

| | |
|---|---|
| კამბური-დენ ბოში | 0:3 |
| ექსელსიორი-როზენდალი | 1:0 |
| ვაალვეიკი-ვენლო | 1:1 |
| მაასტრიხტი-იგლზი | 1:1 |
| ომნივორლდი-ჰელმონდი | 0:1 |
| ტოპ ოსი-ემენი | 2:1 |
| ეინდჰოვენი A-აპელდორნი | 3:3 |
| ცვოლე-ტელსტარი | 3:0 |
| ვეენდამი-ფორტუნა | 0:0 |
| ჰაარლემი-დორდრეხტი | 3:0 |

## ბელგია

### II დივიზიონი

II ტური

| | |
|---|---|
| ლიერსი-ლიეჟი | 1:3 |
| ტიენენი-ვაასლანდი | 1:0 |
| ლომელი-ნამენი | 1:0 |
| ვირტონი-ოლ. შარლერუა | 1:1 |
| რონსე-ანტვერპენი | 2:0 |
| დაინზე-ტურნე | 1:2 |
| მოლენბეკი-ჰევერლე | 1:1 |
| ბევერენი-ჰამე | 2:2 |
| ეუპენი-ოსტენდე | 0:0 |

## შოტლანდია

| | |
|---|---|
| კლაიდი-როსი | 0:1 |
| კოუდენბითი-ბერვიკი | 1:2 |
| ლივინგსტონი-არბროათი | 0:2 |
| ქუინი-მორტონი | 0:2 |

## შვედეთი

### II დივიზიონი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ბუნკეფლო-ასირიანსკა | 0:2 |
| სირიუსი-კვიდინგი | 4:0 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ომანი-მაროკო | 0:0 |
| ჰოლანდია-ავსტრალია | 1:2 |
| ფერლე-არმენია | 0:0 |
| ლარისა-ბრაშოვი | 0:1 |
| პაოკ-პარტიზანი | 3:1 |

## დანია

### I დივიზიონი

V ტური

| | |
|---|---|
| ვეილე-როსკილდე | 2:0 |
| სილკებორგი-ჰერფოლგე | 3:0 |
| ფრედერისია-ლუნგბიუ | 0:2 |
| ნიკობინგი-ტისტედი | 1:2 |
| სკივე-ნესტვედი | 2:5 |

### II დივიზიონი (აღმ)

V ტური

| | |
|---|---|
| ბ93-ვაერლოსე | 1:1 |
| გლოსტრუპი-ვესტიელანდი | 0:3 |
| სკიოლდი-გრევე | 0:2 |
| სტენლოსე-ბრონშოი | 2:3 |
| ვანლოსე-სოლეროდი | 5:2 |
| კბ-ჰიკ | 0:0 |
| ავარტა-სკოველუნდე | 4:2 |
| ბრონდბიუ II-ოლსტიკე | 3:1 |

### II დივიზიონი (დას)

V ტური

| | |
|---|---|
| ფინი-ოდენსე II | 3:2 |
| ოლბორგი II-სკოვბაკენი | 2:0 |
| ბლოხუსი-იკასტი | 4:2 |
| ორჰუსი-იორინგი | 3:0 |
| ჰობრო-ესბიერგი II | 2:2 |
| ვარდე-ბრაბრანდი | 0:4 |
| სვენდბორგი-რანდერსი | 1:3 |

## ფინეთი

### II დივიზიონი

XX ტური

| | |
|---|---|
| ოულუ-იიპო | 0:1 |
| კაპა-ტპვ | 2:0 |
| პკ35-ვიიკინგიტ | 1:2 |
| ტპ47-იუვასკიულა | 0:2 |
| გრანკულა-ატლანტისი | 1:4 |
| ჰამეენლინა-კემი | 2:0 |

## ირლანდია

XXV ტური

| | |
|---|---|
| ფინ ჰარფსი-უნივერსიტი | 2:0 |
| სლაიგო-ბოჰემიანსი | 0:1 |

## თურქეთი

### II დივიზიონი

II ტური

| | |
|---|---|
| გიუნგორენი-მალათია | 0:1 |
| მანისა-რიზე | 1:1 |
| გირესუნი-ალთაი | 2:3 |
| ორდუ-ბოლუ | 1:0 |
| ქართალი-სამსუნი | 2:1 |
| ადანა-ბბ გაზიანთეპი | 1:2 |
| ერზიესი-ქასიმფაშა | 1:2 |
| ქარსიაკა-ბარაგუჯი | 2:1 |
| საქარია-დიარბაქირი | დღეს |

## უელსი

IV ტური

| | |
|---|---|
| ქარნარფონი-უელშპული | 2:3 |
| ჰავერფორდვესტი-ქერსოესი | 2:0 |
| პორტმადოგი-რილი | 0:3 |
| ლანელი-ერბასი | 3:2 |
| ნითი-ბანგორი | 0:1 |
| ნიუთაუნი-ტნს | 0:0 |
| პორტ ტალბოტი-კონაისი | 0:2 |
| არესბაზინი-სეუნი | გადაიდო |

## ჩეხეთი

### II დივიზიონი

VI ტური

| | |
|---|---|
| სპარტა II-ვიტკოვიცე | 4:1 |
| ფულნეკი-ოლომოუცი | 2:2 |
| კარვინა-სოკოლოვი | 1:4 |
| ოპავა-ტრშინეცი | 1:2 |
| სლოვაცკო-ჩასლავი | 2:0 |
| ბოჰემიანსი-მოსტი | 2:2 |
| ჰრადეცი-დუკლა | 1:1 |
| უსტი-იიჰლავა | 0:0 |

## ჩრ. ირლანდია

IV ტური

| | |
|---|---|
| დუნგანონი-ლისბერნი | 0:1 |
| კრუზეიდერსი-კოლრეინი | 2:1 |
| ნიური-კლიფტონვილი | 1:0 |
| ინსტიტუტი-ბალიმენა | 1:1 |
| გლენტორანი-ბანგორი | 1:0 |

## ბრაზილია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| კორიტიბა-ბოტაფოგო | 0:1 |
| ფლუმინენსე-გრემიო | 0:0 |
| ინტერნასიონალი-პორტუგეზა | 1:0 |
| ნაუტიკო-იპატინგა | 2:0 |

## აშშ

| | |
|---|---|
| ტორონტო-ჩივასი | 1:3 |
| კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 3:0 |
| ჩიკაგო-ნიუ იორკი | 1:0 |
| სან ხოსე-დი სი იუნაიტედი | 2:1 |
| ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი | 2:2 |
| ჰიუსტონი-კანზასი | 3:1 |

## ევრო 2009

### Under 21

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ფარერები | 2:2 |
| თურქეთი-ჩეხეთი | 2:0 |
| სერბეთი-უნგრეთი | 8:0 |
| ბოსნია-რუმინეთი | 1:1 |

სამხრეთ აფრიკა 2010. საკვალიფიკაციო ტურნირი. ევროპა

# ცხოვრებისეული კანონზომიერება

## დომენეკი და პიცურკა კრიტიკის ქარ-ცეცხლში, კაპელოსაც უსაყვედურეს



კოულს გააქვს მეორე გოლი ანდორის კარში

**შაბათს** ევროპული გუნდები მუნდიალის გზას დაადგნენ. პირველ ტურში რამდენიმე სენსაცია დაფიქსირდა. ახალი ციკლი, ახალი ამბიციები, სამწვრთნელო დებიუტები და გადახალისებული შემადგენლობები - ამ კუთხით პირველი ტური ყოველთვის საინტერესოა. აბა, როგორ იქნებოდა სენსაციის გარეშეც: ლიტვამ სტუმრად რუმინეთი გაანადგურა, ავსტრიამ კი ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით საფრანგეთს სასტარტო ალიყური გააწნა...

### I ჯგუფი

**უნგრეთი-დანია 0:0**

**უნგრეთი:** ბაბოში, შელეში, იუჰაში, ვანჩაკი, ბოდნარი, ვადოში, დარდაი, გერა, ჰაინალი, ჯუჯაკი (46. ტორგელე), ჰუშტი (90. რუდოლფი).

**დანია:** ანდერსენი, იაკობსენი, ლაურსენი, აგერი, კრისტოფერ პოულსენი, კრისტიან პოულსენი, იენსენი, ვინგაარდი (61. ბორინგი), რომედალი, ტომასონი (68. რეტოვი), ბენდტნერი (87. ნიგაარდი).

**მაყურებელი:** 18 000

**მალტა-პორტუგალია 0:4**

**მალტა:** ჰაბერი, ბაიადა, საიდი, დიმეში, აგიუსი (80. ფენეში), ბრიფა, მიფსუდი, ვუდსი (59. მალია), სკერი (70. ბარბარა), სამუტი, პეისი.

**პორტუგალია:** კუიმი, ბოსინგვა, პეპე, კარვალიო, ანტუნეში, მეირელეში, ნანი, მარტინში (63. მანიშე), ალმეიდა (67. ნუნუ გომეში), დეკუ, სიმაო (75. მუტინიო).

**გოლები:** 0:1 საიდი (25-საკ. კარში), 0:2 ალმეიდა (61), 0:3 სიმაო (71), 0:4 ნანი (78)

**მაყურებელი:** 11 000

**ალბანეთი-შვედეთი 0:0**

**ალბანეთი:** ბექაი, ვანგიელი, დალკუ, კანა, კური, დურო, ჰიკა, ბაქაი, შკელა (84. აგოლი), ლალა, სალიჰი (75. ბერიშა).

**შვედეთი:** ისაკსონი, ნილსონი, მელბერგი, მაისტროვიჩი, ჰანსონი, ლინდეროთი (6. ს. ლარსონი), ვენდტი (78. სტოორი), ანდერსონი, კალსტრიომი (84. ჰოლმენი), იბრაჰიმოვიჩი, ჰ. ლარსონი.

**მაყურებელი:** 14 000

„ფერენც პუშკაშზე" გამართული მატჩი უინტერესო გამოდგა. პირველი ტაიმის დიდი ნაწილი ორივე გუნდმა დუნედ ითამაშა. მას მერე, რაც დანიელთა არსენალელმა ფორვარდმა **ბენდტნერმა** ბურთი ძელს მოარტყა, უნგრელები შედარებით გამოცოცხლდნენ. **ჰუშტის** რეალური მომენტი შეექმნა და უკეთ გარჯაც მართებდა, მაგრამ ბურთი პირდაპირ მეკარე **ანდერსენს** ჩააბარა. საგოლე მომენტების სიმრავლით არც მეორე ტაიმი გამოირჩეოდა. საუკეთესო შანსი მასპინძელთა კაპიტან **გერას** ჰქონდა, მაგრამ ჰუშტის არ იყოს, დამაგვირგვინებელი დარტყმა არც მისი ვარგოდა. საბოლოოდ, ფრე, რომლითაც ორივე გუნდი, წესით, კმაყოფილი უნდა იყოს, მაგრამ კმაყოფილი - თამაშის სცენარიდან გამომდინარე, თორემ სამქულიან სტარტზე უარს ვინ იტყოდა?

**კარლუშ კეიროშმა** პორტუგალიის ნაკრებში ოფიციალური დებიუტი გამარჯვებით აღნიშნა. თუმც ვერ ვიტყვით, რომ ჯგუფის ფავორიტს საყვედური არ ეკუთვნის. სტუმრებმა პირველ ნახევარში ძალიან ცუდად ითამაშეს. **კრისტიანო რონალდოს** გარეშეც ამ შემადგენლობის პოტენციალი სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ პორტუგალიელთა ქომაგებს ნაკლები ენერვიულათ. გადამწყვეტი აღმოჩნდა მატჩის ბოლო ნახევარი საათი, როცა მალტელთა კარში 3 გოლი გავიდა. მანამდე კი კეიროშის გუნდს ხელი გაუმართა მალტის ნაკრების მცველმა **საიდიმ**, რომელმაც **ბოსინგვას** ფლანგური ჩაწოდება საკუთარ კარში ჩაჭრა.

ყველაფერი კალაპოტში ჩადგა მას მერე, რაც ვერდერელი **ალმეიდა** მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში და **ჰაბერი** უსაქმოდ დატოვა. ცხადი იყო, რომ მალტა ველარ გაძლებდა. ცოტა ხანში **სიმაომ ნანის** დარტყმულს დაამატა, მერე კი თავად ნანიმ დაასრულა შეტევა.

ალბანეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა **არი ჰაანმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა რეპუტაცია მწვრთნელისა, რომელიც სადებიუტო მატჩებს არ აგებს. თუმცა ამჯერად ჰოლანდიელი უფრო იღბალს უნდა უმადლოდეს, რომ მისი გუნდი ქულას გამორჩა. **ჰენრიკ ლარსონს** ორი ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდა, **იბრაჰიმოვიჩმა** კი ძელის სიმყარე შეამოწმა...

სკანდინავიელებს წამყვანი მოთამაშეები აკლდათ **ვილჰელმსონის, სვენსონისა** და **ელმანდერის** სახით, მატჩის დასაწყისში კი ტრავმირებულებს ნახევარმცველი **ლინდეროტიც** შეუერთდა. ამან თამაშში გარკვეული კორექტივები შეიტანა, თუმც ალბანელებმა შვედების პრობლემებით ვერ ისარგებლეს.

**10 სექტემბერი**

შვედეთი-უნგრეთი
ალბანეთი-მალტა
პორტუგალია-დანია

### II ჯგუფი

**მოლდოვა-ლატვია 1:2**

**მოლდოვა:** კალანჩეა, ლაშჩენკოვი, გოლოვატენკო, ეპურეანუ, რებეჟა, კორნეენკოვი, ბორდიანი, სუვოროვი (67. ტიგირლასი), ანდრონიკი (61. ალექსეევი), ფრუნზა, პიკუშიაცი.

**ლატვია:** ვანინსი, სტეპანოვსი, ასტაფიევსი, ლაიზანსი, კლავა, კაჩანოვსი (90. ზირნისი), სოლონიცინსი, ვერპაკოვსკისი (75. რუბინსი), კარლსონსი, გორკსი, პერეპლოტკინსი (83. კოლესნიჩენკო).

**გოლები:** 0:1 კარლსონსი (8), 0:2 ასტაფიევსი (22), 1:2 ალექსეევი (76)

**მაყურებელი:** 4 300

**ისრაელი-შვეიცარია 2:2**

**ისრაელი:** ავათი, ზივი, კოზოკინი, ბენ ჰაიმი, სტროლი, ტომა, კაიალი (62. ოჰაიონი), ბენაიუნი, კოენი, კოლაუტი (46. საჰარი), გოლანი (65. ბარდა).

**შვეიცარია:** ბენალია, ლიხტშტაინერი, მანინი, ჯურუ, გრიხტინგი, ჰუგელი, ბარნეტა (71. ფონლანტენი), ბეჰრამი (87. შპიხერი), ინლერი, ნკუფო, იაკინი (75. აბდი).

**გოლები:** 0:1 იაკინი (45), 0:2 ნკუფო (56), 1:2 ბენაიუნი (73), 2:2 საჰარი (90)

**მაყურებელი:** 31 000

**ლუქსემბურგი-საბერძნეთი 0:3**

**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, შტრასერი, ჰოფმანი, მუტში, კინციგერი, პეტერსი, ლეევკი (58. მოტა), ბეტმერი, პაიალი, ლომბარდელი (68. ლანგი), კიტენჟი (81. ფერეირა).

**საბერძნეთი:** ჩალკიასი, სეიტარიდისი, დელასი, კირიაკოსი, ტოროსიდისი, ბასინასი (46. სალპინგიდისი), კარაგუნისი, კაცურანისი, გეკასი (81. სპიროპულოსი), ლიბეროპულოსი (66. პაცაცოღლუ), ხარისტეასი.

**გოლები:** 0:1 ტოროსიდისი (36), 0:2 გეკასი (45), 0:3 ხარისტეასი (77-პენ)

**მაყურებელი:** 4 596

ოთხწლიანი პაუზის შემდეგ მოლდოვამ საშინაო მატჩი ტირასპოლში გამართა. მიუხედავად ამისა, „შერიფის" სტადიონი სანახევროდაც არ შეივსო. პრობლემები იყო თამაშის წინაც. მაგალითად, მოლდოველთა მწვრთნელმა **იგორ დობროვოლსკიმ** ვერ ათამაშა **ალექსანდრ გაცკანი** და **ნიკოლაი ჟოსანი**, რომლებმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს, ამას გარდა, ტრავმირებული იყო **ბუგაევი**...

მატჩი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. პირველი ნახევარი ბალტიელებმა აქტიურად ჩაატარეს და ორი გოლიც გაიტანეს, მეორეში კი უკვე მასპინძელი დომინირებდა, თუმცა დობროვოლსკის გუნდი მაინც გვიან გამოცოცხლდა. დაგვიანებული იყო **ალექსეევის** გამოყვანაც. ფაქტი კი ერთია - **ალექსანდრ სტარკოვსმა** ახალგაზრდა და ნაკლებად გამოცდილ კოლეგას უშუალო დაპირისპირებაში აჯობა. შესაძლოა, სტარკოვსმა იმითიც იეშმაკა, რომ მატჩის წინ ფავორიტად მეტოქე დაასახელა...

ისრაელის ნაკრებთან გაყოფილი ქულების გამო **ოტმარ ჰიტცფელდი** გაორებულ მდგომარეობაშია. ერთი მხრივ, შესარჩევი ციკლის ფრით დაწყება, თანაც გასვლაზე და თან კიდევ ისეთ სერიოზულ ნაკრებთან, როგორიც ისრაელია, ნორმალურ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ. მაგრამ მაშინ, როცა თამაშს ორბურთიანი სხვაობით იგებ და მეტოქე უკანასკნელ წუთზე „დაგწვავს", დაგვეთანხმებით, მძიმე ასატანია.

პირველი ტაიმის მიწურულს შვეიცარიელებმა საჭირო გოლი გაიტანეს. კაპიტანმა **იაკინმა** ანგარიში საჯარიმო დარტყმით გახსნა. მეორე ნახევრის სტარტზევე იგივე იაკინი **ნკუფოს** დაეხმარა და ანგარიში 2:0 გახდა. საინტერესოა, რომ ჰიტცფელდს ანგარიშის შენარჩუნება არც უცდია, მეტიც, მალე მოედანზე **ფონლანტენიც** შეუშვა. თუმცა **ბენაიუნის** გოლმა სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. „ლივერპულის" ნახევარმცველმა შეცვლაზე შესული **საჰარის** პასით ისარგებლა და თამაშს ინტრიგა დაუბრუნა. მერე კი ახალგაზრდა საჰარი იქცა მატჩის გმირად. უკანასკნელ წუთზე იერიში მეკარე **ავათიმ** დაიწყო, მეტოქის ნახევარზე ბურთი **ოჰაიონმა** მიიღო და შორეული ძელისკენ ჩაჰკიდა, სადაც ყველას საჰარიმ დაასწრო - 2:2.

უცნაურია, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ **ოტო რეჰაგელს** რევოლუცია არ დაუწყია. საბერძნეთის ნაკრები, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. როგორც ჩანს, „მეფე-ოტო" კვლავ ძველი გვარდიით აპირებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას. ლუქსემბურგთან მოსაგებად ეს სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ დანარჩენებთან...

**10 სექტემბერი**

მოლდოვა-ისრაელი
ლატვია-საბერძნეთი
შვეიცარია-ლუქსემბურგი

### III ჯგუფი

**პოლონეთი-სლოვენია 1:1**

**პოლონეთი:** ფაბიანსკი, ბოზაცკი (50. იოპი), ვასილევსკი, მიხ. ჟევლაკოვი, კოვალჩიკი, მურავსკი (46. ბანდროვსკი), ლევანდოვსკი, კრჟინოვეკი, გერეირო (71. საგანოვსკი), ბლაშჩიკოვსკი, პიშჩეკი.

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, ბრეჩკო, სულერი, ჩესარი, ილიჩი, შიშიჩი, კომაჩი (84. ზლოგარი), კორენი, კირმი (70. ბირსა), დედიჩი (90. მატიჩი), ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 1:0 მიხ. ჟევლაკოვი (17-პენ), 1:1 დედიჩი (35)

**მაყურებელი:** 7 000

**სლოვაკეთი-ჩრ. ირლანდია 2:1**

**სლოვაკეთი:** შენეცი, დურიცა, შკრტელი, პეკარიკი, პეტრაში, კარჰანი (75. ზაბავნიკი), კოზაკი, იაკუბკო (59. სვენტო), ჰამშიკი, საპარა, ვიტეკი (84. მინტალი).

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი, ბეირდი (78. შილსი), ჰიუზი, კრეიგანი, მაკკარტნი, ევანსი, დევისი, გილესპი (53. ფინი), კლინგენი, პატერსონი (66. ბრუნტი), ჰილი.

**გოლები:** 1:0 შკრტელი (46), 2:0 ჰამშიკი (70), 2:1 დურიცა (81-საკ. კარში)

**მაყურებელი:** 5 445

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ **ლეო ბეენჰაკერმა** პოლონეთის ნაკრებში რამდენიმე ახალი მოთამაშე მიიწვია, „ჰერტაში" მოთამაშე **პიშჩეკი** კი სულაც ძირითადში გაამწესა. ჰოლანდიელის ამ გადაწყვეტილებას სპეციალისტები დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრიან. თამაშმაც დაამტკიცა, რომ პიშჩეკი ნაკრებისთვის მზად არ არის, ისევე, როგორც შესარჩევის სტარტისთვის მზად არ აღმოჩნდა თავად პოლონეთის ნაკრებიც. ბეენჰაკერის გუნდს, ფაქტობრივად, არაფერი გამოსდიოდა. ანგარიში გახსნა **მიხალ ჟევლაკოვმა**, რომელმაც, ცოტა არ იყოს, საეჭვო 11-მეტრიანი აქცია გოლად. სლოვენიელმა **დედიჩმა** კი **ნოვაკოვიჩის** ბრწყინვალე გადაცემით აღადგინა წონასწორობა. პირველ ტაიმში მასპინძლებს ერთი შანსი ჰქონდათ, როცა **ბლაშჩიკოვსკის** დარტყმული ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში სლოვენიის ნაკრები გაცილებით სახიფათოდ უტევდა. **მატიაჟ კეკის** ბიჭები გაიმარჯვებდნენ კიდეც, რომ არა **ვასილევსკი**, რომელმაც ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ბეენჰაკერმა მადლობა უნდა უთხრას მეკარე **ფაბიანსკისაც**, ვინაც გუნდი დედიჩის დარტყმის შემდეგ იხსნა.

ბრატისლავაში თავიდან უკეთ ბრიტანული ნაკრები გამოიყურებოდა, თამაშშიც პირველად სლოვაკთა მეკარე **შენეცი** ჩაერთო, როცა **კლინგენის** ურთულესი დარტყმა მოიგერია. მერე და მერე, **ვლადიმირ ვაისის** შეგირდებმა თამაში გამოასწორეს და მეორე ტაიმის დასაწყისში დაწინაურდნენ კიდეც: საჯარიმო ჩაწოდების შემდეგ „ლივერპულის" მცველმა **შკრტელმა** მცველ **ევანსს** დაასწრო და ეფექტური თავურით შეაგდო.

მერე უპირატესობას ისევ **ნაიჯელ უორთინგტონის** გუნდი დაეუფლა. ერთ ეპიზოდში არბიტრს მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტის დანიშვნაც შეეძლო, მაგრამ **პეტრაშის** მხრიდან აშკარად ხელით თამაში ვერ შენიშნა. ეს იყო და, **ჰამშიკმა ვიტეკის** ჩაწოდებას მეორე გოლიც მოაყოლა. თითქოს, სლოვაკებს მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ **დურიცას** ავტოგოლმა „გაკეთებული" თამაში კინაღამ თავდაყირა დააყენა...

**10 სექტემბერი**

სლოვენია-სლოვაკეთი
სან მარინო-პოლონეთი
ჩრ. ირლანდია-ჩეხეთი

### IV ჯგუფი

**უელსი-აზერბაიჯანი 1:0**

**უელსი:** ჰენესი, განტერი, მორგანი, უილიამსი, ბეილი, დეივისი, ფლეტჩერი, ედვარდსი (72. ვოუკსი), ლედლი, კუმასი (89. რობინსონი), ერნშოუ (62. ევანსი).

**აზერბაიჯანი:** არხაევი, მელიქოვი, სადიგოვი, იუნისოღლუ, ფაბიო ლუიში, ნ. მამადოვი (76. ნდუკა), ბაკშიევი, აბასოვი, ე. მამადოვი, ჰუსეინოვი (46. ნაბიევი), სუბაშიჩი.

**გოლი:** 1:0 ვოუკსი (83)

*66-ე წუთზე კუმასმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაძევება:** ფაბიო ლუიში (68. აზერბაიჯანი)

**მაყურებელი:** 17 106



ჰიტცფელდს ცარმატებულ დებიუტამდე რამდენიმე წამი დააკლდა


გერმანელთა გამარჯვებას საფუძველი პოდოლსკის დუბლმა ჩაუყარა

**ლიხტენშტაინი-გერმანია 0:6**

**ლიხტენშტაინი:** იელე, დ'ელია, მარტ. შტოკლაზა, გერსტერი, ბურგმაიერი, პოლვერინო (64. როლერი), რიტცბერგერი, მ. ბიუხელი, ფიშერი (87. რ. ბიუხელი), კრისტენი (74. თ. ბეკი), მ. ფრიკი.

**გერმანია:** ენკე, ფრიტცი, ტასკი, ვესტერმანი, ლამი, შვაინშტაიგერი, როლფესი (69. მარინი), ჰიტცლშპერგერი, ტროხოვსკი, კლოზე (64. გომესი), პოდოლსკი (76. კურანი).

**გოლები:** 0:1 პოდოლსკი (21), 0:2 პოდოლსკი (48), 0:3 როლფესი (65), 0:4 შვაინშტაიგერი (66), 0:5 ჰიტცლშპერგერი (76), 0:6 ვესტერმანი (87)

**მაყურებელი:** 6 127

გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. როგორც მოსალოდნელი იყო, **იოახიმ ლიოვის** გუნდმა ლიხტენშტაინს კარგი საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა - ანგარიში ტრადიციულად, ყველაფერზე მეტყველებს: 6:0 ბუნდესგუნდის სასარგებლოდ.

პირველი გოლი **ლუკას პოდოლსკიმ** 21-ე წუთზე გაიტანა, გამოიყენა რა **პიოტრ ტროხოვსკის** პასი, ლიხტენშტაინელთა მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა. დანარჩენი 5 გოლი კი ალემანებმა მეორე ტაიმში გაიტანეს. აქედან, პირველი ისევ პოდოლსკის ანგარიშზეა და ისევ ტროხოვსკის, ოღონდ ამჯერად გენიალური (როგორც გიუნტერ ნეტცერმა აღნიშნა) პასით. ეს 48-ე წუთზე მოხდა და ეს გახლდათ პოდოლსკის რიგით 30-ე სანაკრებო გოლი. მატჩის შემდეგ პოლდიმ ამაყად განაცხადა: *„გერმანიის ნაკრებში ყოველთვის უდიდესი სიამოვნებით ვთამაშობ და ყოველთვის გამაქვს ჩემი გოლები“.*

ერთადერთი გერმანელი ფეხბურთელი, ვინც უდიდეს კრიტიკას იმსახურებს, **მიროსლავ კლოზეა**. დროა, ამ უკანასკნელს „ბაიერნისთვისაც“ და ბუნდესგუნდისთვისაც პრობლემა ვუწოდოთ, რადგან აგერ უკვე რამდენიმე თვეა, რაც მირო თავის თავს აღარ ჰგავს და კაციშვილმა არ იცის, რატომ. **მიხაელ ბალაკის** არყოფნის გამო, კაპიტნის სამკლაური სწორედ კლოზეს ემოსა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბუნდესნაკრებს ასეთი სუსტი კაპიტანი დიდი ხანია, აღარ ჰყოლია. შესაბამისად, არც ისაა გასაკვირი, რომ კლოზე პირველი ფეხბურთელი იყო, რომელიც ლიოვმა შეცვალა - 64-ე წუთზე. ეს მატჩი მიროსთვის რიგით 83-ე სანაკრებო შეხვედრა გახლდათ და მას უბრალოდ არაფერი გამოსდიოდა - ლიხტენშტაინთანაც კი! მეტიც, 34-ე წუთზე მან ათი მეტრიდან ააცილა.

და როდესაც კლოზე მოედნიდან გავიდა, გერმანელებმა 4 გოლი გაიტანეს. ჯერ **როლფესმა** იხეირა, მერე ახალმა კაპიტანმა **შვაინშტაიგერმა** და ეს ყველაფერი ერთ წუთში მოხდა. მოგვიანებით, **ჰიტცლშპერგერმა** ჯარიმა შეაგდო, მატჩის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე კი ნერტილი **ჰაიკო ვესტერმანმა** ზუსტი თავური დარტყმით დასვა. ლიხტენშტაინელებს საგოლე მომენტები, რა თქმა უნდა, არ ჰქონიათ. გერმანიის ნაკრები ახლა მეორე ნაბიჯისთვის ემზადება: ოთხშაბათს ლიოვის გუნდი ფინეთს სტუმრობს. **იოახიმ ლიოვი:** *„ეს თამაში აუცილებლად უნდა მოგვეგო და მოვიგეთ კიდეც“.*

ჯგუფის მეორე შეხვედრაში კი უელსის ნაკრებს აზერბაიჯანის დამარცხება ძალიან გაუჭირდა და მხოლოდ 1:0 მოუგო. აზერბაიჯანს, როგორც იცით, **ბერტი ფოგტსი** წვრთნის და 1996 წლის ევროპის ჩემპიონი მწვრთნელის გუნდი უელსელთა იერიშებს დიდხანს უძლიანდებოდა. 67-ე წუთზე ბრიტანელებმა თერთმეტმეტრიანიც ვერ გაიტანეს - **კუმასმა** ვერ ივარგა. მაგრამ ბოლოს, 83-ე წუთზე გატანილი გოლით მაინც შეძლეს საჭირო 3 ქულის მოპოვება.

**10 სექტემბერი**

რუსეთი-უელსი
აზერბაიჯანი-ლიხტენშტაინი
ფინეთი-გერმანია

**V ჯგუფი**

**ესპანეთი-ბოსნია 1:0**

**ესპანეთი:** კასილიასი, რამოსი, პუიოლი, ალბიოლი, კაპდევილია, ინიესტა, ჩავი, სენა, ფაბრეგასი (64. ჩაბი ალონსო), კაპელი (72. კასორლა), ვილია (84. გუისა).

**ბოსნია:** ჰასაგიჩი, ბერბეროვიჩი (65. იბიშევიჩი), ნადარევიჩი, რადელიჩი, ვლადავიჩი, დამიანოვიჩი (80. იბრიჩიჩი), მურატოვიჩი, სალიჰოვიჩი, მისიმოვიჩი, რაჰიმიჩი, ჯეკო (84. ჰიანიჩი).

**გოლი:** 1:0 ვილია (57)

*36-ე წუთზე ვილიამ ვერ გაიტანა პენალტი (ააცილა)*

**მაყურებელი:** 32 000

**სომხეთი-თურქეთი 0:2**

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ჰოვსეპიანი, არზუმანიანი (35. ხაჩატრიანი), თადევოზიანი, პაჩაიანი, ვოსკანიანი, არაქელიანი, არმან კარამიანი, მკრტჩიანი, მხითარიანი (65. ზებელიანი), მანუჩარიანი (76. არტავაზ კარამიანი).

**თურქეთი:** ვოლქანი, გოხან გონული, სერვეთი, ჰაქან ბალთა, გოხან ზანი, ემრე ბელოზოღლუ, არდა, მეჰმეთ აურელიო, თუნჯაი (66. აიჰანი), მევლუთი (55. ქაზიმ-რიჩარდსი), სემიჰი (82. გოხან უნალი).

**გოლები:** 0:1 თუნჯაი (60), 0:2 სემიჰი (78)

**მაყურებელი:** 25 000

**ბელგია-ესტონეთი 3:2**

**ბელგია:** სტიინერი, კომპანი, სიმონსი, ვან ბუიტენი, ვერმაელენი (70. ვან დამი), დეფური, ვერტონგენი, ფელაინი, ვიტსელი, მირალასი (76. დე სუტერი), სონკი (90. ჰუისეგემსი).

**ესტონეთი:** ლონდაკი, იააგერი, ბარენგრუბი, პიიროია (43. სტეპანოვი), კრუგლოვი, კინკი (78. პური), დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერე, ზენიოვი (60. ვუნკი), ოპერი.

**გოლები:** 1:0 სონკი (40), 1:1 ზენიოვი (57), 2:1 დეფური (75), 3:1 სონკი (80), 3:2 ოპერი (90)

**მაყურებელი:** 12 000

ევროპის ჩემპიონმა მუნდიალისკენ სავალი გზა გამარჯვებით დაიწყო. წარმატებული აღმოჩნდა **ვისენტე დელ ბოსკეს** დებიუტიც. ესპანურმა პრესამ, მილოცვასთან ერთად, ახალ მწვრთნელს სიფრთხილისკენაც მოუწოდა. „სელექსიონის“ თამაშის ხარისხი ძალიან შორს იყო იმისგან, რაც ევროფორუმზე ვნახეთ. თუმცა ეს არ უნდა იყოს გასაკვირი. დიდი წარმატებების შემდეგ ჩავარდნა იწყება ხოლმე. ეს ცხოვრებისეული კანონზომიერებაა. ახლა დელ ბოსკეს მთავარი ამოცანაა, ამ ჩავარდნამ სტაბილური ხასიათი არ მიიღოს. ამიტომაც შემოუძახეს მწვრთნელს.

რა თქმა უნდა, საერთო უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო, მაგრამ ბოსნია, რომელსაც ლეგენდარული **მიროსლავ ბლაჟევიჩი** უდგას სათავეში, თავსაც კარგად იცავდა და კონტრშეტევებსაც არ ერიდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმის ბოლოს **ვილიამ** პენალტი ააცილა, გამარჯვების გოლი მაინც მის ანგარიშზე ჩაიწერა. დავიდმა მეკარეს გვერდი აუარა და ცარიელ კარში თითქმის პირითი ხაზიდან შეაგდო. აი, რა თქვა დელ ბოსკემ ნამატჩევს:

*„პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მეორეში თამაში გაიხსნა და ეს უკვე ჩვენი სტიქიაა. მეტის გატანაც შეგვეძლო, თუმცა შეტევის ბოლო ფაზაში აკურატულობა გვაკლდა. გამარჯვება სწორედ ამ შანსების გამოუყენებლობამ და ვილიას მიერ გაცუდებულმა პენალტმა გაგვიძნელა. ვფიქრობ, ეს თამაში კარგი გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენთვის“.*

„რაზდანზე“ უბრალო თამაში არ ყოფილა. სომხეთ-თურქეთის ურთიერთობის ამბავი ვინც იცის, ადვილად მიხვდება, რამხელა დატვირთვა ჰქონდა ერევნის მატჩს. სხვათა შორის, თურქეთის პრეზიდენტმა **აბდულა გიულიმაც** თავისი ისტორიული ვიზიტი შესარჩევ შეხვედრას დაამთხვია. გასაკვირი ის იყო, რომ სომხეთის მთავარი სტადიონი არ შეივსო. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ახლა თბილისში საქართველო-რუსეთის დაპირისპირება რომ გამართულიყო...

დავანებოთ ამას თავი და ორიოდ სიტყვით ვთქვათ მატჩზე, რომელიც თავიდანვე ორმხრივი იერიშებით წარიმართა. სომხები თითქოს ტოლს არაფერში უდებდნენ მეტოქეს, მაგრამ კლასში განსხვავება მაინც ნელ-ნელა გამოიკვეთა. **ფათიჰ თერიმის** შეგირდები უფრო მეტ სიმწვავეს ქმნიდნენ და მოსალოდნელი იყო, რომ ადრე თუ გვიან ამას შედეგშიც ასახავდნენ...

მაგრამ, ვიდრე თერიმმა მოედანზე **ქაზიმ-რიჩარდსი** არ შეუშვა, თურქებმა გადამწყვეტი უპირატესობა მაინც ვერ მოიპოვეს. ქაზიმმა კი მაშინვე მიჰყო ხელი სომეხთა დაცვის დაწიოკებას. მე-60 წუთზე მან დასარტყმელად დაუგდო **თუნჯაის** და ანგარიშიც გაიხსნა.

თურქები უფრო ლაღად ათამაშდნენ, მასპინძლებმა კი თითქოს ყურები ჩამოყარეს. 77-ე წუთზე **სემიჰმა** კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კარში მიუჩინა ადგილი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თერიმი [illegible] იყო - 4 სექტემ[illegible] და ბიჭები ამაზე კარგ საჩუქარს რას მომართმევდნენო.

ბელგიის ნაკრებს ესტონელთა დამარცხება გაუჭირდა. მართალია, პირველი სახიფათო მომენტი ბალტიელებმა შექმნეს, მაგრამ ტაიმის მიწურულს ბელგიამ საჭირო გოლი „გამოაცხო“. **ვიტსელი**, რომელიც ძირითადში ტრავმირებული **დემბელეს** ნაცვლად დააყენეს, მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და **სონკს** საგოლედ „დაუხატა“. უნდა ითქვას, რომ ესტონელები სულაც არ გრძნობდნენ თავს უიმედო სტუმრებად. მაშინაც კი, როცა ანგარიში 3:1 გახდა, ბელგიელთა კართან სიმშვიდე არ ყოფილა. **ოპერმა** მხოლოდ სხვაობის შემცირება შეძლო, თორემ ცოტა მეტი დრო ჰქონოდათ ესტონელებს, ეგებ ლიეჟიდან ქულაც წაეღოთ.

**10 სექტემბერი**

თურქეთი-ბელგია
ბოსნია-ესტონეთი
ესპანეთი-სომხეთი

**VI ჯგუფი**

**ანდორა-ინგლისი 0:2**

**ანდორა:** ალვარესი, ჩემა, ანტონი ლიმა (90. ფერნანდესი), ილდეფონს ლიმა, სონეხე, გარსია, ვიეირა, ხიმენესი, პუხოლი (90. ვალესი), ანდორა, სილვა (65. ტოსკანო).

**ინგლისი:** ჯეიმსი, ჯონსონი, ლესკოტი, ტერი, ე. კოული, უოლკოტი, ლემპარდი (79. ბექჰემი), ბერი, დაუნინგი (46. ჯ. კოული), რუნი, დეფო (46. ჰესკი).

**გოლები:** 0:1 ჯ. კოული (49), 0:2 ჯ. კოული (55)

**მაყურებელი:** 17 500

**უკრაინა-ბელარუსი 1:0**

**უკრაინა:** პიატოვი, რუსოლი, იარმაში, კალინიჩენკო (46. ალიევი), კრავჩენკო, ტიმოშჩუკი, ნაზარენკო, მიხალიკი, შევჩუკი, ვორონინი (58. სელეზნიოვი), მილევსკი (74. შევჩენკო).

**ბელარუსი:** ჟევნოვი, სტრახანოვიჩი, კულჩი, პუტილო (79. პავლოვი), ვერხოვცოვი, ფილიპენკო, ომელიანჩუკი, ბულიგა (72. ვ. გლები), ა. გლები, კუტუზოვი, კორიტკო (67. ჩუხლეი).

**გოლი:** 1:0 შევჩენკო (90-პენ)

**მაყურებელი:** 20 000

**ხორვატია-ყაზახეთი 3:0**

**ხორვატია:** პლეტიკოშა, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, ჩორლუკა, პრანჯიჩი, ნ. კოვაჩი, მოდრიჩი (83. პოკრივაცი), სრნა, რაკიტიჩი, ოლიჩი (87. ჟ. ლეკო), კლასნიჩი (68. პეტრიჩი).

**ყაზახეთი:** ლორია, შმაკოვი, კუჩმა, ჟალმაგამედოვი, ირისმეტოვი, სკორიხი (80. კარპოვიჩი), ბაიზანოვი (56. ჩიჩულინი), ბალტიევი, ოსტაპენკო (84. უზდენოვი), ჟუმასკალიევი, ბიაკოვი.

**გოლები:** 1:0 ნ. კოვაჩი (13), 2:0 მოდრიჩი (36), 3:0 პეტრიჩი (79)

**მაყურებელი:** 23 000




ლიტვამ რუმინეთში სენსაცია მოახდინა

ინგლისის ნაკრების გულშემატკივრები ანდორასთან გოლების ფოიერვერკს ელოდნენ, მაგრამ ხელში შერჩათ **ფაბიო კაპელოს** შეგირდთა მეტად არადამაჯერებელი თამაში და უფერული 3 ქულა. მართალია, გამარჯვება მთავარია, მაგრამ... მაგრამ კაპელოს მაინც მოუწია ახსნა-განმარტებების გაკეთებამ იმის თაობაზე, თუ რატომ გაუჭირდა მის გუნდს უსახური ოპონენტის დამარცხება, იმ ოპონენტის, რომელმაც წინა შესარჩევში (ტრადიციულად) 12-ვე მატჩი წააგო და 42 გოლი გაუშვა. ისმის კითხვა - რა მოხდებოდა, **ჯო კოული** რომ არ ყოფილიყო? ძნელი სათქმელია. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა დიდ მწვრთნელს ინტუიციამ არ უღალატა და ეს უნდა დავაფასოთ.

ნამატჩევს კაპელოს რთულ კითხვებზე მოუწია პასუხის გაცემამ. ისე, გამარჯვებულ მწვრთნელს რომ ამ დღეში ჩააგდებენ, წაგების მერე რაღა იქნება? დონ ფაბიოს მოკლე კომენტარი ასეთია:

*„დიახ, არ დავაყენე ჯო კოული ძირითადში, მაგრამ ვიცოდი, რომ აუცილებლად გამოვიყვანდი. მან კარგად დაიჭირა მომენტი და ორი გოლი გაიტანა. მესმის, რომ ანდორასთან მატჩში ჩვენი თამაში არ მოგეწონათ. არც მე ვარ კმაყოფილი. ტაქტიკური ჩანაფიქრის შესრულება ძალიან გაგვიჭირდა. საერთოდ, ძნელია რაიმე ტაქტიკაზე ლაპარაკი იმ გუნდის წინააღმდეგ, რომელიც 10 ფეხბურთელით იცავს თავს. მეორე ტაიმში უკეთეს ვარიანტს მივაგენით. რუნი და ჯო კოული ჰესკისთან ახლოს განლაგდნენ და შეტევის ზონაში მოქმედებდნენ. მაგრამ როცა ანგარიში 2:0 გახდა, ისინი მოედნის ცენტრში იხევდნენ და ნახევარმცველებს ეხმარებოდნენ. მოვუწოდებდი ჯო კოულსა და რუნის, წინ წასულიყვნენ, რადგან იქ ჰესკი სრულიად მარტოდმარტო იყო. მაგრამ ახლა უნდა ვიფიქრო, თუ რა შემადგენლობა დავაყენო ხორვატიასთან. ეს სულ სხვა თამაში და ატმოსფერო იქნება“.*

კიევის „ოლიმპიისკიზე“ ორმა პოსტსაბჭოურმა გუნდმა ქაოსური ფეხბურთი ითამაშა. პირველ ტაიმში ბელარუსები ოდნავ უკეთ გამოიყურებოდნენ. მასპინძელთა მწვრთნელმა **ალექსეი მიხაილიჩენკომ** ძირითადში არ დააყენა **ანდრეი შევჩენკო** და სწორადაც მოიქცა, რაკი მილანელი ფორმაში არ არის, თუმცა შევჩენკო იყო ის ფეხბურთელი, რომელმაც უკრაინას 3 ქულა მოუტანა. არბიტრის მიერ წამატებულ დროში **ტიმოშჩუკმა** პროვოკაციაზე წამოიკიდა სტუმართა მცველი **ჩუხლეი**, რომელმაც ხელით შეაჩერა ბურთი. შევამ პენალტი აუღელვებლად შეასრულა - 1:0. უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმში უკრაინელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს. მიხაილიჩენკომ „პერტაში“ გადასული **ვორონინის** ნაცვლად ტარანული ტიპის ფორვარდი **სელეზნიოვი** („შახტარიდან“) შეიყვანა და წინა ხაზს სიმწვავე დაუმატა. აქედან გამომდინარე, ის პენალტიცა და გოლიც ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ.

ხორვატია-ყაზახეთზე ბევრს არ მოგაცდენთ. ორი სიტყვით აღვნიშნავთ, რომ **სლავენ ბილიჩის** შეგირდებს ორი ამდენის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ყაზახთა მეკარე **დავით ლორიამ** რამდენიმე „მკვდარი“ ბურთი აიღო და ჩვენი ლორიასგან განსხვავებით, უხეში შეცდომები არ დაუშვია. უბრალოდ, მცველების გადამკიდე, მეტის გაკეთება არ შეეძლო.

**10 სექტემბერი**

ანდორა-ბელარუსი
ყაზახეთი-უკრაინა
ხორვატია-ინგლისი

**VII ჯგუფი**

**რუმინეთი-ლიტვა 0:3**

**რუმინეთი:** ლობონტი, საპურანუ, ტამაში, გოიანი, რადუ (46. მ. ნიკულაე), რადოი (73. ლაზარი), კონტრა, დიკა, ვასილიჩი, დ. ნიკულაე, მარიკა (53. ბრატუ).

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, შემბერასი, დედურა, კლიმავიჩუსი, სტანკევიჩუსი, ზემლინსკასი, ჩესნაუსკისი, მიკოლაიუნასი (80. იანკაუსკასი), პილიბაიტისი (74. სავენასი), დანილევიჩუსი, კსანავიჩუსი (62. კალონასი).

**გოლები:** 0:1 სტანკევიჩუსი (33), 0:2 მიკოლაიუნასი (70), 0:3 კალონასი (86)

**მაყურებელი:** 14 000

**ავსტრია-საფრანგეთი 3:1**

**ავსტრია:** მანინგერი, დარიჩი, პრიოდლი, შტრანცლი, პოგატეცი, აუფჰაუზერი, შარნერი, ჰარნიკი (90. შტანდფესტი), ივანშიტცი (82. ლაიტგები), ფუხსი, იანკო (89. მაიერჰოფერი).

**საფრანგეთი:** მანდანდა, სანია (70. გურკუფი), გალასი, მექსე, ევრა, ლ. დიარა, ტულალანი, ნასრი (79. ანელკა), გოვუ, ბენზემა, ანრი.

**გოლები:** 1:0 იანკო (8), 2:0 აუფჰაუზერი (43), 2:1 გოვუ (60), 351 ივანშიტცი (72-პენ)

**მაყურებელი:** 48 000

**სერბეთი-ფარერები 2:0**

**სერბეთი:** დისლენკოვიჩი, ობრადოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, ვიდიჩი, რუკავინა, სტანკოვიჩი, მილიაში (61. ილიჩი), ტოშიჩი (76. იანკოვიჩი), კრაშიჩი, ჟიგიჩი, პანტელიჩი (57. ლაზოვიჩი).

**ფარერები:** მიკელსენი, ბო, ნაესი, დანიელსენი, ი. იაკობსენი, ტომასენი, დავიდსენი, ბორგი, რ. იაკობსენი, სამუელსენი (69. ლოკინი), ფლოტუმი.

**გოლები:** 1:0 ი. იაკობსენი (31-საკ. კარში), 2:0 ჟიგიჩი (88)

**გაძევება:** ნაესი (84. ფარერები)

**მაყურებელი:** 15 000

ლიტვის ნაკრებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვა კლუჟში, სადაც ბალტიისპირული გუნდი ახალი მწვრთნელის, პორტუგალიელი **ჟოზე კოიშეირუს** ხელმძღვანელობით ჩავიდა. ძნელი სათქმელია, რა დაემართა რუმინეთის ნაკრებს (პირველი საშინაო მარცხი 2005 წლის შემდეგ). **მუტუსა** და **კივუს** არყოფნას, წესით, ისე არ უნდა დაექაბუნებინა **ვიქტორ პიცურკას** გუნდი, რომ მეტოქისთვის მცირე წინააღმდეგობა ვერ გაეწია. უხეში შეცდომები დაუშვა მეკარე **ლობონტმაც** და მასპინძლებმა მადლობა უნდა თქვან, რომ უფრო დიდი ანგარიშით არ წააგეს.

პიცურკა კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოაქციეს. მედიის გარდა, მწვრთნელი არ დაინდო ფეხბურთის ფედერაციამაც. პრეზიდენტმა **მირჩა სანდუმ** ხაზი გაუსვა, რომ „სამარცხვინო წაგება“ ასე იოლად ვერ ჩაივლის. ფარერებთან ოთხშაბათის მატჩის შემდეგ ფედერაცია მწვრთნელის საკითხზე სერიოზულ განხილვას მოაწყობს.

*„პირველი ეტაპის მიზანი იყო, ნაკრებს სამ სასტარტო მატჩში 7 ქულა აეღო. უკვე ნათელია, რომ პიცურკამ ეს ლოკალური ამოცანა ვერ შეასრულა“* - ამბობს სანდუ.

პიცურკას ბედი, შეიძლება, **რაიმონ დომენეკმაც** გაიზიაროს. საფრანგეთის ნაკრებმა პირწმინდად დათმო მატჩი ვენაში, სადაც კიდევ ერთი სამწვრთნელო დებიუტი შედგა. აი, რას ნიშნავს კარგი სპეციალისტის ხელი. ჩეხეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა **კარელ ბრიუკნერმა** მძიმე და მოუქნელი ავსტრია სულ რაღაც თვე-ნახევარში შეცვალა. ტრიბუნაზე ბრძანდებოდა ყოფილი მწვრთნელი **იოზეფ ჰიკერსბერგერიც** და კარგი სანახავი იყო, გაბრწყინებული სახითა და აპლოდისმენტებით რომ აცილებდა გასახდელისკენ თავის ყოფილ შეგირდებს...

მაგრამ სულ სხვა ხასიათზე იყო დომენეკი, რომელსაც ახლა სერბეთთან მოუწევს მდგომარეობის გამოსწორება. არ გამოვრიცხავთ, რომ ქულების დაკარგვის შემთხვევაში, მოსიე რაიმონს კარისკენ მიუთითონ. მანამდე კი მისი კომენტარი, რომელშიც ის ოსტატურად იცილებს თავიდან თამაშის ანალიზს:

*„ძალიან ძნელია ახლა, ცხელ გულზე, იმის გარკვევა, თუ რა მოხდა. კიდევ უნდა ვნახო მატჩი, რათა სათქმელი მეტი მქონდეს. რამ დამწყვიტა გული ყველაზე მეტად? რა თქმა უნდა, წაგებამ“.*

ავსტრიელთა პირველი ორი გოლი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. შორეული საჯარიმო ჩაწოდებებისას ფრანგების დაცვამ ორივეჯერ ერთნაირი შეცდომა დაუშვა. **გოვუს** გოლი იმედის მომტანი კი იყო, მაგრამ რეალურად, ამას არაფერი მოჰყოლია. მეტიც, ავსტრიამ დამსახურებული პენალტით მესამეც გაიტანა და საფრანგეთს ყველანაირი იმედი გადაუწურა.

მოკლედ, „სამფეროვნებს“ სერიოზული პრობლემები აქვთ. გუნდი საგრძნობლად გადახალისდა და ეტყობა, დომენეკი ჯერ თავადაც ვერ გარკვეულა, რა უნდა ქნას. პრესა მას, პირველ რიგში, დაცვის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. ცნობისთვის, ბოლო ოთხ მატჩში ფრანგებმა 11 გოლი გაუშვეს.

მაინცდამაინც მშვიდი დებიუტი არც სერბეთის ნაკრების ახალ მწვრთნელ **რადომირ ანტიჩს** ჰქონია. სახელგანთქმული სპეციალისტის თავკაცობით ბალკანელებმა ძლივს მოუგეს ფარერებს. აღვნიშნოთ ისიც, რომ კუნძულელები ნელ-ნელა სწავლობენ ფეხბურთის თამაშს...

**10 სექტემბერი**

ფარერები-რუმინეთი
ლიტვა-ავსტრია
საფრანგეთი-სერბეთი

**IX ჯგუფი**

**მაკედონია-შოტლანდია 1:0**

**მაკედონია:** მილოშევსკი, ნოვესკი, სედლოსკი, ი. მიტრესკი, პეტროვი (79. გრანკაროვი), ლაზარევსკი, გეორგიევსკი, შუმულიკოვსკი, პანდევი (83. ტაშევსკი), მაზნოვი, ნაუმოსკი (69. ტრაიანოვი).

**შოტლანდია:** გორდონი, ალექსანდერი, მაკმანუსი, კოლდუელი, ნეისმითი, ბრაუნი, ფლეტჩერი, ჰარტლი (66. კომონსი), რობსონი (76. მელოუნი), მილერი (81. ბოიდი), მაკფადენი.

**გოლი:** 1:0 ნაუმოსკი (5)

**მაყურებელი:** 10 000

**ნორვეგია-ისლანდია 2:2**

**ნორვეგია:** იარსტეინი, ჰოგლი, რეგინიუსენი, ვინსნესი, ჰანგელანდი, რიისე, ანდერსენი, ივერსენი, ჰელსტადი, სკილბრედი (70. გრინდჰეიმი), კარიუ (65. პედერსენი).

**ისლანდია:** სტურლუსონი, სევარსონი, ეირიკსონი, კ. სიგურდსონი, ა. გუნარსონი (68. პალმასონი), სტეინსონი, ჰრეიდარსონი, გისლასონი, გუდიონსენი, ჰ. ჰულგუსონი (85. ვ. გუნარსონი), ჰალფრედსონი (74. სტეინარსონი).

**გოლები:** 1:0 ივერსენი (36-პენ), 1:1 ჰ. ჰულგუსონი (39), 2:1 ივერსენი (50), 2:2 ე. გუდიონსენი (69)

**მაყურებელი:** 17 254

**ნაუმოსკის** გოლმა შოტლანდიის ნაკრების ახალ მწვრთნელ **ჯორჯ ბარლის** ოფიციალური დებიუტი ჩაუმწარა. სკოპიეს მატჩში ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა. მაკედონიელთა ფორვარდმა, **სედლოსკის** ჯარიმის შემდეგ, მეკარე **გორდონის** მიერ უხეიროდ მოგერიებულ და მერე ძელიდან ასხლეტილ ბურთს დაამატა. შოტლანდიელებს დიდი დრო ჰქონდათ მატჩის შემოსატრიალებლად და ცდილობდნენ კიდეც ამას, მაგრამ მეკარე **მილოშევსკი** შეუვალი აღმოჩნდა. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ კონტრშეტევებისას მასპინძლებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ. მაგალითად, ის მომენტი გავიხსენოთ, როცა **კოლდუელი მაზნოვს** ბოლო მომენტში „ჩაუწვა“ და ცარიელი კარი არ დაანება.

მომდევნო ტურიდან შესარჩევში ერთვება ჰოლანდიის ნაკრები, რომელმაც ავსტრალიასთან ამხანაგურ მატჩში 1:2 წააგო. სწორედ „ნარინჯისფერთა“ გუნდია მაკედონიელთა მომავალი მეტოქე. ეს უტყუარი ტესტი იქნება იმის დასადგენად, თუ რას წარმოადგენს რეალურად **სრეჩკო კატანეცის** გუნდი.

ბარსელონელი **გუდიონსენის** მიერ საჯარიმო დარტყმით გატანილმა ეფექტურმა გოლმა ისლანდიის ნაკრებს ქულა მოუტანა ნორვეგიასთან ჩრდილოურ დერბიში, რომელიც მთლიანობაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. მაგრამ ეს ქულა იქნებ სანატრელიც გამხდარიყო მასპინძლებისთვის, რომლებიც ბოლო წუთებში მესამე გოლს გადაურჩნენ. შეცვლაზე შესულ **ვიდარ გუნარსონს** ძელისთვის რომ არ მოერტყა...

**10 სექტემბერი**

მაკედონია-ჰოლანდია
ისლანდია-შოტლანდია

გოტფრიდ ლენცი
გიორგი ბელაშვილი


საფრანგეთს წერტილი ივანშიტცმა დაუსვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. სამხრეთ ამერიკა

# ტევესი ხულიგანია



პარაგვაის ნაკრები ბოლო მსოფლიო ჩემპიონატების უცვლელი მონაწილეა და თუ სასწაული არ მოხდა, ამ გუნდს 2010 წელს სამხრეთ აფრიკის მუნდიალზეც აუცილებლად ვიხილავთ.

შვიდი ტურის შემდეგ, "გუარანი" დამაჯერებლად ლიდერობს სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ტურნირს. უკან დარჩნენ ზედმეტად აკადემიური ბრაზილია, თავისსავე ექსპერიმენტებში ჩაკარგული არგენტინა და სხვები. პარაგვაიმ საკუთარ მოედანზე ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონს პირწმინდად მოუგო. მართალია, შაბათს არგენტინასთან მატჩში იმავეს ვერ მიაღწია, მაგრამ ამ გუნდთან სტუმრად ნათამაშები ფრე სწორედაც რომ პარაგვაელების აქტივში უნდა ჩაიწეროს.

სამხრეთ ამერიკის 2007 წლის საუკეთესო მწვრთნელის **ხერარდო მარტინოს** განკარგულებაში არ ყოფილა ქვეყნის ორი საუკეთესო ფორვარდი - **როკე სანტა კრუსი** და **სალვადორ კაბანიასი**. მათი ადგილი **ნელსონ ვალდესმა** და **ოსკარ კარდოსომ** დაიკავეს. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა გასულ უიქენდზე "პორტუს" მეკარე გაანბილა (კარდოსო "ბენფიკაში" თამაშობს). რაც მთავარია, მწყობრში იყო პარაგვაის იდეალურად აწყობილი დაცვა. ბოლივიის მაღალმთიანეთში გაუგებრობას (2:4) თუ არ ჩავთლით, ამ გუნდს ხუთ მატჩში ერთადერთი გოლი ჰქონდა გაშვებული.

მართალია, არგენტინას ბოლო სამ მატჩში გამარჯვება არ ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ ამ გუნდის ბანაკში მაინც ამაღლებული განწყობა სუფევდა. ოლიმპიურმა ნაკრებმა პეკინში ოქროს მედალი მოიგო. იმ გუნდის ბევრმა ფეხბურთელმა დისლოკაციის ადგილი შეიცვალა და ეროვნული გუნდის სამსახურში ჩადგა.

წინასწარვე იყო ცნობილი, რომ არგენტინელთა ძირითადში იქნებოდა ოლიმპიური ტურნირის ერთ-ერთი გმირი, ნიგერიასთან ფინალში "ოქროს" გოლის ავტორი **ანხელ დი მარია**. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი რამდენიმე თვის წინ ვერც კი იოცნებებდა ქვეყნის მთავარ გუნდში გამოძახებაზე, ახლა კი, ნაკრების ძირითადის ფეხბურთელი გახდა.

**ალფიო ბასილემ** ტრადიციას არ უღალატა და 11 კაცში შეიყვანა **ხუან რომან რიკელმე**. არადა, არგენტინული პრესის შეფასებით, რიკელმე ოლიმპიურ ნაკრებში ყველაზე სუსტი რგოლი გახლდათ (ამ მხრივ, მას კონკურენციას მხოლოდ მცველი **მონსონი** უწევდა). ალბათ, რიკელმე იქამდე ითამაშებს არგენტინის ნაკრებში, სანამ ჯანმრთელობა შეუწყობს ხელს და სანამ ამ გუნდს ბასილე გაწვრთნის.

არგენტინამ ზედიზედ მეოთხე მატჩი ვერ მოიგო. მასპინძლებისთვის შეხვედრა ძალიან ცუდად დაიწყო. მე-12 წუთზე **გაბრიელ ჰაინცემ** და **რობერტო აბონდანსიერიმ** ვერ გაარკვიეს, ვინ უნდა წასულიყო ბურთის მოსაგერიებლად. საბოლოოდ, "რეალის" მცველმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, "ხეტაფეს" მეკარემ კი ტრავმა მიიღო და ის **კარისომ** შეცვალა.

დაახლოებით 20 წუთის შემდეგ, სცენაზე "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი **კარლოს ტევესი** გამოვიდა. მან 14 წუთის ინტერვალში ორი ბინძური ილეთის შესრულება მოასწრო და მსაჯს წითელი ბარათი დასტყუა. სხვათა შორის, თავდამსხმელმა ბოლო სამ მატჩში მეორე გაძევება მიიღო. წინა შემთხვევაში, ტევესმა კოლუმბიასთან შეხვედრაში ხელი ჩაარტყა მოწინააღმდეგეს.

*"მას ცალკე უნდა მოველაპარაკო,* - განუცხადა სააგენტო "როიტერს" ალფიო ბასილემ. - *თამაშს რაც შეეხება, ის ძალიან რთული გამოდგა ჩვენთვის, თითქმის მთელი საათი ათი კაცით ვთამაშობდით, ძირითადმა მეკარემ ტრავმა მიიღო და საკუთარ კარში გოლი გავიტანეთ. ამიტომაც, ამ შეხვედრის განხილვისას, ჩემი ფეხბურთელების მისამართით თავში დადებითი აზრი არ მომდის".*

არგენტინა შეცვლაზე შესულმა **სერხიო აგუერომ** გადაარჩინა, რომელმაც **ლეო მესის** ბრწყინვალე პასი გამოიყენა.

■ ■ ■

უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა ურუგვაის ნაკრებმა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ბოგოტაში გაიმარჯვა, სადაც ამ შესარჩევში თვით არგენტინის ნაკრები შერცხვა. ეს სამი ქულა ურუგვაელებს მომავალში აუცილებლად გამოადგებათ.

კოლუმბიას შეტევაში ძალიან უჭირს. ამის დამადასტურებელია 8 ტურში გატანილი 4 (!) გოლი. თანაც, ამ გუნდს წინა ექვს მატჩში ოთხი 0:0 ჰქონდა ნათამაშები, მაგრამ ამჯერად საკუთარი კარის მშრალად შენახვა ველარ მოახერხა. სხვათა შორის, კოლუმბიამ ტურნირში პირველი მარცხი იწვნია.

ურუგვაიმ პირველ ტაიმში გატანილი გოლის წყალობით გაინაღდა გამარჯვება - მე-14 წუთზე თავი გამოიჩინა ნახევარმცველმა **სებასტიან ეგურენმა**.

მატჩი საგოლე მომენტების სიუხვით ვერ დაიკვეხნიდა, სამაგიეროდ ის სავსე იყო საინტერესო და კურიოზული მომენტებით. მაგალითად, ბოლო ათი წუთი ფეხბურთელებმა ნახევრად ჩაბნელებულ სტადიონზე ითამაშეს, ვინაიდან განათება გამოვიდა მწყობრიდან. ბოლო წუთზე კი მაყურებელი ურუგვაელ **კრისტიან როდრიგესისა** და კოლუმბიელი **კამილო სუნიგას** ჩხუბმა გაართო. მსაჯმა რატომღაც უყურადღებოდ დატოვა ეს ეპიზოდი.

ასეა თუ ისე, ურუგვაი ამ მოგებით მესამე ადგილზე გადავიდა და ამ პოზიციას იმ შემთხვევაში შეინარჩუნებდა, თუ ჩილე და ბრაზილია გუშინ, გვიან ღამით ფრედ ითამაშებდნენ.

*"მთელ შეხვედრას ვაკონტროლებდით. კოლუმბიელებმა ამ შესარჩევში ნაჩვევ სტილს არ უღალატეს და ძირითადად დაცვაში თამაშობდნენ, რის გამოც თავის გამოჩენის შანსი ნაკლებად ჰქონდათ. ჩვენ ეს სათავისოდ გამოვიყენეთ",* - განაცხადა ურუგვაის დამრიგებელმა **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა**.

■ ■ ■

ლიმაში, 80-ათასიან "მონუმენტალზე" დაახლოებით 300(!!!) კაცი დაუსწრო პერუსა და ვენესუელის ნაკრებების მატჩს. იქაური გულშემატკივრების ბოიკოტი გასაგები იყო. შესარჩევში ბოლო ადგილზე იმყოფებოდა და თან საკვალიფიკაციო ბოლო ტური 0:6 ჰქონდა წაგებული (ურუგვაისთან).

პერუს ნაკრებს 1982 წლის შემდეგ არ უთამაშია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და წესით, ამ ციკლშიც ვერ უნდა შეძლოს ნავსის გატეხვა. პერუელებს შვიდი ტურის ჩატარება დასჭირდათ შესარჩევში პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად.

მასპინძელთა მსხვერპლი გახდა ვენესუელა, რომელიც ერთადერთი გუნდია სამხრეთ ამერიკაში, ვისაც მუნდიალებზე არ უთამაშია. პერუმ **პიერო ალვას** ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა და ბოლო ადგილს დააღწია თავი. ვენესუელამ კი ზედიზედ მეორე თამაში წააგო და მეშვიდე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

პერუმ პირველ გამარჯვებას წამყვანი ფორვარდების - **ჯეფერსონ ფარფანისა** და **კლაუდიო პისაროს** გარეშე მიაღწია. ამ ფეხბურთელებმა ქვეყნის ფედერაციისგან ნოემბერში, გუნდის სასტუმროში მოწყობილი სკანდალის გამო 18-თვიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს. მართალია, ფედერაციის ხელმძღვანელებმა სასჯელის ვადა შეამცირეს, მაგრამ პერუს დამრიგებელმა **ხოსე დელ სოლარმა** ამ ფორვარდების გარეშე გადაწყვიტა ფონს გასვლა.

ასევე ვერ ვიხილეთ პერუს რიგებში **პაოლო გერერო**. წინა ტურში ურუგვაისთან უხეშობისთვის, ფორვარდს ფიფასგან ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მიღებული.

■ ■ ■

მიმოხილვა ეკვადორისა და ბოლივიის მატჩის მიმოხილვით დავასრულოთ. სტუმრები მე-18 წუთზე ათი კაცის შემადგენლობით დარჩნენ მინდორზე და ძალიან გაირთულეს საქმე, მაგრამ 50-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ თანაფარდობას.

მატჩის ბედი მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყდა, როცა ბოლივიელთა კარში საეჭვო პენალტი დაინიშნა. სტუმრებმა მთავარი მწვრთნელის **ერვინ სანჩესის** მეთაურობით დიდხანს აპროტესტეს ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. **ედისონ მენდესმა** 11-მეტრიანი გაიტანა და ეკვადორს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.

გია თვალაბეიშვილი

**არგენტინა-პარაგვაი 1:1**

**არგენტინა:** აბონდანსიერი (15. კარისო), ძანეტი, დემიკელისი, კოლოჩინი, ჰაინცე (46. დიასი), მასკერანო, კამბიასო, დი მარია (46. აგუერო), რიკელმე, მესი, ტევესი.

**პარაგვაი:** ვილიარი, და სილვა, ვერონი, კასერესი, კ. როდრიგესი (46. ტორესი), ბარეტო, ვერა, რივეროსი, სანტანა, ნელსონ ვალდესი, კარდოსო (70. ლოპესი).

**გოლები:** 0:1 ჰაინცე (12-საკ. კარში), 1:1 აგუერო (60)

**გაძევება:** ტევესი (30. არგენტინა)

**ეკვადორი-ბოლივია 3:1**

**ეკვადორი:** სებალიოსი, რეასკო (28. დე ხესუსი), ურტადო, ესპინოსა, აიოვი, კასტილიო, გერონი, მენდესი, ბოლანოსი (75. ურუტია), ბენიტესი, კაისედო (77. პალასიოსი).

**ბოლივია:** არიასი, ოიოსი, რალდესი, რივერო, იგნასიო გარსია, რობლესი, გომესი, რონალდ გარსია, ვაკა (89. საუსედო), ესკობარი (67. პენია), ბოტერო (64. მარტინსი).

**გოლები:** 1:0 კაისედო (20), 1:1 ბოტერო (40), 2:1 მენდესი (50-პენ), 3:1 ბენიტესი (72)

**გაძევება:** გომესი (18. ბოლივია)

**კოლუმბია-ურუგვაი 0:1**

**კოლუმბია:** ხულიო, სუნიგა, პერეა, მოსკერა, ველესი, სანჩესი, გარინი, ვარგასი (46. ტორესი), ერნანდესი (63. მორენო), როდალეგა, ფალკაო გარსია (60. მორენო).

**ურუგვაი:** კასტილიო, სილვა (80. გონსალესი), ლუგანო, გოდინი, ფუჩილე, გარგანო, ეგურენი (90. სკოტი), პერეირა, როდრიგესი, ფორლანი, სუარესი (67. სანჩესი).

**გოლი:** 0:1 ეგურენი (14)

**პერუ-ვენესუელა 1:0**

**პერუ:** ბურტონი, პრადო, როდრიგესი, სამბრანო, ვარგასი, დე ლა ასა, ჩავესი (90+1. ლა როსა), სოლანო (62. კინტეროსი), ტორესი, ალვა, ფანო (82. რენგიფო).

**ვენესუელა:** ვეგა, ჩაკონი, რეი, ბოადა, ერნანდესი, მეა ვიტალი (73. ვიელმა), რინკონი, როხასი (56. მორენო), ვარგასი (66. გერა), არანგო, მალდონადო.

**გოლი:** 1:0 ალვა (38)

**ჩილე-ბრაზილია** *გვ. დასრულდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-6 | 14 |
| 2. არგენტინა | 7 | 3 | 3 | 1 | 10-4 | 12 |
| 3. ურუგვაი | 7 | 3 | 2 | 2 | 16-6 | 11 |
| 4. კოლუმბია | 7 | 2 | 4 | 1 | 4-3 | 10 |
| 5. ჩილე | 6 | 3 | 1 | 2 | 9-9 | 10 |
| 6. ბრაზილია | 6 | 2 | 3 | 1 | 8-4 | 9 |
| 7. ეკვადორი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-14 | 8 |
| 8. ვენესუელა | 7 | 2 | 1 | 4 | 9-11 | 7 |
| 9. პერუ | 7 | 1 | 3 | 3 | 4-15 | 6 |
| 10. ბოლივია | 7 | 1 | 1 | 5 | 8-20 | 4 |

*მომდევნო ტური. 10 სექტემბერი.* *პარაგვაი-ვენესუელა, ურუგვაი-ეკვადორი, ჩილე-კოლუმბია, ბრაზილია-ბოლივია, პერუ-არგენტინა.*

## მუნდიალი 2010

### აფრიკა

**II რაუნდი**

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| მავრიკიუსი-ტანზანია | 1:4 |
| კაბო ვერდე-კამერუნი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კამერუნი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 2. კაბო ვერდე | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| 3. ტანზანია | 5 | 1 | 2 | 2 | 6-5 | 5 |
| 4. მავრიკიუსი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-12 | 1 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| კენია-ნამიბია | 1:0 |
| ზიმბაბვე-გვინეა | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კენია | 5 | 3 | 1 | 1 | 6-2 | 10 |
| 2. გვინეა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 3. ზიმბაბვე | 5 | 1 | 3 | 1 | 2-2 | 6 |
| 4. ნამიბია | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |

III ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბენინი-ანგოლა | 3:2 |
| ნიგერი-უგანდა | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენინი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-6 | 12 |
| 2. ანგოლა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 3. უგანდა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 4. ნიგერი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-8 | 3 |

IV ჯგუფი

| | |
|---|---|
| ს. აფრიკა-ნიგერია | 0:1 |
| სიერა ლეონე-ეკ. გვინეა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიგერია | 5 | 5 | 0 | 0 | 7-0 | 15 |
| 2. სიერა ლეონე | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| 3. ს. აფრიკა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-5 | 4 |
| 4. ეკ. გვინეა | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 3 |

V ჯგუფი

| | |
|---|---|
| ლიბია-განა | 1:0 |
| ლესოტო-გაბონი | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიბია | 5 | 4 | 0 | 1 | 7-3 | 12 |
| 2. გაბონი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-3 | 9 |
| 3. განა | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| 4. ლესოტო | 5 | 0 | 0 | 5 | 2-13 | 0 |

VI ჯგუფი

| | |
|---|---|
| ალჟირი-სენეგალი | 3:2 |
| გამბია-ლიბერია | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალჟირი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-4 | 9 |
| 2. გამბია | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| 3. სენეგალი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 4. ლიბერია | 5 | 0 | 2 | 3 | 4-12 | 2 |

VII ჯგუფი

| | |
|---|---|
| მადაგასკარი-ბოტსვანა | 1:0 |
| მოზამბიკი-კოტ დ'ივუარი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დ'ივუარი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-2 | 9 |
| 2. მადაგასკარი | 5 | 1 | 3 | 1 | 2-4 | 6 |
| 3. მოზამბიკი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-5 | 5 |
| 4. ბოტსვანა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-7 | 5 |

VIII ჯგუფი

| | |
|---|---|
| მავრიტანია-რუანდა | 0:1 |
| ეთიოპია-მაროკო | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუანდა | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 12 |
| 2. მაროკო | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 9 |
| 3. ეთიოპია | 4 | 2 | 0 | 2 | 8-6 | 6 |
| 4. მავრიტანია | 5 | 0 | 0 | 5 | 2-15 | 0 |

IX ჯგუფი

| | |
|---|---|
| სეიშელი-ბურუნდი | 1:2 |
| ბურკინა ფასო-ტუნისი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურკინა ფასო | 5 | 4 | 1 | 0 | 11-4 | 13 |
| 2. ტუნისი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 3. ბურუნდი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-6 | 6 |
| 4. სეიშელი | 5 | 0 | 0 | 5 | 4-12 | 0 |

X ჯგუფი

| | |
|---|---|
| სუდანი-ჩადი | 1:2 |
| კონგო-მალი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-7 | 9 |
| 2. კონგო | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| 3. ჩადი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 4. სუდანი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |

XI ჯგუფი

| | |
|---|---|
| ზამბია-ტოგო | 10 სექტემბერს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სვაზილენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 2. ზამბია | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 3. ტოგო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |

XII ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჯიბუტი-მალავი | 0:3 |
| კდრ-ეგვიპტე | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეგვიპტე | 5 | 4 | 0 | 1 | 9-2 | 12 |
| 2. კდრ | 5 | 3 | 0 | 2 | 13-4 | 9 |
| 3. მალავი | 5 | 3 | 0 | 2 | 12-4 | 9 |
| 4. ჯიბუტი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-26 | 0 |

### ოკეანეთი

| | |
|---|---|
| ფიჯი-ვანუატუ | 2:0 |
| ახ. კალედონია-ზელანდია | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზელანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 11-3 | 12 |
| 2. ახ. კალედონია | 5 | 2 | 2 | 1 | 12-7 | 8 |
| 3. ფიჯი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-9 | 4 |
| 4. ვანუატუ | 5 | 0 | 1 | 4 | 3-12 | 1 |

### კონკაკაფი

**III რაუნდი**

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| ტრინიდადი-გვატემალა | 1:1 |
| კუბა-აშშ | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 2. ტრინიდადი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. გვატემალა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4. კუბა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| მექსიკა-იამაიკა | 3:0 |
| კანადა-ჰონდურასი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მექსიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ჰონდურასი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. კანადა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. იამაიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

III ჯგუფი

| | |
|---|---|
| სალვადორი-ჰაიტი | 5:0 |
| კოსტა რიკა-სურინამი | 7:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოსტა რიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2. სალვადორი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-1 | 3 |
| 3. ჰაიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-7 | 1 |
| 4. სურინამი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-9 | 1 |

### აზია

**IV რაუნდი**

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბაჰრეინი-იაპონია | 2:3 |
| კატარი-უზბეკეთი | 3:0 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| საემიროები-ჩრ. კორეა | 1:2 |
| ს. არაბეთი-ირანი | 1:1 |

## ვინ როგორ გადის?

**ევროპა (13)**

53 გუნდი 9 ჯგუფში არის გადანაწილებული. ქვეჯგუფებში გამარჯვებულები პირდაპირ გავლენ ფინალურ ეტაპზე. 8 საუკეთესო მეორეადგილოსანი პლეიოფში 4 წყვილს შექმნის და ორმატჩიანი დუელში კიდევ ოთხი ფინალისტის ვინაობა გაირკვევა.

**სამხრეთ ამერიკა (4.5)**

ორწრიანი ჯგუფური ტურნირის შემდეგ, საუკეთესო 4 გუნდი ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს. მეხუთეადგილოსანი კონკაკაფის მეოთხე გუნდთან ორმატჩიანი დუელში გამოავლენს ერთი საგზურის მფლობელს.

**აზია (4.5)**

მეოთხე რაუნდში 10 გუნდი 2 ქვეჯგუფშია გადანაწილებული. ორწრიანი ტურნირის შემდეგ, ჯგუფების გამარჯვებულები და მეორეადგილოსნები მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ.

მესამეადგილოსნები პლეიოფში ორ მატჩს გამართავენ და მათ შორის საუკეთესო ოკეანეთის ზონის გამარჯვებულს ორმატჩიანი დუელში ერთი საგზურისთვის შეხვდება.

**აფრიკა (5)**

ჯგუფის 12 გამარჯვებული და 8 საუკეთესო მეორეადგილოსანი მესამე რაუნდში გავა. იქ 20 გუნდი 5 ქვეჯგუფში გადანაწილდება (თითოში 4-4 გუნდი) და ორ წრედ ითამაშებენ.

ჯგუფების 5 გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა.

**კონკაკაფი (3.5)**

მესამე რაუნდში 12 გუნდი 3 ქვეჯგუფშია გადანაწილებული. ორწრიანი ტურნირის შემდეგ, 2-2 საუკეთესო გუნდი მეოთხე რაუნდში გავა, სადაც 6-გუნდიანი ერთი ჯგუფი შედგება. აქაც ორწრიანი ბრძოლის შემდეგ, სამი საუკეთესო პირდაპირ მოხვდება მსოფლიოს ჩემპიონატზე. მეოთხეადგილოსანი კი ერთი დამატებითი საგზურისთვის სამხრეთ ამერიკის მეხუთე გუნდს შეხვდება.

**ოკეანეთი (0.5)**

ახალმა ზელანდიამ უკვე გაიმარჯვა ოკეანეთის შესარჩევ ტურნირში. ახლა ამ გუნდს აზიის ზონის მეხუთეადგილოსანთან ორმატჩიან დუელში მოუწევს ფინალური ეტაპის ერთი საგზურისთვის ბრძოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი

# ჯუჯა და გოლიათი

B დივიზიონი. C ჯგუფი. 6 სექტემბერი

**ლუქსემბურგი-საქართველო 65:98**

13:24, 20:28, 18:24, 14:22

| ლუქსემბურგი | ნთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შუმახერი | 21 | 8 | 1\3 | 2\6 | 0 | 0 | 2 | 1 | 2 | 0 | 0 |
| ბირენბაუმი | 9 | 6 | 0\1 | 2\3 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კოსტერი | 13 | 3 | 3\1 | 0 | 2\1 | 2 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 |
| შვარცი | 25 | 7 | 4\2 | 1\3 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 |
| აბდიუ | 14 | 6 | 0\2 | 2\3 | 0 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ფერეირა | 24 | 5 | 1\1 | 1\4 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 |
| მიულერი | 15 | 6 | 3\4 | 0\1 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კიფერი | 18 | 3 | 0\2 | 1\4 | 0\2 | 1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 |
| მ. რაჟნიაკი | 33 | 13 | 6\10 | 0\4 | 1\2 | 5 | 1 | 2 | 4 | 1 | 0 |
| პ. რაჟნიაკი | 28 | 8 | 4\8 | 0\4 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 2 | 0 |

| საქართველო | ნთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცინცაძე | 31 | 10 | 3\3 | 0\1 | 4\4 | 1 | 2 | 3 | 3 | 1 | 0 |
| ელისი | 31 | 24 | 3\3 | 10\5 | 3\3 | 2 | 3 | 0 | 4 | 2 | 1 |
| სანიკიძე | 29 | 20 | 7\9 | 0\1 | 6\7 | 12 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ცქიტიშვილი | 24 | 11 | 4\9 | 1\2 | 0\2 | 6 | 0 | [illegible] | 0 | 0 | 1 |
| ფაჩულია | 29 | 11 | 4\7 | 0 | 3\5 | 8 | 3 | 1 | 5 | 0 | 0 |
| გამყრელიძე | 13 | 3 | 1\2 | 0\1 | 1\2 | 2 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| ვ. ბოისა | 18 | 6 | 2\3 | 0\2 | 2\2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ა. ბოისა | 9 | 3 | 0 | 1\2 | 0 | 2 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 |
| შერმადინი | 9 | 7 | 3\3 | 0 | 1\2 | 2 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 |
| ტუღუში | 6 | 2 | 1\1 | 0\1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შენგელია | 2 | 1 | 0 | 0 | 1\3 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 |

მსაჯები: ე. მოგულკოჩი (თურქეთი), ბ. შულგა (უკრაინა)

საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგს მეშვიდედ ეთამაშა და მეექვსედ დაამარცხა - 98:65. როგორც ხედავთ, ჩვენებმა მეტოქე დაინდეს, მხოლოდ 98 ქულას დასჯერდნენ და სამნიშნა რიცხვამდე არ ავიდნენ. თუმცა ისტორიას თუ გადავხედავთ, ალმოვაჩენთ, რომ ეს ყველაზე მეტი ქულა იყო, რაც ქართველებს ჯუჯების კალათში მოუთავსებიათ. აქამდე ლუქსემბურგთან ყველაზე მეტი - 87 ქულა გვქონდა ჩაგდებული, მაგრამ ურთიერთშეხვედრების რეკორდი ლუქსემბურგს ეკუთვნოდა - 1999 წელს 92:71 დაგვამარცხა.

ასე და ამგვარად, ევრო-2011-ის საკვალიფიკაციო ეტაპი კარგად დავიწყეთ. **იგორ კოკოშკოვის** მიერ დამოძლვრილი ნაკრები, ერთი შეხედვით, ურიგო გუნდი არ ჩანს. ეს მხოლოდ ილუზიაა, თუ მართლა შარშანდელზე კარგი ნაკრები გვყავს, 10 სექტემბერს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში გამოჩნდება. თან ფეხბურთელთა ნაკრების გამო ირლანდიელებთან რევანში გვაქვს ასალები. სამყურათა კუნძულიდან ევროპის კონტინენტზე დავბრუნდებით და 13 სექტემბერს სლოვაკეთს ვესტუმრებით, ხოლო 17-ში - შვედეთს.

საწყის ქვეთავშივე გეტყვით, რომ B დივიზიონში სამი ხუთგუნდიანი ჯგუფია, მათგან პირველადგილოსნები ავტომატურად გავლენ ნახევარფინალში, ხოლო ტრიოს საუკეთესო შედეგის მეორეადგილოსანი შეუერთდება. ორი მატჩისგან (შინ და გარეთ) შემდგარ ნახევარფინალებში გამარჯვებულები ფინალურ მატჩს არ ითამაშებენ. სამაგიეროდ, გაისად A დივიზიონის ლიცენზიას მოიპოვებენ.



ნიკოლოზ ცქიტიშვილი

■ ■ ■

ამ ქვეთავში ლუქსემბურგი-საქართველოს მატჩის მსვლელობაზე მოკლედ გესაუბრებით. პირველსავე წუთზე **ტაირონ ელისის** ორქულიანს მასპინძელმა **კიფერმა** სამიანით უპასუხა, აქედან მოყოლებული მეხუთე წუთამდე ლუქსემბურგელები კარგად გვიმკლავდებოდნენ, ქულას არ გვითმობდნენ და პერიოდის შუაში 11:10-საც გვიგებდნენ. თუმცა მეორე ხუთ წუთში ჯერ ახალგაზრდა **სანიკიძემ** და **ცინცაძემ** იყოჩალეს, შემდეგ **ფაჩულიამ,** ხოლო მეოთხედის ბოლოს "ჯუჯები" ელისისა და **ცქიტიშვილის** სამქულიანებმა წელში გაწყვიტა. 14:2 - ასეთი გაქცევის შემდეგ მასპინძლები ქართველებს საფინალო სირენამდე ველარ დაეწივნენ.

შეხვედრის მსვლელობაზე სასაუბრო მეტი არც არაფერია.

■ ■ ■

მატჩისშემდგომი სტატისტიკა კი საინტერესო გადასახედია. **იგორ კოკოშკოვის** შეგირდებმა მეტოქეს თითქმის ყველა კომპონენტში აჯობეს: მოხსნებში - 42:19(!), ორქულიანებში 40-დან 28 ჩავაგდეთ, მაშინ, როცა ლუქსემბურგელებმა 38-დან 18 გამოიყენეს. საჯარიმო ტყორცნებში ისეთივე საოცარი სხვაობა დაფიქსირდა, როგორც მოხსნებში: ქართველებმა 30-დან 21 თავისუფალი ტყორცნა ჩააგდეს, ხოლო მასპინძლებმა - 6-დან 2.

ეს ციფრები ერთ საყურადღებო დეტალზე მიგვითითებს: საქართველოს ნაკრებს კარგი წინა ხაზი ჰყავს და წესით, ფარქვეშ უპირატესობა არა მხოლოდ ლუქსემბურგთან, არამედ შვედეთსა და სლოვაკეთთანაც უნდა ჰქონდეთ. ზაზა ფაჩულია, **ვოვა ბოისა** და ნიკა ცქიტიშვილი ხომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მეფარეები არიან. ჩვენი პლუსი ისიცაა, რომ მსუბუქი ფორვარდი, ვიქტორ სანიკიძე მათზე არანაკლებ მუშაობს ფარქვეშაც და ფარსზემოთაც. მან ეს შაბათსაც დაამტკიცა - ვიქტორმა ჯამში იმაზე მეტი მოხსნა მიითვალა, ვიდრე 10-მა ლუქსემბურგელმა საკუთარ ფარზე (11). მის ანგარიშზე 20 ქულა და 12 მოხსნაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სანიკიძის საუკეთესო მატჩი საქართველოს ნაკრებში. თუმცა თავად ვიქტორიც ისურვებდა საუკეთესო შეხვედრა გაცილებით ძლიერ ნაკრებთან ჰქონოდეს. ვნახოთ, რას იზამს ირლანდიაში...

მატჩის სნაიპერ ელისსაც შევეხოთ და ციფრებზე საუბარი შეცდომებით დავასრულოთ. როგორც ჩანს, კოკოშკოვი ტაირონს მისთვის საყვარელ პოზიციაზე, მსროლელად ათამაშებს. ბურთი მეტოქის ნახევარზე გიორგი ცინცაძეს გადააქვს, შემდეგ ცდილობს, მსროლელი ამერიკელი თავისუფალ პოზიციაში დატოვის და ტაირონიც თანაგუნდელებს არ ალალატებს. ელისმა ლუქსემბურგში 10-დან 5 სამქულიანი, 3-დან 3 ორქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 24 ქულა მოაგროვა. თუკი სათანადო ხელშეწყობა იქნება, ელისმა დანარჩენ შეხვედრებში ამაზე ნაკლებად არ უნდა ითამაშოს.

ზემოთ ვთქვით: მეტოქეს თითქმის ყველა კომპონენტში ვაჯობეთო. "თითქმის" შემთხვევით არ დაგვიყოლებია, საქმე ისაა, რომ ლუქსემბურგელებმა ჩვენზე გაცილებით ნაკლები შეცდომა დაუშვეს - 11:16. როცა ასეთი სათამაშო უპირატესობა გაქვს, 16 შეცდომას არ უნდა უშვებდე. ლოგიკას თუ მივყვებით, შვედეთთან ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს, რაც პირველ რიგში იგორ კოკოშკოვმა არ უნდა დაუშვას და შეგირდებს მეტი ყურადღების გამოჩენა მოსთხოვოს.

■ ■ ■

ბოლოს თქვენს ყურადღებას კიდევ ერთ ნიუანსზე შევაჩერებთ. თქვენ ნიუანსი ეძახეთ, მაგრამ შარშან ისლანდიაში სწორედ ამის გამო დავმარცხდით. ეს არის გუნდურობა. გასულ ციკლში მეტოქის კალათის მიმართულებით ზაზა ფაჩულია თითქმის იმდენს ისროდა, რამდენსაც დანარჩენები. თამაში ზაზაზე იყო აწყობილი და წაგება-მოგება სწორედ მასზე იყო დამოკიდებული. მან პირადად მოგვაგებინა ავსტრიასთან გასვლითი მატჩი, მაგრამ ისლანდიაში ერთგვარი ჩავარდნა ჰქონდა და დავრჩით B დივიზიონში. მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ერთ კაცზე თამაშის აგება, თუნდაც ეს ფაჩულია იყოს, წამგებიანია. იგორ კოკოშკოვმა საკონტროლო შეხვედრებში განსხვავებული კურსი აირჩია: ამხანაგურებში თამაშს ყველა კალათბურთელზე თანაბრად ანაწილებდა - ხან ცქიტიშვილი ხდებოდა სნაიპერი, ხან - ელისი, ხან - ფაჩულია, ხან - ბოისა...

...ახლა ვიქტორ სანიკიძე გამოირჩა ორმაგი დუბლით. ეს კარგია. გამარჯვების გაცილებით მეტი შანსი გაქვს, როცა ხუთივე მოთამაშე თანაბრად სახიფათოა. გუნდურობის მთავარი მანიშნებელი იცით, რა იყო? - ლუქსემბურგთან მოედანზე გამოსულმა თერთმეტივე კალათბურთელმა მოახერხა მეტოქის კალათში ბურთის მოთავსება. აქედან ხუთეულის ყველა წევრმა (ცინცაძე, ცქიტიშვილი, ელისი, სანიკიძე, ფაჩულია) ათქულიანი ბარიერი გადალახა.

■ ■ ■

მოკლედ, მეტს აღარ განვაგრ......თ. დაველოდოთ 10 სექტემბერს და ლუქსემბურგზე ნახევარი თავით მაღლა მდგომ ირლანდიასთან გამოჩნდება, გუნდური თამაში და დამაჯერებელი სტატისტიკა ილუზია იყო თუ...



ვიქტორ სანიკიძე

**პაატა შალამბერიძე**

**B დივიზიონი**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| დანია-ავსტრია | 64:73 |
| ჰოლანდია-მონტენეგრო | 63:70 |

*ისლანდია ისვენებდა*

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| შვეიცარია-ალბანეთი | 91:79 |
| რუმინეთი-კვიპროსი | 70:71 |

*ბელარუსი ისვენებდა*

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ლუქსემბურგი-საქართველო | 65:98 |
| შვედეთი-ირლანდია | 82:63 |

*სლოვაკეთი ისვენებდა*

**C ჯგუფის განრიგი**

**10 სექტემბერი**

ირლანდია-საქართველო

სლოვაკეთი-შვედეთი

**13 სექტემბერი**

სლოვაკეთი-საქართველო

ლუქსემბურგი-ირლანდია

**17 სექტემბერი**

შვედეთი-საქართველო

სლოვაკეთი-ლუქსემბურგი

**20 სექტემბერი**

ლუქსემბურგი-შვედეთი

ირლანდია-სლოვაკეთი

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი. IX ტური

# ჩემპიონის საჩემპიონო ამბიციები


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

| ლელო-ყოჩები | 14:22 |
|---|---|

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ხუციშვილი (ჯოგლიძე 62), თოდუა, კორკელია, ცერცვაძე, ხმალაძე, ჭინჭარაული (გოგია 41). (1-8) ყალიჩავა, ცხოვრებაშვილი, სუჯაშვილი, მენაბდიშვილი (მირცხულავა 41), აზალაძე, ჯვარშეიშვილი (ჯალალონია 41), ჩხეიძე, კოლელიშვილი.

*ლ: თოდუა. პს:ყიასაშვილი.*

ყოჩები (15-9) დადაშიანი, გეგენავა, მაისურაძე, ადანაია, ინაშვილი, მალალურაძე, ხელაძე (ბრეგვაძე 41). (1-8) ასეიშვილი, გნიჟარაძე (გრუდკო41), კიკნაველიძე, ჩიჩუა (ბელაშვილი 64), არჩუაშვილი, ცხადაძე, კალმახელიძე, დგებუაძე.

*ლ: არჩუაშვილი. 4ს, გ, ა: მალალურაძე.*

მსაჯი: მ. ჩაჩუა

განახლებული საქართველოს ჩემპიონატის პირველივე ტურში ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდები „ლელო" და „ყოჩები" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მართალია, ეს უკანასკნელი მეცხრე ტურის წინ მხოლოდ მეხუთე ადგილს იკავებდა სატურნირო ცხრილში, მაგრამ სატრანსფერო ციებცხელებისას საგრძნობლად გაძლიერდა და უკვე რეალურად აცხადებს პრეტენზიას ოქროს მედლებზე. ეს კიდევ ერთი პრეტენდენტის წინააღმდეგ ნაჩვენებმა თამაშმაც ნათელი გახადა. „ყოჩებმა" მეტოქე 22:14 დაამარცხეს, რომელსაც ასევე რამდენიმე ახალწვეული ჰყავს.

თამაში უფრო აქტიურად „ლელომ" დაიწყო და ანგარიში დასაწყისშივე, მე-3 წუთზე გახსნეს. ლელოელები, მეტოქის ჩათვლის მოედანთან ახლოს, შერკინების მოთამაშეების მოკლე დარტყმებით ცდილობდნენ წინ წაწევას. რაკში თამაშისას „ყოჩებმა" წესი დაარღვიეს და „ლელოს" ფულ ბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** საჯარიმო ახლო მანძილიდან გაიტანა 3:0. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლელოელები ტაიმის ბოლომდე მოწინააღმდეგის ოცდაორმეტრიან ზონაში აღარ შესულან.

„ყოჩებმა" ანგარიშის გაქვითვა მეათე წუთზე, **ლაშა მალალურაძის** საჯარიმო დარტყმით შეძლეს. მანვე კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა, აქედან ერთ-ერთი თითქმის ცენტრიდან, 48 მეტრიდან დაარტყა 9:3. ლაშას ანგარიშში სხვაობის გაზრდის კიდევ ერთი შანსი ჰქონდა, თუმცა საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი კარის ძელებს შორის ვერ გაატარა.

სამაგიეროდ, ტაიმის ბოლო წამებზე „ლელომ" მაინც მოახერხა სახიფათო შეტევის ორგანიზება და მეტოქეს წესის დარღვევა აიძულა. ყიასაშვილის საჯარიმო დარტყმა ამჯერადაც ზუსტი იყო 6:9.

მეორე ტაიმის დასაწყისი ისევ „ლელოს" უპირატესობით აღინიშნა. გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა, რამაც ლელოელების თამაში უფრო მობილური, აგრესიული გახადა. ყოველივე კი მატჩის 46-ე წუთზე გატანილი ლელოთი დასრულდა.

„ყოჩების" ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში შერკინება დაინიშნა. შერკინებაში არასწორი ჩასვლის გამო მატჩის არბიტრმა ახლა უკვე თავისუფალი დარტყმა გადაწყვიტა „ლელოს" სასარგებლოდ, რომელიც იქვე, სწრაფად, მარცხენა გრძელ ფრთაზე გამოათამაშეს. **ლევან გოგიასგან** გადაცემას ყველა ათ ნომერ **ლაშა ხმალაძისთვის** ელოდა, თუმცა მან უკეთეს პოზიციაში მყოფი შუამარბი **ალექსანდრა თოდუა** შენიშნა და ბურთიც უმალ მას გადააწოდა. თოდუამ იერიში უკვე პირდაპირ ლელოზე მიიტანა, თანაგუნდელებიც მალევე წამოეშველნენ და „ლელო" ანგარიშში დაწინაურდა 11:9. ყიასაშვილმა გარდასახვა ვერ გამოიყენა.

ამის შემდეგ „ყოჩებმა" თამაშის გათანაბრება შეძლეს. მალალურაძემ საჯარიმო დარტყმით „ყოჩები" ისევ დააწინაურა. მერე, შვიდ წუთში 40 მეტრიდან არეკნი დაჰკრა და ესეც გაიტანა 15:11. „ლელომ", ცხადია, მეტოქეს ანგარიშში საგრძნობლად დაწინაურება არაფრით დაანება და 71-ე წუთზე ყიასაშვილმა ისევ საჯარიმო დარტყმით სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა 14:15.

თამაში დასასრულს უახლოვდებოდა. დაძაბულობამ პიკს მიაღწია. მატჩის ბედი შესაძლოა ერთადერთ შეცდომას გადაეწყვიტა. ეს შეცდომა „ლელომ" დაუშვა და 78-ე წუთზე ლელო მიიღო. „ყოჩებმა" მოწინააღმდეგის ლელოდან ხუთ მეტრში აუტის მოწოდების უფლება მიიღეს. დერეფანი სუფთად მოიგეს, თუმცა მოლის შეკვრა ვერ შეძლეს და თამაში რაკში გადავიდა. მერე მარცხნივ, მოკლე ფრთაზე უყურადღებოდ მიტოვებულ მეორეხაზელ **მიხეილ არჩუაშვილს** გაუტანეს ბურთი, რომლის შეჩერება ლელოელებმა უკვე ველარ შეძლეს. მალალურაძემ გარდასახვა ზუსტად დაარტყა და ანგარიში მეტოქისთვის მიუწვდომელი გახდა 22:14.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| სხვა მატჩები | |
|---|---|
| ლოკომოტივი-დინამო | 122:7 |
| აკადემია-არმაზი | 19:11 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 9 | 8 | 0 | 1 | +225 | 16 |
| 2.ლელო | 9 | 6 | 0 | 3 | +1 | 12 |
| 3.აკადემია | 9 | 5 | 0 | 4 | +12 | 10 |
| 4.ყოჩები | 9 | 5 | 0 | 4 | +16 | 10 |
| 5.უნივერსიტეტი | 8 | 4 | 1 | 3 | -12 | 9 |
| 6.აია | 8 | 3 | 1 | 4 | -25 | 7 |
| 7.დინამო | 9 | 2 | 0 | 7 | -142 | 4 |
| 8.არმაზი | 9 | 1 | 0 | 7 | -74 | 2 |

ჭადრაკი. საერთაშორისო ტურნირი

# იზმირში სანიკიძე იპირველა

რიგით მეშვიდე იზმირის საერთაშორისო ტურნირი რომ ქართული ბეჭდით დაღდასმული იქნებოდა, საწყისიდანვე შეეტყო: ჩვენებურებმა პირველივე ტურიდან ლიდერებში დაიმკვიდრეს ადგილი და ბოლომდე არ დაუტოვებიათ „აკვატორია". ცხადია, ათი ქართველი ქალ-ვაჟისგან ყველა ვერ იპირველებდა, მაგრამ დიდ ნაწილს კი შეეძლო შედეგიანად თამაში და სხვაც რომ არ იყოს, საპრიზო სამეულში მოხვედრა ვითომ რატომ უნდა იყოს პირველ ადგილზე ბევრად ნაკლები?! არც ათეულში შეღწევაა მცირე საქმე და ვინც ეს შეძლო - ბარაქალა მის ვაჟკაცობას.

ამ უქმეებზე მეცხრე და მეათე ტურის პარტიები გათამაშდა ტურნირზე და მისი დასრულების შემდგომ ცხრილს რომ ჩავიხედეთ, სიამაყე დაგვეუფლა: ათეულში ხუთი ქართველია! რაც მთავარია, კენწეროში ჩვენი კაცი ზის და გვერდსაც თანამემამულე უმშვენებს: **თორნიკე სანიკიძემ** ბოლომდე შეინარჩუნა სტარტიდან აღებული ლიდერის დროშა და ტურნირის ჩემპიონი გახდა. მისი ქულათა მონაგარი შთამბეჭდავია - 8.5 ათი შესაძლებელიდან; სამი ყაიმი და 7 გამარჯვება! სასიამოვნო ის უფროა, რომ პირველი სამეულის წევრებთან 2.5 ქულა მოაგროვა: **სუათ ათალიკსა** და **მალხაზ სულაშვილს** მოუგო, **მიხაილ გურევიჩს** კი ქულა გაუყო. თორნიკე პირველი ოქტომბრისთვის აუცილებლად მიაღწევს 2500-იან ზღვარს და ფიდე უახლოეს კონგრესზე ოფიციალურად მიანიჭებს დიდოსტატის წოდებას.

მეორე ადგილზე **დავით მაღალაშვილია**. დავითმა 8 ქულას მოუყარა თავი, რაც ასევე შესანიშნავი შედეგია. დავითის რეიტინგქულათა მარაგიც 2500-იან ზღვართან ახლოს არის და, ვგონებ, ისიც მალე მიაღწევს სასურველ ზღვარს. ამჯერად დავითმა მხოლოდ 5 პუნქტი მოიმატა, რაც იმით არის განპირობებული, რომ ტურნირის პირველ ნახევარში დაბალრეიტინგიანებს ხვდებოდა. სანიკიძეს კი 20 ქულა შეემატა და მიზეზიც გასაგებია - მან ყველა უძლიერესის წინააღმდეგ იასპარეზა.

მესამე ადგილზე გურევიჩი გავიდა. მისი რეიტინგის პატრონისთვის ეს ადგილი მიულებელი ჩანს - რეიტინგში 4 პუნქტი დაკარგა. თუმცა მის მეგობარ და თანაგუნდელ სუათ ათალიკზე კარგად კი იასპარეზა - ათალიკმა 7.5 ქულით მხოლოდ მეცხრე ადგილზე გასვლა შეძლო.

მეექვსე ადგილზე **ნინო ბაციაშვილი** გავიდა. გარდა იმისა, რომ ნინომ ასეთი მაღალი მაჩვენებლით დაასრულა ტურნირი, ქალთა შორისაც გამოირჩინა თავი - პირველი პრიზი ერგო. ბაციაშვილის მარაგიც 8 ქულაა და რომ არა უარესი კოეფიციენტი, შესაძლო იყო მეორეზეც გვეხილა - სწორედ მეორე-მეექვსე ადგილები გაიყვეს რვაქულიანებმა...

მეშვიდეზე 7.5 ქულით **დავით ჯოჯუა** გავიდა. დავითმა რამდენიმე შეხვედრაში ნახევარი ქულა აშკარად დაკარგა - დაბალრეიტინგიან მოჭადრაკეებთან გამარჯვებას ვერ მიაღწია. თუმცა მთელი ტურნირი სტაბილურად თამაშობდა და მიღებული შედეგიც მთლად უკმაყოფილების საბაბს არ იძლევა. მისი რეიტინგული მატება მცირეა, მაგრამ აქტივში მაინც ჩაეწერება...

მეათე ადგილზე **მალხაზ სულაშვილია**, რომელმაც ბოლო ტურში შავებით **მაკა ფურცელაძე** დაამარცხა და საბოლოოდ 7.5 ქულა დააგროვა. ეს შედეგი სულაშვილს არაფრად დააკმაყოფილებს, რადგანაც ტურნირის მესამე ნომერი გახლდათ.

იმედგაცრუება უთუოდ დაეუფლება **ბაჩანა მორჩიაშვილს**, რომელმაც ორი პარტია ისეთ მეტოქესთან წააგო, მისთანას ერთ დუჟინს დაფაზე დაუხედავად რომ ჩაუტარებს სეანსს და დაჯაბნის. ამის გამო იმდენად გაუფუჭდა კოეფიციენტი, რომ მე-13-31-ე ადგილებს შორის (ამდენმა დააგროვა 7 ქულა) ოცდამეათე ადგილი ერგო. 32-ე ადგილზე გავიდა მაკა ფურცელაძე - მისი მარაგი 6.5 ქულას უდრის, თუმცა მაკაზე საყვედურისთვის ენა არ მოგვიბრუნდება - სამი მარცხი იწვნია და სამივე ფავორიტ ვაჟებთან... **არმენ გრიგორიევი** 6.5 ქულით 35-ეა; ამდენივეთი მე-40 ადგილზეა **ანა გავაშელი**; **თეონა მესხს** კი 6.5 ქულა მხოლოდ 53-ე ადგილისთვის ეყო. ასეა, ზოგ შემთხვევაში კოეფიციენტმა გვარგო, ზოგან კი - უკან დაგვხია, თუმცა, დამეთანხმებით, საწუწუნო არაფერი გვაქვს და კიდევ ერთხელ მივულოცოთ თორნიკე სანიკიძეს გამარჯვება!

**ზვიად შათირიშვილი**


თორნიკე სანიკიძე

ძიუდო

# ახალგაზრდები პოლონეთისთვის ემზადებიან




12-14 სექტემბერს პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. სხვებთან ერთად კონტინენტის ტიტულისთვის ქართველი ძიუდოისტებიც იბრძოლებენ. პოლონეთში გასამგზავრებელი შემადგენლობა მაისის შუა რიცხვებში თბილისში გამართული ქვეყნის ახალგაზრდული ჩემპიონატის მიხედვით გაირკვა, ჩემპიონებმა ავტომატურად მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის საგზური, თუმცა არის გამონაკლისიც – 90 კგ. წონით კატეგორიაში იასპარეზებს **ვარლამ ლიპარტელიანი**, რომელზეც ქართული ძიუდო სამომავლოდ დიდ იმედებს ამყარებს. გუნდი ამჟამად გორში ემზადება, სადაც მთავარი მწვრთნელის, **ბორის ფირცხელიანის** თავკაცობით შეკრებას გადის. შეგახსენებთ, რომ ვარშავის „ტორვარის" დარბაზში ჭიდაობის უფლება 1989-93 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს აქვთ.

საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: **გიორგი ბროლაშვილი** (55 კგ.), **პაატა მერებაშვილი** (60 კგ.), **ზებედა რეხვიაშვილი** (66 კგ.), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (73 კგ.), **ზაზა დავაძე** (81 კგ.), **ვარლამ ლიპარტელიანი** (90 კგ.), **კონსტანტინე მუკვანი** (100 კგ.) და **ლევან მუქერია** (100+ კგ.).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილმა გერმანელს ვერ აჯობა

საფრანგეთის ქალაქ დენაინში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (75 ათასი დოლარი) **მაკა ჩახნაშვილმა** (210) შაბათს დაასრულა ასპარეზობა. წესით, შაბათობით ტურნირებში ნახევარფინალები ან სულაც ფინალები იმართება, თუმცა მაკამ მეოთხედფინალურ შეხვედრაში წააგო. უბრალოდ, უამინდობამ ორი დღის განმავლობაში პრობლემები შეუქმნა ორგანიზატორებს, რის გამოც ბევრი მატჩი გადაიდო. ჩახნაშვილი მეოთხედფინალში გერმანელ **კრისტინა ბაროისს** (136) ხვდებოდა. მაკამ ორ სეტში დათმო ორთაბრძოლა – 5:7, 2:6. ჩახნაშვილი საფრანგეთიდან ბულგარეთში გადაინაცვლებს, სადაც როუსეს 25-ათასიან ტურნირში ითამაშებს. იქ მაკა მე-2 ნომრად იქნება განთესილი.

ათენში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში **სოფიო შაფათავაა** (246). ის მე-7 ნომრად არის განთესილი და პირველ წრეში ისვენებდა. მეორე წრეში შაფათავა ბრიტანელ **ამანდა ელიოტს** შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# გამოუშვით ნადალი!



როგორც მოსალოდნელი იყო, ტროპიკულმა შტორმმა მნიშვნელოვნად აურია გეგმები ამერიკის ღია პირველობის ორგანიზატორებს. გადაიდო **რაფაელ ნადალისა** და **ენდი მიურეის** ნახევარფინალი, ასევე არ ჩატარდა ქალთა ფინალი, რომელშიც სერბი **ელენა იანკოვიჩი** და ამერიკელი **სერენა უილიამსი** დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ამ პრობლემების მიზეზი ქარიშხალი "ჰანა" გახდა, რომელმაც ნიუ იორკსაც გადაუარა და იქაურობა წყლით დატბორა. გუშინ ამინდი გაუმჯობესდა, მაგრამ მამაკაცთა ფინალი, საუკეთესო შემთხვევაში დღეისთვის გადაიდო.

რაც შეეხება შაბათს დასრულებულ ერთადერთ შეხვედრას, **როჯერ ფედერერისა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** ნახევარფინალში ფორმალურად ფავორიტად შვეიცარიელი ჩოგბურთელი მიიჩნეოდა, რომელიც "ფლეშინგ მედოუს" ტურნირზე 2003 წლიდან არ დამარცხებულა და სერბთან რვა ურთიერთშეხვედრაში მხოლოდ ორი ნაგება ჰქონდა. მაგრამ, ამავდროულად, აშშ-ის ღიას ოთხგზის ჩემპიონი ბოლო პერიოდში სტაბილური შედეგებით ვერ დაიკვეხნის, ასე რომ, წინასწარ რომელიმე ჩოგბურთელისთვის უპირატესობის მინიჭება მაინც რთული საქმე იყო.

თავიდანვე უფრო აქტიური და შინაარსიანი ჩოგბურთით ფედერერი გამოირჩა. მის თამაშს იდეალურს ვერ ვუწოდებდით, მაგრამ თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მსოფლიოს ყოფილმა ჩოგანმა ტურნირზე საუკეთესო მატჩი გამართა, უფრო ბევრს უტევდა და მეტოქეს თავის პირობებს კარნახობდა. ამის შედეგი იყო ის, რომ პირველ სეტში როჯერი 4:1 დაწინაურდა და პარტია ნახევარ საათში თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:3.

მაგრამ მეორე სეტის დასაწყისში ჯოკოვიჩმა მოუმატა, ფედერერმა კი პირიქით, უაზრო შეცდომების დაშვება დაიწყო. გასაკვირი არ არის, რომ თამაშის სურათი კარდინალურად შეიცვალა და ახლა უკვე სერბმა მოიპოვა სამგეიმიანი უპირატესობა. თუმცა "ჯოკერმა" უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო და შვეიცარიელს საპასუხო ბრეიკის გაკეთების საშუალება მისცა. სეტის ბოლოს ფედერერის მორიგი ჩავარდნა რომ არა, პარტიის ბედი ტაიბრეიკზე გაირკვეოდა. 7:5 - ჯოკოვიჩის სასარგებლოდ.

მესამე პარტიაში ორივე ჩოგბურთელმა გამოასწორა თამაშის ხარისხი, შემცირდა შეცდომები და ჩოგბურთელები უფრო დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს. ისე ჩანდა, რომ მეტოქეებს ტაი-ბრეიკის თამაში მოუწევდათ, მაგრამ ჯოკოვიჩი ვალში არ დარჩა ფედერერთან და ახლა სეტის ბოლოს მან მისცა ბრეიკი მოწინაალმდეგეს.

მეოთხე სეტის დასაწყისი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ მეხუთე გეიმში შვეიცარიელის ბრეიკი გადამწყვეტი აღმოჩნდა როგორც პარტიაში, ასევე მთლიანად მატჩში. ნოვაკმა არათუ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო, არამედ კიდევ ერთხელ წააგო გეიმი თავის მოწოდებაზე. საბოლოოდ როჯერმა, რომელმაც მთელ შეხვედრაში ერთადერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება, ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა ამერიკის ღია პირველობის ფინალში თამაშის უფლება, სერბმა კი შარშანდელი შედეგის გამეორება ვერ შეძლო (ფინალში ვერ გავიდა) და რეიტინგში ქულები დაკარგა.

*"მომენტებში ვგრძნობდი, რომ იმ ჩოგბურთს ვთამაშობდი, რომელსაც წლების განმავლობაში ჩემთვის წარმატება მოჰქონდა. ბადესთან ზუსტი მოქმედება, კარგი თამაში უკანა ხაზზე, მოწოდება, მეტოქეზე ზეწოლა. დღეს ეს ყველაფერი ჩემს თამაშში უხვად იყო, -* განაცხადა ფედერერმა, რომელმაც სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ვერ მოესწრო მეორე ნახევარფინალის დასრულება. *- ვიცი, რა რთულია ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის მეორე დღისთვის გადადება. თანაც, რაფაელისა და ენდისგან განსხვავებით, მე დასვენებისთვის მეტი დრო მექნება. არადა, მინდოდა, ფინალში მეტოქესთან თანაბარ სიტუაციაში ვყოფილიყავით".*

შვეიცარიელი არ მალავს, რომ ფინალში ნადალთან შეხვედრა სურს, არადა, ესპანელი რთულ სიტუაციაშია. მას ორი სეტი აქვს წაგებული ბრიტანელ ენდი მიურეისთან (2:6, 6:7), მაგრამ მესამეში ბრეიკი გააკეთა და 3:2-ს იგებს.

*"რა თქმა უნდა, რაფაელის წინააღმდეგ დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. ბოლო პერიოდში ჩვენ ძალიან ლამაზი მატჩები გამოგვდიოდა. უიმბლდონის წლევანდელ ფინალს დღემდე მღელვარებით ვიხსენებ. ის მატჩი დაუჯერებელ ბრძოლაში წარიმართა",* - ამბობს როჯერი.

ნადალისა და მიურეის დაპირისპირებაში ესპანელმა თავიდანვე აანერვიულა თავისი ფანები. რაფას პრობლემები ჰქონდა თავის მოწოდებაზე, რაც მალე მიურეის ბრეიკში აისახა. შოტლანდიელი კი თავის მოწოდებებს ძალიან იოლად იგებდა. აღსანიშნავია, რომ მთელი სეტის განმავლობაში მან საკუთარ მოწოდებაზე მხოლოდ სამი ქულა(!) დათმო. როგორც ცნობილია, ნადალი მიღებაზე მსოფლიოში ყველაზე კარგად თამაშობს.

რაფაელს ეტყობოდა, რომ ბრძოლისთვის არ იყო განწყობილი. ის მარტო პასიურად კი არ თამაშობდა, არამედ მარტივ სიტუაციებში უამრავ შეცდომას უშვებდა. საბოლოოდ, მიურეი ერთი ბრეიკით არ შემოიფარგლა და მეორეჯერაც მოიგო მეტოქის მოწოდება - 6:2.

მართალია, ნადალი გადაღლილი ჩანდა, მაგრამ გამარჯვებაზე ფიქრი ერთი წამითაც არ შეუწყვეტია. მეორე სეტში მან გააუმჯობესა თამაში, ოღონდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ანგარიშის გასათანაბრებლად. ნადალმა შვიდი ბრეიკ-პოინტი მისცა მიურეის, მაგრამ შვიდივე მოიგერია, თვითონ კი ერთხელაც არ ჰქონია მეტოქის მოწოდების მოგების შანსი. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც მიურეის მცირე უპირატესობა ჰქონდა და ბრიტანელმა მსოფლიოს პირველ ჩოგანთან მატჩში სერიოზული უპირატესობა მიიღო.

როგორც ჩანს, ენდიმ წინა სეტის ბოლოს ბევრი ემოცია დახარჯა და მესამე პარტიაში საკუთარი შეცდომების გამო დათმო გეიმი თავის მოწოდებაზე. ნადალი კი თავისას ინარჩუნებდა... ანგარიში 3:2 გახდა, როცა ნიუ იორკში გაწვიმდა. გარკვეული ხანი არსებობდა იმის იმედი, რომ მატჩი გაგრძელდებოდა, მაგრამ მალე წვიმა გაძლიერდა და ჩოგბურთელებმა კორტი დატოვეს.

ძნელი სათქმელია, ვის უფრო წაადგება ეს ერთდღიანი პაუზა. ნებისმიერ შემთხვევაში, ესპანელის ამოცანა ძალიან რთულია. მთელი კარიერის განმავლობაში, რაფაელს 0:2-დან სამჯერ აქვს მოგებული მატჩი. ორჯერ ეს უიმბლდონზე გააკეთა - 2006 წელს ამერიკელ **რობერტ კენდრიკის** წინააღმდეგ და 2007 წელს, **მიხალ იუჟნისთან** შეხვედრაში. უფრო ადრე, მან მადრიდის "მასტერსზე" ხორვატ **ივან ლუბიჩიჩთან** დაპირისპირებისას გაათანაბრა მსგავსი ჩამორჩენა.

■ ■ ■

გუშინ, გვიან ღამით უნდა გამართულიყო ქალების ფინალი. მასპინძელი სერენა უილიამსისა და სერბი ელენა იანკოვიჩის მატჩში ირკვეოდა რეიტინგის ახალი ლიდერი. თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ გამარჯვება ამერიკელ ჩოგბურთელს დარჩებოდა და ის ექვსწლიანი შესვენების შემდეგ ისევ მოექცეოდა კლასიფიკაციის სათავეში.

*"ჩემი მიზანი რეიტინგის ლიდერობა არ არის. უბრალოდ, ტურნირების მოგება და ჯანმრთელობის შენარჩუნება მინდა. დანარჩენი თავისთავად მოვა",* - ამბობს სერენა.

იანკოვიჩს კი მიაჩნია, რომ ფინალში ქალთა ტურის საუკეთესო წარმომადგენლის წინააღმდეგ მოუწევს ბრძოლა: *"WTA-ში ყველაზე ძლიერი დარტყმა სერენა და ვენუს უილიამსებს აქვთ. თუ მათი დამარცხება გინდა, შენი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოავლინო, ყოველ გათამაშებაში ბოლომდე იბრძოლო და ბევრი ირბინო. რთული იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.*

**გია თვალაბეიშვილი**

**კაცები**

**1/2 ფინალი**

**როჯერ ფედერერი** (შვეიც, 2)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3) 6:3, 5:7, 7:5, 6:2; ენდი მიურეი (ბრიტ, 6)-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 6:2, 7:5, 2:3 შეწყდა წვიმის გამო.

**ქალები**

**1/2 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი** (სერ, 2)-ელენა დემენტიევა (რუს, 5) 6:4, 6:4; **სერენა უილიამსი** (აშშ, 4)-დინარა საფინა (რუს, 6) 6:3, 6:2.

ჭადრაკი

# კოსინცევები სახლში გაუშვეს

მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე საინტერესო ეტაპი დაიწყო - მეოთხედფინალებში საუკეთესო მოჭადრაკე ქალები ერთმანეთს ებრძვიან. თუმცა, ვიდრე მეოთხედფინალისტები გამოვლინდებოდნენ, შაბათს ტაი-ბრეიკები გაიმართა. დამატებით პარტიებში ჩინელი **იფან ჰოუ** (2557) იტალიელ **ელენა სედინას** (2344) ხვდებოდა. ამ წყვილში უპირობო ფავორიტი 15 წლის იფანი იყო. ელენამ მანამდე დაამტკიცა, რომ მონდომებასა და გამოცდილებას მაინც თავისი გააქვს, ამიტომაც არ დანებდა კლასიკურ პარტიებში, თუმცა სწრაფში ძალა აღარ ეყო - ორჯერვე დამარცხდა.

მეორე წყვილში, სადაც რუსი **ნადეჟდა კოსინცევა** (2460) და ჩინელი **იანგ შენი** (2445) ხვდებოდნენ ერთმანეთს, ფავორიტად რუსი ითვლებოდა, მაგრამ შენმა არად ჩააგდო რუსის ფავორიტობა და წინა დღით გავარდნილი დის - **ტატიანას** გზას გაუყენა. მართალია, ეს საქმე იოლად არ გამოსვლია, მაგრამ საბოლოო შედეგი ჩინელისთვის კი გახდა სასურველი. ბრძოლა ძალიან დაძაბულად წარიმართა:კოსინცევამ 25-წუთიანში პირველი პარტია შავებით მოიგო და თითქოს ახლოს იყო მიზანთან - მეორეში თეთრებით ყაიმიც ჰყოფნიდა, მაგრამ იანგმა ლამის შეუძლებელი შეძლო და შავებითვე აიღო რევანში. ბლიცის პირველ პარტიაში თეთრებით იმარჯვა ჩინელმა და დაწინაურდა. ნადეჟდას იმედი ჰქონდა, რომ თეთრებით ანგარიშს გაათანაბრებდა, მაგრამ ვერ შეძლო, მხოლოდ ყაიმს დასჯერდა და ჩემპიონატსაც დაემშვიდობა.

მიუხედავად ჩინელთა წარმატებისა, შიში, რომ მსოფლიო პირველობა მათ საშინაო საქმედ გადაიქცეოდა, უსაფუძვლო გამოდგა: რჩეულ რვეულში მხოლოდ ჩვენგან უკვე ნახსენებმა გოგონებმა შეძლეს შესვლა, თუმცა ორი მონაწილე არც ერთ სხვა ქვეყანას არა ჰყავს. ასეთი ვითარებაც უჩვეულოა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთს 7 მონაწილე ჰყავდა სტარტზე და ყველას დიდი ამბიციები გააჩნდა. ამ შვიდიდან ასპარეზს **ალექსანდრა კოსტენიუკი** (2510) შემორჩა. ერთი მონაწილე ჰყავს უკრაინას - **ანა უშენინა** (2476), ბულგარეთს - **ანტუანეტა სტეფანოვა** (2550), სომხეთს - **ლილიტ მკრტჩიანი** (2436), ინდოეთს - **ჰამპი კონერუ** (2622) და შვედეთს - **პია კრამლინგი** (2544).

გუშინ მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა. ალექსანდრა კოსტენიუკი - ანა უშენინას ხვდებოდა; ჰამპი კონერუ - შენ იანგს; ლილიტ მკრტჩიანი - იფან ჰოუს, ხოლო ანტუანეტა სტეფანოვა პია კრამლინგთან ცდიდა ძალებს. ყველა წყვილში ძალიან საინტრესო ბრძოლები იყო მოსალოდნელი, მაგრამ სტეფანოვასა და კრამლინგის დაპირისპირება ყველაზე გამორჩეული იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მეტოქეები თანამედროვე ქალთა ჭადრაკის ლიდერებად ითვლებიან და ტიტულებიც საკმაოდ აქვთ. კრამლინგი 2004 წლის ევროპის ჩემპიონია, ანტუანეტა სტეფანოვა კი იმავე წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა. რეიტინგიც თითქმის თანაბარი აქვთ - სტეფანოვას მაჩვენებელი 2550-ს უდრის - კრამლინგის - 2544-ს. თეთრებით ბულგარელი დიდოსტატი იყო და ამ ფაქტორის გათვალისწინებით ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ კრამლინგმა დებიუტს კარგად გაართვა თავი და ინიციატივაც ჩაიგდო ხელში. შუა თამაშში ხარისხითაც დაწინაურდა, მალე პაიკიც მოინადირა და პარტია გამარჯვებამდე იოლად მიიყვანა.

ინდოელი ჰამპი კონერუ ყველა ქალბატონს ბევრად ჯობნის რეიტინგით და ამიტომაც არის გამარჯვების მთავარი პრეტენდენტი. თუმცა გარანტირებული, ცხადია, კონერუს არაფერი აქვს. მისი მეტოქე შენ იანგი იყო და მიუხედავად ჩინელის მონდომებისა, 31-ე სვლაზე მარცხის აღიარება მოუხდა. კონერუ უმაღლეს კლასს ადასტურებს.

ასევე სურდა, უპირატესობა დაემტკიცებინა ალექსანდრა კოსტენიუკს, მაგრამ ანა უშენინა არანაკლები ამბიციების მქონეა და არაფერი დაუთმო - 67-ე სვლაზე ყაიმი დაფიქსირდა. შავებით რომ ანამ ამდენი „გაუბედა" რუსს, თეთრებით ალბათ მეტისკენაც გაიწევს და არც გაგვიკვირდება, თუკი მსოფლიოს ჩემპიონატი ბოლო რუსსაც მოისაკლისებს.

მეოთხე წყვილში ლილიტ მკრტჩიანი თეთრებით ხვდებოდა იფან ჰოუს და მართალია, ვერ მოუგო, მაგრამ არც დამარცხდა. არადა, ლილიტს სპეციალისტები ამდენის შემძლედაც არ მიიჩნევდნენ. განსჯა ერთია და რეალური შედეგი - მეორე. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ლილიტმა შავებით შეძლოს დღეს მოგება. ყაიმი მით უფრო მოსალოდნელია. თუ ჩინელმა სომეხის დამარცხება დღეს ვერ მოახერხა, სწრაფ ჭადრაკში მკრტჩიანი თავს კარგად გრძნობს და დიდი რისკის ქვეშ დააყენებს საკუთარ მომავალს ამ ჩემპიონატზე.

**ზვიად შათირიშვილი**




ყველა ფიქრს მისცემია

| მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მეოთხედფინალები. პირველი მატჩები | |
|---|---|
| ალექსანდრა კოსტენიუკი (რუს. 2510) - ანა უშენინა (უკრ. 2476) | 0.5:0.5 |
| ჰამპი კონერუ (ინდ. 2622) - იანგ შენი (ჩინ. 2445) | 1:0 |
| ლილიტ მკრტჩიანი (სომ. 2436) - იფან ჰოუ (ჩინ. 2557) | 0.5:0.5 |
| ანტუანეტა სტეფანოვა (ბულ. 2550) - პია კრამლინგი (შვე. 2544) | 0:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. ევრობასკეტი 2009. შესარჩევი ტურნირი

**A ჯგუფი**

**უნგრეთი-ბულგარეთი 87:86**

20:19, 27:24, 23:29, 17:14

**უნგრეთი:** ნემეტი (19+4 პასი), ფოლორი (17), ხიტკუ (13+4 პასი), ბადერი (12+7 მოხსნა), სიმონი (10).

**ბულგარეთი:** ანგელოვი (21), ივანოვი (16), სტოიკოვი (15+6 მოხსნა), ვიდენოვი (12+7 მოხსნა+4 პასი), ჯააბერი (10+6 მოხსნა).

**სერბეთი-იტალია 72:52**

21:11, 17:16, 20:11, 14:14

**სერბეთი:** ვუიანიჩი (13), სავანოვიჩი (12), კრსტიჩი (6+9 მოხსნა).

**იტალია:** პოეტა (14), ამოროზო (5+8 მოხსნა).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. სერბეთი - 4 მოგება/1 წაგება; 2. **ბულგარეთი** - 3/2; 3. **უნგრეთი** - 2/3; 4. **ფინეთი** - 2/2; 5. **იტალია** - 1/4.

**B ჯგუფი**

**ესტონეთი-ლატვია 81:88**

20:14, 18:25, 20:24, 23:25

**ესტონეთი:** კულამაე (16+4 პასი), კაკერპილი (14), კანგური (13+8 მოხსნა), მაკე (12), სოკი (11).

**ლატვია:** ბიედრინსი (25+9 მოხსნა), იანიჩენოკსი (25+3 ჩაჭრა), პელმანისი (14+7 მოხსნა).

**მაკედონია-პორტუგალია 85:48**

22:4, 22:20, 27:14, 14:10

**მაკედონია:** ვ. სტეფანოვი (23), რ. სტეფანოვი (13), ბლაჟევსკი (10), ანტიკი (10+7 მოხსნა), გეჩევსკი (7+8 მოხსნა).

**პორტუგალია:** ევორა (15), კუნია (9).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. **ლატვია** - 2 მოგება/0 წაგება; 2. **მაკედონია** - 1/1; 3. **ესტონეთი** - 1/1; 4. **პორტუგალია** - 0/2.

**C ჯგუფი**

**უკრაინა-საფრანგეთი 78:77**

19:25, 20:15, 15:20, 24:17

**უკრაინა:** ლიშჩუკი (18), კრივიჩი (15), კოლჩენკო (12).

**საფრანგეთი:** პარკერი (30), ტურიაფი (19), დე კოლო (10+4 ჩაჭრა).

**ბელგია-თურქეთი 63:78**

13:15, 15:21, 21:18, 14:24

**ბელგია:** ბეგინი (19+10 მოხსნა), ვან როსომი (11).

**თურქეთი:** ილიასოვა (21+9 მოხსნა+3 ჩაჭრა+2 დაფარება), არსლანი (20), თუორქოგლუ (12+5 პასი+2 ჩაჭრა), გიონლუმი (10+13 მოხსნა).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. **თურქეთი** - 2 მოგება/0 წაგება; 2. **საფრანგეთი** - 1/1; 3. **უკრაინა** - 1/1; 4. **ბელგია** - 0/2.

**D ჯგუფი**

**ბრიტანეთი-ჩეხეთი 87:68**

24:10, 13:13, 18:14, 32:31

**ბრიტანეთი:** რეინკინგი (22), დენგი (21), მენსა-ბონსუ (13+16 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება).

**ჩეხეთი:** უელში (17+8 მოხსნა+4 პასი), ბენდა (10), პუბალეკი (10).

**ბოსნია-ისრაელი 77:71**

22:15, 19:18, 17:24, 19:14

**ბოსნია:** ბაირამოვიჩი (13), ოპაჩაკი (13), იაგვინი (9+9 მოხსნა).

**ისრაელი:** ტამირი (13), გრინი (11+7 მოხსნა), ელიაჰუ (10).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. **ბრიტანეთი** - 1 მოგება/1 წაგება; 2. **ისრაელი** - 1/1; 3. **ჩეხეთი** - 1/1; 4. **ბოსნია** - 1/1.

## ცხელი ხაზი

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ლოკომოტივი | 2:4 |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (მ) | 2:4 |
| სიბირი-დინამო (რ) | 1:1 |
| ს. იულიაევი-სევერსტალი | 5:2 |
| ტრაქტორი-სკა | 3:3 |
| ლადა-ავანგარდი | 1:2 |
| აკ ბარსი-ბარისი | 3:2 |
| ნეფტეხიმიკი-ხიმიკი | 1:2 |
| ტორპედო-ვიტიაზი | 5:3 |
| მვდ-სპარტაკი | 2:2 |
| ცსკა-ატლანტი | 0:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-დუისბურგი | 5:1 |
| დიუსელდორფი-კიოლნი | 2:0 |
| აუგსბურგი-ჰამბურგი | 4:3 |
| ვოლფსბურგი-ფრანქფურტი | 4:4 |
| კასელი-ინგოლშტადტი | 3:2 |
| კრეფელდი-შტრაუბინგი | 4:3 |
| მანჰაიმი-იზერლონი | 3:0 |
| ნიურნბერგი-აისბარენი | 2:4 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-კეჟმაროკი | 4:5 |
| ჟილინა-ნიტრა | 2:4 |
| ზვოლენი-პოპრადი | 3:2 |
| კოშიცე-სლოვანი | 5:2 |
| მარტინი-ტრენჩინი | 3:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-რაპერსვილი | 4:1 |
| ჟენევა-ამბრი | 2:1 |
| ლუგანო-კლოტენი | 2:3 |
| ფრიბურგი-დავოსი | 3:2 |
| ცუგი-ლანგნაუ | 3:3 |
| ციურიხი-ბერნი | 2:5 |

**ჩოგბურთი**

**აშშ-ის ღია**

**კაცები. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ნადალი-მიურეი | 2:6, 6:7, 6:4, 4:6 |

## TV სპორტი

**8 სექტემბერი. ორშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. კვიპროსი-იტალია.
14:10 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ანდორა-ინგლისი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდულები). შესარჩევი მატჩი. ინგლისი-პორტუგალია.
18:05 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ლიხტენშტაინი-გერმანია.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. სომხეთი-თურქეთი.
22:05 საფეხბურთო ღამე.
22:35 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. კვიპროსი-იტალია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 ვეიკბორდინგი.
08:05 სპორტის სამყარო.
08:30 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
09:30 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
13:00 მძლეოსნობა. SEAT DecaNation. პარიზი. საფრანგეთი.
15:35 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
16:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ანდორა-ინგლისი.
17:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
19:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-იუვენტუსი.
21:25 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფილადელფია-პიტსბურგი.
23:00 პროფესიული კრივი. ხუან გუსმანი-უმბერტო სოტო.
02:25 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
03:25 სპორტის სამყარო.
03:55 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
04:20 მძლეოსნობა. SEAT DecaNation. პარიზი. საფრანგეთი.
06:55 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

**EUROSPORT**

10:30 მოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
10:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური. ქალები. ფინალი. პოლონეთი.
11:45 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. რიეტი. იტალია.
13:00 პარაოლიმპიური თამაშები. მძლეოსნობა. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
14:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. ფინალი.
15:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. IX ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. ფინალი.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. ფინალი.
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
22:00 ბრძოლის წესების გარეშე.
02:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ჰოლანდია.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
14:30 ახალი ამბები.
16:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. სერბეთი.
17:00 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ჰოლანდია.
18:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ჰოლანდია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ავტომოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
20:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
21:15 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
00:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
02:00 ახალი ამბები.

## მძლეოსნობა. ოქროს ლიგა

# ბლანკა მილიონზე ვერ გადახტა




ბრიუსელში გამართული "ოქროს ლიგის" ბოლო ეტაპის მთავარი ინტრიგა შემდეგში მდგომარეობდა - ვის შეხვდებოდა მილიონდოლარიანი ჯეკპოტი? ხორვატი **ბლანკა ვლასიჩისა** და კენიელი **პამელა ჯელიმოს** წყალობით, ეს ინტრიგა ბოლო ეტაპამდე იყო შენარჩუნებული.

ამ სეზონში ორივე ათლეტმა ფენომენალურად იასპარეზა. 800 მეტრზე მორბენალ ჯელიმოს საერთოდ არც ერთი სტარტი არ წაუგია. სიმაღლეზე მხტომელი ხორვატიც დაახლოებით ერთი წელი დაუმარცხებელი იყო, მაგრამ მისი უილბლობა პეკინის ოლიმპიადიდან დაიწყო, სადაც ვლასიჩი ბელგიელ **ტია ელებოსთან** დამარცხდა. ბლანკა "ოქროს ლიგის" ეტაპებზე აპირებდა რეაბილიტირებას, მაგრამ მას აქ მორიგი დრამა ელოდა.

ვლასიჩს ჯეკპოტამდე გზა გერმანელმა **არიან ფრიდრიხმა** გადაუღობა, რომელიც სპორტული ფორმის პიკზე სეზონის ბოლოს გავიდა, რასაც ვერ ვიტყვით ხორვატზე. ის საკუთარ თავს არ ჰგავდა. ბლანკას სეზონის დასაწყისში მსოფლიოს რეკორდის დამყარების უფრო მეტი შანსი ჰქონდა, ვიდრე ბრიუსელში 2.02 მეტრზე ალმართულ თამასაზე გადავლება.

ოლიმპიადამ ვლასიჩი ფსიქოლოგიურად გატეხა, გრძელმა სეზონმა კი ფიზიკურად გადაღალა. საბოლოოდ, ბლანკამ ძალები ვერ გათვალა და წელი დიდი გამარჯვებების გარეშე დაასრულა. ალბათ, მომავალში ის უფრო გონივრულად დაგეგმავს გამოსვლების გრაფიკს, მანამდე კი პლანეტას კიდევ ერთი მილიონერი შეემატა. ნორჩმა ჯელიმომ სრულიად კანონზომიერად მოიპოვა ჯეკპოტი.

*"სველ ბილიკს ალლო ვერ ავუღე. ძალიან მეწყინა, პრიზის აღება რომ ვერ მოვახერხე. პეკინში განცდილი ფიასკოს შემდეგ ეს ჩემთვის მანუგეშებელი ჯილდო იქნებოდა. სეზონის ბოლოსკენ ძალიან დავიღალე, რადგან უამრავ ტურნირში მივიღე მონაწილეობა"*, - განაცხადა ვლასიჩმა.

"ოქროს ლიგის" ბოლო ეტაპის მშვენება უნდა გამხდარიყო 100 მეტრზე სპრინტში ორი იამაიკელის - **უსაინ ბოლტისა და ასაფა პაუელის** დუელი. სპრინტში ასეთი დაუწერელი წესი არსებობს - არ დაიძაბო, მოეშვი და ყველაფერი გამოგივა. ბოლტმა ეს წესი თავის "უფროს ძმაზე", ასაფა პაუელზე ადრე შეითვისა და ამიტომაც გახდა პეკინის თამაშების გმირი. ასაფას გონება ბრიუსელში გაეხსნა. აქ მას არანაირი ფსიქოლოგიური ტვირთი არ აწვა და გაცილებით ხალისიანად გამოიყურებოდა, ვიდრე ოლიმპიურ ფინალში.

ბრიუსელური ფინალი ნამდვილ შოუდ გადაიქცა. პაუელმა ისეთი სტარტი აიღო, რომ ბოლტი ძალიან ჩამორჩა. მაგრამ უსაინი ერთი ჩვეულებრივი სპრინტერი იქნებოდა, რომ არა მისი ფენომენალური ფინიში. ასაფამ ბოლოსკენ ოდნავ უკლო, ბოლტი კი პირიქით, ტემპს უმატებდა და ფინიშზე ექვსი მეასედი წამით გაუსწრო თანამემამულეს - 9.77. წვიმა რომ არა, საბოლოო შედეგი გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ასეთი ბრწყინვალე გარბენით დასრულდა სპრინტის ისტორიული სეზონი.

**კაცები**

**100 მ**

| | |
|---|---|
| 1. უსაინ ბოლტი (იამ) | 9.77 |
| 2. ასაფა პაუელი (იამ) | 9.83 |
| 3. ნესტა კარტერი (იამ) | 10.07 |

**400 მ**

| | |
|---|---|
| 1. ჯერემი უორინერი (აშშ) | 44.44 |
| 2. მარტინ რუნი (ბრიტ) | 45.34 |
| 3. გერი კიკაია (კონ) | 45.67 |

**800 მ**

| | |
|---|---|
| 1. იუსუფ საად ქამელი (ბაჰ) | 1.44,56 |
| 2. ალფრედ კირვა (კენ) | 1.45,01 |
| 3. ამინე ლაალუ (მარ) | 1.45,01 |

**400 მ თარჯრბენი**

| | |
|---|---|
| 1. კერონ კლემენტი (აშშ) | 48.29 |
| 2. დენი მაკფერლეინი (იამ) | 48.63 |
| 3. ისა ფილიპსი (იამ) | 48.92 |

**ქალები**

**100 მ**

| | |
|---|---|
| 1. კიმ გევარი (ბელ) | 11.25 |
| 2. დ. ფერგიუსონ-მაკენზი (ბაჰ) | 11.32 |
| 3. მელისა ბარბერი (აშშ) | 11.37 |

**200 მ**

| | |
|---|---|
| 1. მარშვეტ ჰუკერი (აშშ) | 22.62 |
| 2. კერონ სტიუარტი (იამ) | 22.76 |
| 3. დ. ფერგიუსონ-მაკენზი (ბაჰ) | 22,79 |

**800 მ**

| | |
|---|---|
| 1. პამელა ჯელიმო (კენ) | 1.55,16 |
| 2. ჯანეტ ჯეპკოსგეი (კენ) | 1.58,85 |
| 3. კენიაია სინკლერი (იამ) | 1.59,11 |

**100 მ თარჯრბენი**

| | |
|---|---|
| 1. დ. ენის-ლონდონი (იამ) | 12.65 |
| 2. ლოლო ჯონსი (აშშ) | 12.67 |
| 3. ჟოზეფინ ონია (ესპ) | 12.71 |

**სიმაღლეზე ხტომა**

| | |
|---|---|
| 1. არიან ფრიდრიხი (გერ) | 2.00 |
| 2. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) | 2.00 |
| 3. ტია ელებო (ბელ) | 2.00 |

**ჭოკით ხტომა**

| | |
|---|---|
| 1. ელენა ისინბაევა (რუს) | 4.72 |
| 2. მონიკა პირეკი (პოლ) | 4.56 |
| 3. ტატიანა პოლნოვა (რუს) | 4.56 |

# ჯონსმა ციხე დატოვა

სიდნეის თამაშების ხუთგზის ყოფილმა ჩემპიონმა **მერიონ ჯონსმა** ტექსასის ფედერალური ციხე დატოვა. როგორც იცით, ამერიკელმა სპრინტერმა ცრუ ჩვენებების გამო საპყრობილეში ექვსი თვე გაატარა.

*"ბედნიერი ვარ, რომ, როგორც იქნა, მეუღლესა და შვილებს დავუბრუნდი. ძალიან რთული ექვსი თვე მქონდა, მაგრამ ღმერთის რწმენამ, ოჯახისა და მთელი მსოფლიოდან მეგობრების მხარდაჭერამ ეს უმძიმესი პერიოდი გადამატანინა"*, - განაცხადა ჯონსმა.

დაახლოებით თვე-ნახევრის წინ სპორტსმენმა შეწყალების თხოვნით მიმართა ამერიკის პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშს**. ამის საპასუხოდ, ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის **დუგლას ლოგანის** ღია წერილი, სადაც ის აცხადებდა, რომ დაუშვებელი იყო ჯონსის ციხიდან გამოშვება.

*"არ შეიძლება იმ ადამიანის პატიება, რომელიც ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში ყველაზე დიდი სკანდალის ავტორი გახდა"*, - წერდა მაშინ ლოგანი.

მაგრამ მერიონი თავისუფალია და იმედი გვაქვს, რომ სპორტის წინააღმდეგ ის აღარასოდეს წავა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ველოსპორტი. ვუელტა

**VII ეტაპი**

**ბარბასტრო-ანდორა (223,2 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო ბალანი (იტალია, "ლამპრე") | 6.15.51 |
| 2. ესეკილ მოსკერა (ესპანეთი, "ზაკოვეო-გალისია") | +2,42 |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, "ასტანა") | +2,45 |
| 4. ხოაკინ როდრიგეს ოლივერი (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +2,50 |
| 5. ლევი ლაიფჰაიმერი (აშშ, "ასტანა") | +2,50 |
| 6. იგორ ანტონი (ესპანეთი, "ეუსკალტელი") | +2,50 |
| 7. კარლო სასტრე (ესპანეთი, CSC) | +2,50 |
| 8. დანიელ მორენო ფერნანდესი (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +3:03 |
| 9. მარციო ბრუსეგინი (იტალია, "ლამპრე") | +3,11 |
| 10. დავიდე რებელინი (იტალია, "გეროლშტაინერი") | +3,11 |

**VIII ეტაპი**

**ანდორა-სალარდუ (151,0 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. დავიდ მონკუტი (საფრანგეთი, "კოფიდისი") | 4.24,58 |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +0,34 |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, "ასტანა") | +0.34 |
| 4. იგორ ანტონი (ესპანეთი, "ეუსკალტელი") | +0.34 |
| 5. ხოაკინ როდრიგეს ოლივერი (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +0.39 |
| 6. დანიელ მორენო ფერნანდესი (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +0.39 |
| 7. ოლივერ ცაუგი (შვეიცარია, "გეროლშტაინერი") | +0.39 |
| 8. ლევი ლაიფჰაიმერი (აშშ, "ასტანა") | +0.39 |
| 9. დავიდ აროიო (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +0.39 |
| 10. კარლო სასტრე (ესპანეთი, CSC) | +0.39 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ლევი ლაიფჰაიმერი (აშშ, "ასტანა") | 28.20,03 |
| 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, "ასტანა") | +0,21 |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +0,49 |
| 4. კარლო სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1,27 |
| 5. ესეკილ მოსკერა (ესპანეთი, "ზაკოვეო-გალისია") | +1,59 |
| 6. იგორ ანტონი (ესპანეთი, "ეუსკალტელი") | +2,12 |
| 7. დანიელ მორენო ფერნანდესი (ესპანეთი, "კეს დ'ეპარნი") | +2,23 |
| 8. იურგენ ვან გოოლენი (ბელგია, CSC) | +2,43 |
| 9. რობერტ გესინკი (ჰოლანდია, "რაბობანკი") | +3,11 |
| 10. მარციო ბრუსეგინი (იტალია, "ლამპრე") | +3,35 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ბელგიის გრანპრი

# ლუისის მოგებული მასას დარჩა


ჰემილტონი სულ ტყუილად ხარობდა

ჩოგბურთში ამერიკის ღია პირველობისა არ იყოს, წვიმამ ბელგიის გრანპრის მსვლელობაზეც დიდი გავლენა იქონია. იმის ნაცვლად, რომ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე შამპანურისთვის გემო ფინელ **კიმი რაიკონენს** გაესინჯა, სეზონში მეხუთე გამარჯვება იზეიმა "მაკლარენის" ბრიტანელმა პილოტმა **ლუის ჰემილტონმა**. ფინიშზე მეორე ლუისის მთავარი მდევარი **ფელიპე მასა** ("ფერარი") მივიდა.

ბელგიის "სპა" მეცამეტე ეტაპს მასპინძლობდა. სტარტის წინ წვიმდა, მაგრამ ამისთვის პილოტები მზად იყვნენ, ვინაიდან სინოპტიკოსები კვირისთვის სწორედ ასეთ ამინდს ვარაუდობდნენ.

რბოლის სტარტმა იმედი გაუცრუა "მაკლარენის" ფანებს. მართალია, ლუის ჰემილტონმა კვალიფიკაციაში მოპოვებული პირველი ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ **ჰეიკი კოვალაინენს** დაემართა უცნაური რამ: მას ერთიმეორის მიყოლებით გაასწრეს რაიკონენმა, **ფერნანდო ალონსომ, სებასტიან ბურდემ, მარკ უებერმა, რობერტ კუბიცამ...** მოკლედ, ვისაც არ შეეზარა, ყველამ გაუსწრო ფინელ პილოტს.

სამაგიეროდ, იყოჩაღა მეორე ფინელმა, მოქმედმა მსოფლიოს ჩემპიონმა კიმი რაიკონენმა. "ფერარის" წევრს დიდი ხანი არ უფიქრია და პილოტები პირველ წრეს რომ ამთავრებდნენ, ლიდერი ჰემილტონი უკან ჩამოიტოვა. მასა კვლავინდებურად მესამე პოზიციაზე იყო, ალონსო კი დამაჯერებლად ინარჩუნებდა მეოთხე ადგილს. მოულოდნელობა იყო კანადელი **სებასტიან ბურდეს** ("ტორო როსო") მეხუთე ადგილი.

რბოლის დარჩენილ წრეებზე ლუის ჰემილტონი ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა კიმის და გასწრებისთვის მოსახერხებელი მომენტი შეერჩია. ბრიტანელის მონდომება ამაო იყო. ფინელი მეტოქეს შეტევის საშუალებას არ აძლევდა - როცა მათ შორის მანძილი მცირდებოდა, კიმი მაშინვე უმატებდა ტემპს და კომფორტულ უპირატესობას იღებდა.

სტარტის ანტიგმირმა კოვალაინენმა საერთო ჯგუფიდან გამოძრომა დაიწყო - გაუსწრო **გლოკს, ჰაიდფელდს, პიკეს** და კუბიცას, მაგრამ როცა **მარკ უებერს** შეუტია, ავსტრალიელის ბოლიდს შეეხო და ამისთვის ჯარიმის სახით, პიტ-სტოპზე დამატებით შესვლამ მოუწია.

ჰემილტონი თითქოს ეწეოდა რაიკონენს, მაგრამ ამასობაში პირველი პიტ-სტოპების ტალღა წამოვიდა, რის შემდეგაც ბრიტანელის ენთუზიაზმი სადღაც გაქრა და რაიკონენის უპირატესობამ ექვსი წამი შეადგინა.

ისე ჩანდა, რომ ჩემპიონატის ლიდერს პრობლემები ჰქონდა. მასამ შეამცირა ჩამორჩენა "მაკლარენის" პილოტთან, კიმი კი საუკეთესო წრეებს გადიოდა. მოკლედ, "ფერარის" საქმეები ბრწყინვალედ მიდიოდა.

სიტუაცია კარდინალურად მეორე პიტ-სტოპის შემდეგ შეიცვალა. რაიკონენის მშვიდი ცხოვრება დასრულდა. პიტ-ლეინიდან კიმი და ლუისი თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ. სწორედ აქედან დაიწყო ეტაპის მოგებისთვის ნამდვილი ბრძოლა...

სინოპტიკოსებმა დისტანციის ბოლო წრეებზეც ივარაუდეს წვიმა და მათი პროგნოზი აქაც გამართლდა. ამან კიდევ უფრო დაძაბა ლიდერთა პაექრობა.

პირველობისთვის ბრძოლას მხოლოდ ორი პილოტი შემორჩა. მასა ბევრს ეცადა, მაგრამ კიმისა და ლუისს ჩამორჩა. სამაგიეროდ, მესამე ადგილი გარანტირებული ჰქონდა, რადგან მეოთხეადგილოსან ალონსოს ნახევარ წუთზე მეტს უგებდა.

რაიკონენის ექვსწამიანი უპირატესობა ორამდე ჩამოვიდა და სპას ტრასას წვიმის პირველი წვეთებიც დაეცა. ფინელი წრეზე ჩამორჩენილებმა შეაფერხეს, რის გამოც დროში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა.

ჰემილტონმა რაიკონენს სტარტ-ფინიშის სწორზე გაუსწრო. კიმი კონტრშეტევაზე გადავიდა და ლუისი ტრასის მიღმა აღმოჩნდა. ფინელი ისევ დაწინაურდა და ახლა ის მოცურდა ტრასაზე. ჰემილტონმა ამ სიტუაციით კარგად ისარგებლა და ტრასაზე ლიდერის რანგში დაბრუნდა. რაიკონენმა კი მეორე ადგილიც ვერ შეინარჩუნა. ზედმეტი აქტიურობით ისევ ტრასის მიღმა გადავარდა და რბოლა ნაადრევად დაასრულა.

საბოლოოდ, "მაკლარენის" პილოტმა მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე და საერთო ჩათვლაში უკვე რვა ქულას უგებს მასას.

*"მეორე პიტ-სტოპის შემდეგ დავინახე, რომ კიმი ძალიან წინ იყო. გამიკვირდა, როგორ შეძლო ჩემი ასეთი მანძილით ჩამოტოვება. მანქანას შესაძლებლობების ზღვარზე ვამუშავებდი და იმედი მქონდა, რომ რაიკონენი წრეზე ჩამორჩენილების გასწრებისას დაკარგავდა საჭირო წამებს. მოკლედ, ეს ლატარია იყო. ვლოცულობდი, წვიმა წამოსულიყო, რადგან ასეთ სიტუაციებში ბოლიდის მართვა კარგად მეხერხება.*

*გამიმართლა და გაწვიმდა. დავინახე, რომ კიმიმ სიჩქარე დააგდო. მან დროზე ადრე დაამუხრუჭა მერვე მოსახვევის წინ და მივხვდი: ბრძოლა იწყებოდა! მე-12 მოსახვევში მოვცურდი და კინაღამ ნიკო როსბერგს შევასკდი. შემდეგ კიმი გადავარდა ტრასიდან და წინ გავიჭერი - შესანიშნავი ფინიში იყო!"* - თქვა რბოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჰემილტონმა.

მაგრამ "მაკლარენის" პილოტის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ბელგიის გრანპრის სტიუარდებმა ეჭვი შეიტანეს რბოლის საბოლოო შედეგების მართებულობაში და გამოაცხადეს, რომ გამოიძიებდნენ რბოლის ბოლოს ლუისსა და კიმის შორის მომხდარ ინციდენტს.

საქმე ეხება ეპიზოდს, როცა ბრძოლის დროს ჰემილტონმა Bus Stop-ის მოსახვევი ჩაჭრა და ამან ფინელის დაწევის საშუალება მისცა.

გუშინ, გვიან გავრცელებული საბოლოო განაჩენის თანახმად, ჰემილტონს 25-წამიანი ჯარიმა მისცეს, რამაც ის მესამე ადგილზე ჩამოაგდო. ბელგიის გრანპრის გამარჯვებულად ფელიპე მასა გამოცხადდა, ხოლო ბრიტანელს ნიკ ჰაიდფელდმაც გაუსწრო. ასე რომ, ახლა ჰემილტონსა და მასას შორის ქულათა სხვაობა ორამდე შემცირდა.

**გია თვალაბეიშვილი**




| ბელგიის გრანპრი. XIII ეტაპი | |
|---|---|
| სპა (44 წრე, 308.053 კმ) | |
| 1 (2). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | 1:22.59,333 (2 პიტ-სტოპი) |
| 2 (5). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | +9,400 (3) |
| 3 (1). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +10,600 (2) |
| 4 (6). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | +28,900 (3) |
| 5 (10). სებასტიან ფეტელი (ტორო როსო, გერმანია) | +29,000 (2) |
| 6 (8). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | +29,400 (2) |
| 7 (9). სებასტიან ბურდე (ტორო როსო, საფრანგეთი) | +31,100 (2) |
| 8 (13). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია) | +56,500 (2) |
| 9 (7). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +57,200 (2) |
| 10 (3). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | 1 წრე (3) |
| 11 (14). დევიდ კულტჰარდი (რედ ბული, ბრიტანეთი) | 1 წრე (2) |
| 12 (15). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | 1 წრე (2) |
| 13 (18). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | 1 წრე (2) |
| 14 (19). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | 1 წრე (2) |
| 15 (17). ჯენსონ ბატონი (ჰონდა, ბრიტანეთი) | 1 წრე (2) |
| 16 (11). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | 1 წრე (2) |
| 17 (20). ჯანკარლო ფიზიკელა (ფორს-ინდია, იტალია) | 1 წრე (3) |
| 18 (4). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | 3 წრე (2) |
| 19 (16). რუბენს ბარიკელო (ჰონდა, ბრაზილია) | 24 წრე (2) |
| 20 (12). ნელსინიო პიკე (რენო, ბრაზილია) | 31 წრე (0) |

*საუკეთესო წრე: კიმი რაიკონენი - 1.47,930 (24-ე წრე)*

**კონსტრუქტორთა თასი:** 1. ფერარი - 129; 2. მაკლარენი - 123; 3. BMW-ზაუბერი - 105; 4. ტოიოტა - 42; 5. რენო - 36; 6. რედ ბული - 24; 7. უილიამსი - 17; 7. ტორო როსო - 17; 8. ჰონდა - 14.

| | ავს | მალ | ბაჰ | ესპ | თურ | მონ | კან | საფ | ბრი | გერ | უნგ | ევრ | ბელ | იტა 14.09 | სინ 28.09 | იაპ 12.10 | ჩინ 19.10 | ბრა 02.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 10 | 4 | 0 | 6 | 8 | 10 | 0 | 0 | 10 | 10 | 4 | 8 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | 76 |
| **მასა** (ფერარი) | 0 | 0 | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | 10 | 0 | 6 | 0 | 10 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | 74 |
| **კუბიცა** (BMW-ზაუბერი) | 0 | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | 4 | 0 | 2 | 1 | 6 | 3 | -- | -- | -- | -- | -- | 58 |
| **რაიკონენი** (ფერარი) | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | 0 | 0 | 8 | 5 | 3 | 6 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | 57 |
| **ჰაიდფელდი** (BMW-ზაუბერი) | 8 | 3 | 5 | 0 | 4 | 0 | 8 | 0 | 8 | 5 | 0 | 0 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | 49 |
| **კოვალაინენი** (მაკლარენი) | 4 | 6 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 5 | 4 | 4 | 10 | 5 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | 43 |
| **ტრული** (ტოიოტა) | 0 | 5 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 6 | 2 | 0 | 2 | 4 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | 26 |
| **ალონსო** (რენო) | 5 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 3 | 0 | 5 | 0 | 5 | -- | -- | -- | -- | -- | 23 |
| **უებერი** (რედ ბული) | 0 | 2 | 2 | 4 | 2 | 5 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | 18 |
| **გლოკი** (ტოიოტა) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 8 | 2 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | 16 |
| **პიკე** (რენო) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 8 | 3 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | 13 |
| **ფეტელი** (ტორო როსო) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 3 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | 13 |
| **ბარიკელო** (ჰონდა) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | 11 |
| **როსბერგი** (უილიამსი) | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | 9 |
| **ნაკაძიმა** (უილიამსი) | 3 | 0 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | 8 |
| **კულტჰარდი** (რედ ბული) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ბურდე** (ტორო როსო) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | 4 |
| **ბატონი** (ჰონდა) | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -- | -- | -- | -- | -- | 3 |